საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
9 – 15 სექტემბერი, 2015
№32 (314)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**პატრიარქმა ხელისუფლებას სათამაშო ბიზნესის გაკონტროლებისკენ მოუწოდა** 2

**სააკაშვილს ძაღლი და წვინტლიანი ნარკომანი უწოდეს** 2

**«წითელ ბარათს ვუჩვენებდი ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც საქართველო მოატყუა»** 5

**9 «ნატო აგრესიული სამხედრო კოალიციაა, რომელიც უნდა დაიშალოს»**

**«რეს-პუბლიკ-ელები ხელიდან ხელში, ანუ ცირკი გრძელდება!»** 10



## 7 «როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თანამედროვე საქართველოს ერთი დღეც არ უცხოვრია»

## «კონფლიქტის შემთხვევაში საქართველო საომარი მოქმედებების პოლიგონად გადაიქცევა» 8

## მთავრობა ხალხს ატყუებს! 6



**«თითოეული ოჯახის ხარჯი 300 ლარზე მეტით მოიმატებს»**



**«ვაჰაბიტები აკონტროლებენ პანკისს, ჩვენ ვაკონტროლებთ ვაჰაბიტებს – ასეთი იყო სააკაშვილის ხელისუფლების ლოგიკა»** 15

## უმაღლესი პოლიტიკური მათემატიკა 4




„თუ მონტენეგროს ნატოში შესვლა მისი მოსახლეობის ერთი მესამედის ნებით უნდა მოხდეს, მაშინ რა უშლის ხელს საქართველოს, ამავე ერთი მესამედის ნებით ევრაზიულ კავშირში შევიდეს? ხუმრობა იქით იყოს და, საერთოდაც, რატომ უნდა მიიღონ მონტენეგრო ნატოში, თუ მოსახლეობის ორ მესამედს იქ შესვლა არ უნდა?“

## ევროვიზა თუ ევროაუზი?



12

ჩვენი „ფრანგი მილიარდერი“, ჩვენი „მილიარდერის პრემიერმინისტრი“ და ჩვენი „ლიბერალპრეზიდენტი“ მოგვიწოდებენ, თავით ვიხტუნაოთ ცარიელ აუზში, რომლის ფსკერზეც „ევროკავშირის“ დროშა არის დახატული.

**ვის და რისთვის დასჭირდა ქართველი მაყურებლისა და მოსახლეობის ასეთი გამა-სხარავება?!**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დენის გაძვირების დადგენილება ამოქმედდა

**თბილისში ელექტროენერგიის ახალი სამომხმარებლო ტარიფი 5 სექტემბრიდან ძალაში შევიდა. გაზრდილი ფასების შესახებ სემეკ-ის დადგენილება „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა.** სემეკ-ის დადგენილებით, დღგ-ს ჩათვლით, 101 კვტსთ-ის ჩათვლით, დენის ფასი 9.480 თეთრი/კვტსთ-ს ნაცვლად, იქნება 12.980 თ/კვტსთ; 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით, 12.461 თეთრი/კვტსთ ნაცვლად, ფასი იქნება 16.992 თ/კვტსთ; 301 კვტსთ-დან და მეტი — 17.698 თეთრი/კვტსთ ნაცვლად, 21.476 თ/კვტსთ. აქედან გამომდინარე, პირველ საფეხურზე ტარიფის მატება არის 3.5 თეთრი, მეორე საფეხურზე — 4.53 თეთრი, მესამეზე — 3.79 თეთრი. ახალი ტარიფის დადგენის მიზნით, „თელასმა“ კომისიას მიმდინარე წლის 23 ივლისს მიმართა. კომპანიამ სატარიფო განაცხადის წარდგენის მთავარ საფუძვლად აშშ დოლარის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება, შესასყიდი ელექტროენერგიის გაზრდილი ფასი და ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის ზრდა დაასახელა.



## პატრიარქმა ხელისუფლებას სათამაშო ბიზნესის გაკონტროლებისკენ მოუწოდა

**საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სააღდგომო ეპისტოლეში განსაკუთრებული ყურადღება სათამაშო ბიზნესს დაუთმო, რომელსაც „მეტად საშიში და სერიოზული პრობლემა“ უწოდა და ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდა:**

„შევეხები მეტად საშიშ და სერიოზულ პრობლემას — სათამაშო ბიზნესს. ეს საქმიანობა, ალბათ, ბიუჯეტისთვის მომგებიანია, მაგრამ იგი ისეთი უარყოფითი მოვლენაა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში საერთოდ აკრძალულია. ჩვენთან კი მას ბოლო დროს ინტერნეტსამორინეც დაემატა.

თუ ჩვეულებრივ სამორინეში ასაკს ყურადღებას აქცევენ და გარკვეული თანხის ქონა აუცილებელია, ინტერნეტსივრცეში ეს შეზღუდვა არ არსებობს. ადამიანები, განსაკუთრებით — ახალგაზრდები, რომლებსაც ისედაც მცირე ფინანსები აქვთ, ცდუნებას ვერ უმკლავდებიან და დიდ ვალში, დიდ პრობლემებში ვარდებიან. კატასტროფულად იზრდება მათი რიცხვი, ვინც მიეჯაჭვა ამ საცდურს. ბევრმა ქონება დაკარგა, მრავალი ოჯახი დაინგრა, ზოგმა თავიც მოიკლა.

ვფიქრობ, ხელისუფლებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ მიმართულებით და შესაძლებლობისამებრ დაიცვას ქვეყნის აწმყო და მომავალი“, — განაცხადა პატრიარქმა.



## სოფელ ახალთერჯოლაში მგლებმა შინაური ცხოველები დაგლიჯეს

**თერჯოლის რაიონში მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. ადგილობრივების თქმით, სოფელ ახალთერჯოლაში მგლებმა შინაური ცხოველები დაგლიჯეს, — იტყობინება ,,ინტერპრესნიუსი“.**

„რომც ვხედავდე, როგორ ჭამს ჩემს საქონელს მგელი, უფლება არ მაქვს, მოვკლა, რადგან გარემოს დაცვის სამინისტრო იმაზე მეტი თანხით დამაჯარიმებს, ვიდრე საქონლის ღირებულებაა. მგელმა დღეს ხბო შეჭამა, ხვალ ცხვრებს შეგვიჭამს, შემდეგ კი ადამიანებს მიადგება“, — განაცხადა ახალთერჯოლელმა არკადი გამეზარდაშვილმა.

# სააკაშვილს ძაღლი და წვინტლიანი ნარკომანი უწოდეს

**დნეპროპეტროვსკის ოლქის (უკრაინა) ყოფილმა გუბერნატორმა იგორ კოლომოისკიმ ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უალიკაპო ძაღლი უწოდა. ეს იყო კოლომოისკის პასუხი სააკაშვილის განცხადებაზე, რომ უკრაინას ოლიგარქები აკონტროლებენ.**





„როცა უალიკაპო ძაღლი ვინმეს კბენს, უნდა დაისაჯოს არა ძაღლი, არამედ, რაც მნიშვნელოვანია, მისი პატრონი. ასეთ შემთხვევაში ძაღლებს აძინებენ. ჩვენ შემთხვევაში კი შეიძლება, გადასახადის დაწესებით გავგზავნოთ საქართველოში, რათა პასუხი აგოს იქ დაკბენილი ადამიანების გამო“, — განაცხადა კოლომოისკიმ.

ყოფილმა გუბერნატორმა აღნიშნა, რომ გეგმავს, სასამართლოში უჩივლოს ოდესის გუბერნატორს და მისგან მატერიალური კომპენსაცია მიიღოს. როგორც ბიზნესმენი ამბობს, **„აზრი არ აქვს, ბინძურ, წვინტლიან ნარკომანს პასუხი მოსთხოვო, ვიდრე ის ნარკოდამოკიდებულების სარეაბილიტაციო კურსს არ გაივლის“.**

## «აზრი არ აქვს, ბინძურ, წვინტლიან ნარკომანს პასუხი მოსთხოვო, ვიდრე ის ნარკოდამოკიდებულების სარეაბილიტაციო კურსს არ გაივლის»

4 სექტემბერს სააკაშვილმა განაცხადა, რომ უკრაინის მთავრობის მოღვაწეობა არსენი იაცენიუკის ხელმძღვანელობით უეფექტოა, რადგან მინისტრთა კაბინეტზე ოლიგარქები ზემოქმედებენ. ოლიგარქების მოქმედების შედეგად კი ბოლო წელს უკრაინის ეკონომიკა 100 მილიარდი გრივნით (4,5 მლრდ დოლარი) დაზარალდა, ხოლო იაცენიუკის მთავრობის მუშაობის პერიოდში მაღალჩინოსნების მოქრთამვის ფაქტები არ შემცირებულა.

## კახა კალაძე: ჩვენ დავაშავეთ საზოგადოების წინაშე, კოჰაბიტაციის თავსმოხვეული რეჟიმი რომ დავუშვით

**ვიცეპრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე გაზეთ „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მმართველ გუნდსა და „ნაციონალებს“ შორის კოაბიტაციური რეჟიმის შესახებ საუბრობს და ამბობს, რომ ეს იყო დიდი შეცდომა, რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა.**

„როგორც ჩემმა კოლეგა ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა, ეს ის პოლიტიკოსები არიან, რომლებიც შინ თანამემამულეებისთვის სულის ამოხდით იმუქრებოდნენ და გარეთ — ტერიტორიების გადაბუგვით. „ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე წლის წინათ დანაჩანგლით მოგვიწოდებდა რუსეთის არმიასთან საბრძოლველად.



ამჯერად რა უნდათ? საქართველოს ჩაბმა სრული შეიარაღებით უკრაინის კონფლიქტში?.. ეს, იცით, რისი ბრალია? – ჩვენ დავაშავეთ საზოგადოების წინაშე, კოჰაბიტაციის თავსმოხვეული რეჟიმი რომ დავუშვით, რომელიც იმთავითვე ნათლად ჩანდა, რომ ცალმხრივი იყო და ეს ყველაფერი ამ პარტიის მიერ იქნა ბოროტად გამოყენებული საზოგადოებისა და ქვეყნის საზიანოდ.

ჩვენს ცივილურ, შემწყნარებლურ დამოკიდებულებას მათ დაუპირისპირეს აგრესიული დემაგოგია და მუდმივად ალიზიანებდნენ ხალხს. ყველა ის ტყუილი, დანაშაული, მოუგვარებელი საქმე, რომლებიც მათი ხელისუფლების დროს ხდებოდა, თავხედურად იქნა გადმობრალებული ახალ ხელისუფლებაზე. ადრეც განვაცხადე, — ჩვენი შეცდომა იყო პიარზე თითქმის უარის თქმა, რაც უტიფრად თავის სასარგებლოდ გამოიყენეს „ნაციონალებმა“, — განაცხადა კალაძემ.

## გიორგი კვირიკაშვილი: რუსეთთან პრაგმატული, თუმცა უკომპრომისო პოლიტიკა გაგრძელდება



**საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვიცეპრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა ამბასადორიალის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი, გარდა იმ პრაგმატული მიდგომისა, რომელიც აქვს ქვეყნის ხელისუფლებას.**

„რუსეთთან შესანარჩუნებელია ორივე ფორმატი: ერთია ჟენევის ფორმატი, რომელიც პოლიტიკური დიალოგისთვის იქნება წამყვანი; ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს ძალის არგამოყენების შესახებ გარანტიების მიღება რუსეთის მხრიდან; ასევე, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა. აბაშიძე-კარასინის დიალოგის გაგრძელება ძალიან მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია ის ეკონომიკური და ჰუმანიტარული საკითხები, რომლებიც ამ არაფორმალური დიალოგის ფარგლებში იხილება. ამიტომ ჩვენ განავაგრძობთ მაქსიმალურად პრაგმატულ, თუმცა თანმიმდევრულ და არაკომპრომისულ პოლიტიკას რუსეთთან“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.



## ფილიპინებზე კათოლიკური ეკლესიის მსახურებმა და მრევლმა მართლმადიდებლობა აღიარეს

239 ფილიპინელი წყნარი ოკეანის სანაპიროზე მოინათლა. პროვინცია სარანგანის ალაბელის მუნიციპალიტეტის ფილიპინების დამოუკიდებელი კათოლიკური ეკლესიის მრევლმა მართლმადიდებლობა აღიარა. მართლმადიდებელმა მღვდელმსახურებმა წყნარ ოკეანეში მონათლეს კათოლიკური ეკლესიის 2 ეპისკოპოსი, 4 მღვდელი და მათი მრევლი. უახლოეს ხანში კიდევ 29 კათოლიკური თემი აპირებს მართლმადიდებლად მონათვლას.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რონ პოლი: პრობლემები რომ მოგვარდეს, აშშ-ის იმპერიას ბოლო უნდა მოეღოს

**ევროკავშირში მიგრაციული კრიზისის დაწყების მიზეზი აშშ-ისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ინტერვენციული პოლიტიკაა. ამ სახელმწიფოებმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვითარების დესტაბილიზაცია მოახერხეს და მათ არ დაუტოვეს თავიანთი ეკონომიკის აღდგენის შანსი. ეს თვალსაზრისი აქვს აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს, ამჟამად აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრს, პოლიტიკის ანალიტიკოს რონ პოლს.**





„იმ დროს, როცა მასმედიის ყურადღება მიპყრობილია მშობლიური კერიდან აყრილი ადამიანების ტრაგედიაზე, უმნიშვნელო ყურადღება ეთმობა მოვლენებს, რომლებმაც ისინი აიძულა, სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ. რა თქმა უნდა, ჩვენ თანავუგრძნობთ დევნილებს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ კრიზისი, რომელიც დასავლეთის ქვეყნების მთავრობებმა შექმნეს.

**მიზეზი, რომლის გამოც ადამიანები გარბიან სირიიდან, ლიბიიდან, ავღანეთიდან და ერაყიდან, არის ის, რომ აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების ინტერვენციულმა პოლიტიკამ ამ ქვეყნების დესტაბილიზაცია გამოიწვია და მათ საკუთარი ეკონომიკის აღდგენის შანსი არ დაუტოვა. ახლო აღმოსავლეთისა და სხვა ქვეყნებიდან მასობრივი მიგრაცია შედეგია ნეოკონსერვატიული პოლიტიკისა, რომელიც ამხობს რეჟიმებს, იჭრება სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე და „დემოკრატიას" პისტოლეტის ლულით ამყარებს.** საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი ლიბიის დაბომბვას, ისინი თავიდანვე ემხრობოდნენ პოლიტიკას — „ასადი უნდა წავიდეს". ასადი, შეიძლება, ყველაზე კარგი ბიჭი არ არის, მაგრამ ძალები, რომლებიც მის დამხობას ცდილობენ, გაცილებით ცუდი და სახიფათო არიან. გასაკვირი არ არის, რომ ადამიანები უკანმოუხედავად გარბიან სირიიდან.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ადამიანების გაქცევის ერთ-ერთი მიზეზი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოც" არის, როგორც ვიცით, **ერაყსა და სირიაში არ იყო „ისლამური სახელმწიფო". ეს ორგანიზაცია 2003 წელს შეიქმნა, ერაყში ამერიკის შეჭრის შემდეგ.**

პრობლემები რომ მოგვარდეს, აშშ-ის იმპერიას ბოლო უნდა მოეღოს", — წერს რონ პოლი.

**«ახლო აღმოსავლეთისა და სხვა ქვეყნებიდან მასობრივი მიგრაცია შედეგია ნეოკონსერვატიული პოლიტიკისა, რომელიც ამხობს რეჟიმებს, იჭრება სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე და «დემოკრატიას» პისტოლეტის ლულით ამყარებს»**



## კიმ დევისი: მზად ვარ, წავიდე ციხეში!

### ქრისტიან ქალს ციხეში ჩასმას უპირებენ ერთნაირსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის გამო

კენტუკის შტატის (აშშ) როუენის ოლქის მოხელე კიმ დევისი, შესაძლოა, პირველი ამერიკელი ქრისტიანი გახდეს, რომელიც შეიძლება ციხეში ჩასვან ერთნაირსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის გამო. **დევისის მოვალეობებში შედის ოლქში ქორწინების დამადასტურებელი მოწმობების გაცემა.**

„ყველაფერი ავწონ-დავწონე და მზად ვარ, წავიდე ციხეში. საქმე პედერასტებსა და ლესბოსელებში არ არის. საქმე ისაა, რომ აუცილებელია უფლის კანონების დაცვა. სამსახურში მისვლამდე მე არ ვტოვებ ჩემს სინდისსა და სულს ავტომობილში," — განაცხადა დაპატიმრებულმა ქალბატონმა.

მას შემდეგ, რაც კიმ დევისმა უარი განაცხადა ერთნაირსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციაზე, მის მეუღლეს სახლის დაწვით, ფიზიკური ძალადობითა და ცოლის გაუპატიურებით ემუქრებოდნენ, ხოლო კიმს — განადგურებით.

აშშ-ის ფედერალურმა სასამართლომ დევისს ერთნაირსქესიანთა ქორწინებების მოწმობების გაცემა დაავალდებულა. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება. კონსტიტუციური სასამართლო კი საერთოდ არ ჩაერია ამ საკითხში.

დევისი ამბობს, რომ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, არ აპირებს თავისი მრწამსის წინააღმდეგ წასვლას.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 26 ივნისს ქვეყნის ყველა შტატში დააკანონა ერთნაირსქესიანთა ქორწინება.

**«ყველაფერი ავწონ-დავწონე და მზად ვარ, წავიდე ციხეში. საქმე პედერასტებსა და ლესბოსელებში არ არის. საქმე ისაა, რომ აუცილებელია უფლის კანონების დაცვა. სამსახურში მისვლამდე მე არ ვტოვებ ჩემს სინდისსა და სულს ავტომობილში»**



# სექსი შავი ჭირის დროს: ვინ რყვნის უკრაინელ ახალგაზრდებს

**ევრომაიდნის ტრიბუნიდან პოროშენკო, იაცენიუკი და უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების სხვა მოთავეები გაჰყვიროდნენ, რომ ხალხს ევროპის კარს გაუღებდნენ და ბედნიერი ევროპული მომავლისკენ წაუძღვებოდნენ, მაგრამ დღეს უკრაინელებს (და არა მხოლოდ მათ) ევროპის კარი, არათუ გაუღეს, ცხვირწინ მიუხურეს და ერთადერთი, რითაც ევროპას მიუახლოვდნენ, თავისებური თავისუფლებაა.**



უკრაინის ქუჩებში მალე დადგამენ კაბინებს, რომლებშიც მსურველები სექსით დაკავდებიან. ასეთი კაბინები, უკვე დიდი ხანია, განლაგებულია ავსტრიაში, შვეიცარიაში, გერმანიასა და ევროკავშირის სხვა მოწინავე ქვეყნებში. ახლა კი უკრაინელ პატრიოტ გოგო-ბიჭებს სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კიევის ქუჩებშიც შეეძლებათ. ამაზე ქალაქის ხელისუფლება იზრუნებს.

„ვერაფრით წარმოვიდგინე ვნების დასაკმაყოფილებელი კაბინები უკრაინაში. ეს, ალბათ, ჩამოსული მდიდარი ბიძიებისთვის კეთდება, ანუ **ეს უკვე წარმოდგენაა ქვეყანაზე, როგორც ბორდელზე",** — ამბობს მწერალი **დიმიტრი ლეკუხი.**

კაბინების გარდა, ზაპოროჟიეში სექსუალური უმცირესობების მხარდასაჭერად გამოიფინება ბანერები ცისარტყელის ფერებში, წარწერით: „მე შენ მიყვარხარ" და „მეც მიყვარხარ".

კიევში, ოდესაში, კრივოი როგში, ჟიტომირსა და ვინიცაში უკრაინული ორგანიზაცია „თავისუფლები ვართ იმიტომ, რომ გათვითცნობიერებულები ვართ", ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით, უკრაინელ ახალგაზრდებს ასწავლის, სწორად როგორ მიმართონ უმცირესობას ქუჩის რეკლამების მეშვეობით.

უკრაინელი ახალგაზრდები კი საუბრებიდან და მოწოდებებიდან საქმეზე გადავიდნენ — ცოტა ხნის წინათ კიევში ფიზიკური სიყვარულის ფესტივალი ჩატარდა პარკში, სახელწოდებით „სიყვარულის ბალი". **კიეველებს გამაოგნებელი მასტერკლასი და წვრთნა ჩაუტარეს: ზოგიერთი გოგონა სტრიპტიზს ცეკვავდა, სხვები მანეკენის დახმარებით აჩვენებდნენ სასიყვარულო მასაჟის ხელოვნებას. ამავე ბალში ჩატარდა კამასუტრას ჯგუფური გაკვეთილები.**

ექსპერტთა აზრით, ამ უცნაური ღონისძიებების ჩატარებით უკრაინის ხელისუფლებას სურს, ახალგაზრდობის ყურადღება ქვეყნის სავალალო მდგომარეობიდან სხვა რამეზე გადაიტანოს.

უკრაინელებს ცუდი სახელი აქვთ ევროკავშირის ქვეყნებში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ბოლო ორი წელია, ევროპაში ყოველი მეოთხე მეძავი უკრაინელია. უკრაინელი მეძავების ნაკადის მოძალების გამო ევროკავშირის ხელისუფლება იძულებული შეიქნა, მათი მიგრაციის საწინააღმდეგო ზომები შემოეღო.

მაგალითად, უკრაინელ ქალებს, რომლებიც თავს მოცეკვავეებად ასაღებდნენ, სინამდვილეში კი სხეულით ვაჭრობდნენ, შვეიცარიაში შესვლა აუკრძალეს. **გერმანულმა გამოცემა „ბილდმა" კი უკრაინას მეძავების ქვეყანა უწოდა.**

ევრომაიდნის შემდეგ ზოგიერთი უკრაინელი ქალისთვის სხეულით ვაჭრობა შემოსავლის ერთადერთ წყაროდ იქცა. ხელში ადვილად ჩასაგდები ქალებისთვის კი ქვეყანაში უამრავი უცხოელი ჩადის. **ევროპაში „პუტანა" 80-დან 100 ევრომდე ღირს, უკრაინაში — 2-3-ჯერ იაფი. სწორედ ამიტომ აყვავდა უკრაინაში სექსტურიზმი.**

მსუბუქი ყოფაქცევის ქალების რაოდენობამ ისე მოიმატა, რომ უკრაინის ხელისუფლება ფასიანი სიყვარულის ლეგალიზებაზე ფიქრობს. მით უმეტეს, რომ ქვეყნის ბევრი პოლიტიკოსი შემოსავალს სექსინდუსტრიიდან იღებს.

მაგალითად, კიევის მერს — **ვიტალი კლიჩკოსა** და მის ძმას გახსნილი აქვთ ღამის კლუბი, რომელშიც 150 უკრაინელი გოგონა მუშაობს და მათი ერთადერთი მოვალეობა ძელის გარშემო ცეკვა არ არის.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დემოკრატია, როგორც ხიდაშელმა აგვიხსნა, მესამედის სურვილის ასრულებაა ორი მესამედის ნების საწინააღმდეგოდ. როგორც ჩანს, სწორედ ეს არის ახალი პოლიტიკური უმაღლესი მათემატიკა. ეს მათემატიკა კი არ სცნობს შეცვლილ ლანდშაფტს, მათ შორის, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ სრულიად მსოფლიოში; არ სცნობს რეალობას, რომ ევრაზია კონტინენტია და არა რომელიმე კავშირის ექსკლუზიური სახელწოდება; არ სცნობს საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს, რომლებიც „ძლიერთა“ ინტერესებს ეწირება.**

# უმაღლესი პოლიტიკური მათემატიკა

**ჯონ მაკკეინის ინსტიტუტის, საერთაშორისო ლიდერობისთვის და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ორგანიზებით, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს საელჩოების მხარდაჭერით, თბილისში გაიმართა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ერთობ მრავალმნიშვნელოვანი სახელი შეურჩიეს: „ევროპის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი: უსაფრთხოება, ეკონომიკური შესაძლებლობები, თავისუფლება და ადამიანური ღირსება ფრონტისპირა ქვეყნებში“. კონფერენციაში საქართველოს პრემიერმინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტი, უშიშროების საბჭოს მდივანი, მინისტრები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები და დიპლომატები მონაწილეობდნენ.**

როგორც ბეჯითი დიასახლისი ამზეურებს ზაფხულის თაკარა მზეზე ზამთრის ტანსაცმელს, ასევე, გაამზეურეს ერთიანად პროდასავლური და პრონატოური ქართული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ბომონდი. გადახედეს, ხომ არაფერი შეცვლილა და, ალბათ, კმაყოფილიც დარჩნენ. **ეს საზოგადოება (ქართული მხრიდან) ჯერაც იუგოსლავიის დაშლამდელ რიტორიკას მისდევს და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შეცვლილ რეალობას ვერ ან არ იმჩნევს. თუმცა დაკვირვებული თვალი ახალ ინტონაციებსაც შეამჩნევდა. პროდასავლურ თავგადაკლულ რიტორიკას წინა ხელისუფლების სახეები და ახალგაოპოზიციონერებული „თავისუფალი დემოკრატები“ ერთგულებენ, „ოცნების“ პირველი პირები კი საკმაოდ ფრთხილ და პრაგმატულ მიდგომას ამჟღავნებენ.**

ასე, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარემ **დავით უსუფაშვილმა** განაცხადა: „კონფერენციის სწორედ თბილისში ჩატარება ეძღვნება არა მხოლოდ ქართულ პრობლემებს, არამედ ევროპის უსაფრთხოებისა და მთლიანობის პრობლემებს. ეს არის გააზრება, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე სხვადასხვა ქვეყნის მხრიდან, რომ საქართველოს პრობლემები ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემები, ეს არ არის მხოლოდ სამხრეთ კავკასიის პრობლემები, ეს არის მთელი ევროპისა და მთელი დემოკრატიული სამყაროს პრობლემა. სწორედ ამ კონტექსტშია განხილული ძალიან ბევრი საკითხი, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობის საკითხები. ყველა, ვინც საქართველოში ჩამოდის ან ვისაც ვხდებით უცხოეთში, მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ატარებს პრინციპულ, ძალიან გონივრულ და სწორ პოლიტიკას, როგორც მეგობრებთან ურთიერთობაში, ისე მტრებთან ურთიერთობაში. იმიტომ, რომ ქვეყნის პოლიტიკა უნდა იყოს სწორი ორივე მიმართულებით. მხოლოდ მტრად და აგრესორად აღიარება ამა თუ იმ ქვეყნის არ კმარა, იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის პრობლემები მოვაგვაროთ“.

ცხადია, ამის შემდეგ მან „აუცილებელი“ რიტორიკაც მოიშველია: „ევროპასთან, აშშ-თან, ევროკავშირთან და ნატოსთან ერთად საქართველო დაძლევს ამ პრობლემებს, ხოლო ცალკე და მარტო ვერ გაუმკლავდება... ამიტომ არის აუცილებელი ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება, ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით დასრულება და ვარშავის სამიტზე ნატოსთან ურთიერთობაში მომდევნო მნიშვნელოვანი ნაბიჯის წინ გადადგმა. ჩვენ ამ ყველაფრის წინაპირობა გვაქვს“.

საქართველოს პრემიერმინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი:** „საქართველო, ჭეშმარიტად, ფრონტის წინა ხაზზე მდგომი ქვეყანაა. ჩვენ, მართლაც, ვიმყოფებით საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მდგარი მრავალი დიდი გამოწვევის წინა ხაზზე. მნიშვნელოვანი რეგიონული საფრთხეებისა და ეკონომიკური დაბრკოლებების წინაშე მდგომნი, ჩვენ ვმართავთ ქვეყანას იმავე პრაგმატული მიდგომითა და შემართებით, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ უსაფრთხოებისა და გადარჩენის მიზნით, ათასწლეულების განმავლობაში. ლიდერთა ჩვენს თაობას ესმის, რომ ქვეყანას არ შეუძლია წარსულის შეცდომების გამეორება და რომ ჩვენ უნდა გავაორმაგოთ ძალისხმევა, რათა უზრუნველვყოთ უსაფრთხო, უფრო თავისუფალი და აყვავებული მომავალი... ჩვენ მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი ქვეყნის წმინდა სუვერენიტეტი. ჩვენ უნდა დავამყაროთ ხანგრძლივი მშვიდობა, რომელიც დაეყრდნობა სიძლიერეს და პრაქტიკულ ურთიერთობას ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი — რუსეთთან“.

და აქაც კვლავ „აუცილებელი“ რიტორიკის ჩანართი: **„ძირითადი კომპონენტი საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე არის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია“.**

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი:** „რომ ვისაუბროთ ცალკე შემთხვევებზე, რა ხდება საქართველოში, რა ხდება უკრაინაში, რა ხდება, მაგალითად, ყირიმში, ცხინვალში, ასე ცალ-ცალკე. ეს შეიძლება არ იყოს სწორი მიდგომა. ჩვენ გვაქვს კონკრეტული საგარეო პოლიტიკური მესიჯი და ხედვა რუსეთისგან, ჩვენ ამას არ უნდა გავექცეთ, აუცილებლად უნდა მოვამზადოთ პასუხი ამ დამოკიდებულებაზე. მე ჯერ კიდევ ვერ ვხედავ ჩამოყალიბებულ პასუხს იმ სახელმწიფოებს შორის, რომელთა ჯგუფსაც მივეკუთვნებით“.

**აქაც, ხარკი — „აუცილებელ“ რიტორიკას.**




**თუ მონტენეგროს ნატოში შესვლა მისი მოსახლეობის ერთი მესამედის ნებით უნდა მოხდეს, მაშინ რა უშლის ხელს საქართველოს, ამავე ერთი მესამედის ნებით ევრაზიულ კავშირში შევიდეს? ხუმრობა იქით იყოს და, საერთოდაც, რატომ უნდა მიიღონ მონტენეგრო ნატოში, თუ მოსახლეობის ორ მესამედს იქ შესვლა არ უნდა?**

ახლა კი ყველაზე თავგამოდებული ნატოელებისა და მედასავლეთეების გამონათქვამებს გადავხედოთ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი **თინა ხიდაშელი:** „საქართველოში თუ ნატომ კრახი განიცადა, ეს იქნება კრახი ძალიან ბევრი მიმართულებით. თუ ნატო გამოიჩენს სიფრთხილეს რუსეთის მიმართ, ამით მას გზას გაუხსნის, ვინაიდან ძალიან ბევრი ძალა, ძალიან ბევრი ადამიანი ელოდება, რომ ნატო გაჩერდება და დაფრთხება. სწორედ ამაზე პასუხი უნდა იყოს ვარშავის სამიტი. დღეს ჩვენ მოვისმინეთ, რომ, თუ დღეს რომელიმე ქვეყანა იმსახურებს ნატოს წევრობაზე მიწვევას, ეს არის მონტენეგრო. მე სრულად ვუჭერ მხარს მათ გაწევრიანებას. მაგრამ მთავარი შეკითხვა, ფუნდამენტური შეკითხვა, რაც მაქვს, არის ის, რატომ მონტენეგრო, სადაც მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლები არის ალიანსში გაწევრიანების მომხრე და არა საქართველო, სადაც ორ მესამედზე მეტი უჭერს მხარს ნატოში ინტეგრაციას? რატომ არ ვართ ჩვენ შესაფერისები? გვესმის, რომ არის გარკვეული ცინიზმი ამ კითხვაში, მაგრამ ეს არის გამოწვევა, რომელსაც ჩვენ ვიღებთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ყველა კედელი დავანგრიოთ და ყველა დავარწმუნოთ, რომ, თუკი რამე უნდა მოხდეს ვარშავაში, ეს სწორედ ნატოს გაფართოებაა“.

ამ ტირადის მთავარ მარგალიტს კიდევ მივუბრუნდებით, აქ კი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ **ლინას ლინკევიჩიუსის** გალიზიანებული პასუხი მოვისმინოთ: **„მოგიწოდებთ, შეწყვიტოთ წუწუნი და გააგრძელოთ ბრძოლა. თქვენ უკვე გაქვთ ნატოს საწვრთნელი ცენტრი და ყველა ბერკეტი და დაპირება. მთავარია მუშაობა. მართალია, ამბობენ, რომ ზოგი ეჭვის თვალით უყურებს ნატოში შესვლას, მაგრამ ეს ეჭვები თქვენ უნდა გააქარწყლოთ“.**

ამავე საკითხზე საუბრისას ლინკევიჩიუსმა განაცხადა, რომ ოპოზიციისა და ხელისუფლების ბრძოლაში ბევრი დრო იკარგება, რაც არც ისე კარგი მესიჯია: **„არ არის აუცილებელი, ოპოზიციის წარმომადგენლები ციხეში გამოკეტოთ, შეგიძლიათ, უფრო დამაჯერებლად და ნაკლებად მტკივნეულად იმუშაოთ“.**

აი, ასე — **ერთად იყავით და დაიცავით დასავლეთის კიდე-ბასტიონი, ერთად იარეთ ნატოსკენ და ხალხს ყურს ნუ მიუგდებთო. სწორედ ეს დამოკიდებულება გამჟღავნდა ხიდაშელის გამონათქვამში მონტენეგროს შესახებ, სადაც მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედია ნატოში შესვლის მომხრე, მაგრამ მონტენეგრო მაინც უნდა შევიდეს ნატოში. მერე რა, რომ ორი მესამედი წინააღმდეგია! ნატოში საქართველოს შესვლის შეფერხების მიზეზად დემოკრატიის ხარისხზე მიგვითითებენ ხოლმე და, როგორც ამ ერთი მაგალითითაც ირკვევა, ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის დემოკრატია; ეს აღარ არის უმრავლესობის ნების აღსრულება, ახლა დემოკრატია უმცირესობის მოსაზრებით მოქმედებაა!**

ამავე ლოგიკით, გასაგები ხდება, რატომ ჰქონდათ პროდასავლურ და დასავლურ ძალებს ასეთი მძაფრი რეაქცია აი-რაის გამოკითხვით ევრაზიული კავშირის მომხრე 30%-ის გამო: **თუ მონტენეგროს ნატოში შესვლა მისი მოსახლეობის ერთი მესამედის ნებით უნდა მოხდეს, მაშინ რა უშლის ხელს საქართველოს, ამავე ერთი მესამედის ნებით ევრაზიულ კავშირში შევიდეს? ხუმრობა იქით იყოს და საერთოდაც რატომ უნდა მიიღონ მონტენეგრო ნატოში, თუ მოსახლეობის ორ მესამედს იქ შესვლა არ უნდა?**

ხიდაშელის რიტორიკა, ოღონდ პოლიტიკური რევანშის სურვილით გამძაფრებული, საქართველოს რეფორმების ასოციაციის თანადამფუძნებლის, **ელენე ხოშტარიას,** ტირადაში ჩანს: **„ამჟამინდელი მთავრობა, სამწუხაროდ, ღიად უჭერს მხარს პრორუსულ, პროქართულ, ანტიევროპულ გაზეთებს, ტელევიზიებს, აძლიერებს მათ, აფინანსებს, აკეთებს ისეთ გზავნილებს, რომ რუსეთთან ვაჭრობა არის ერთადერთი გადამრჩენი და მთელი ეკონომიკა ამაზე უნდა ავაგოთ; ქმნის ილუზიას, რომ შეგვიძლია, დავარეგულიროთ რუსეთთან ურთიერთობა და თან გავხდეთ ნატოს წევრები**

ამ ტირადას იქვე მოჰყვა პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორის, საქართველოს კარგი მცოდნის, **ჩარლზ ფერბენქსის,** მწვავე რეაქცია: „დიპლომატიის ანბანი ვინც იცის, მსგავსი განცხადებები არ უნდა აკეთოს, მთავრობა ძალიან ფრთხილად და სწორად მოქმედებს რუსეთის მიმართ“. სამიოდე წლის წინათ საქართველოს ნომერ 2 დიპლომატს ფერბენქსმა უაპელაციოდ მიუჩინა ადგილი.

**ასეთივე შეკამათება მოხდა პარლამენტის თავმჯდომარესა და თამარ ჩერგოლეიშვილს შორის, რასაც შემდეგ ირაკლი ალასანიას პასუხი მოჰყვა და აღარ არის გასაკვირი, რომ მისი პოზიცია სწორედ გიგა ბოკერიას მეუღლისას დაემთხვა.**

კონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილის მხრიდან არაფორმალური მმართველობის შესახებ დავით უსუფაშვილს კითხვით თამარ ჩერგოლეიშვილმა მიმართა. „ფორმალური დიქტატორი სჯობს თუ არაფორმალური ზეგავლენის მქონე ადამიანი?“ — ასეთი კონტრშეკითხვით უპასუხა უსუფაშვილმა თამარ ჩერგოლეიშვილს. მან პირდაპირ მიანიშნა სააკაშვილზე, რომლის ფორმალური დიქტატურა ჩერგოლეიშვილს არასოდეს გაუპროტესტებია. „არაფორმალური ლიდერის გავლენის საკითხი არ არის ის მთავარი პრობლემა, რომლის წინაშეც საქართველო დგას“.

დავით უსუფაშვილის ეს მიდგომა არ გაიზიარა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ: „დიდ პატივს ვცემ დავით უსუფაშვილს, მაგრამ ვერ დავუჭერ მხარს, როდესაც ის არაფორმალური მმართველობის თემის გამარტივებას ცდილობს. უნდა შეიცვალოს არაფორმალური მმართველობა, რომელიც ახლა არის გასამმაგებული. ჩვენ გვაქვს ვითარება, როდესაც არაფორმალური ლიდერი სრულ კონტროლს ახორციელებს მთავრობასა და პარლამენტზე და ამ დროს ნულოვანი ანგარიშვალდებულება აქვს. ეს ძალიან ცუდია, როგორც გარე ფაქტორების თვალსაზრისით, ისე ქვეყნის შიგნითაც“.

ალასანიამ იმედი გამოთქვა, რომ ამ ვითარებას ახალი საპარლამენტო არჩევნები შეცვლის. არც ის დავიწყებია, რომ პრეზიდენტზე და, ამასთანავე, მთავარსარდალზე თავდასხმები ქვეყნის იმიჯს აზიანებს. იმაზეც ისაუბრა, რა არის საჭირო, რათა საქართველოს გზა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ წარმატებული იყოს. მისი თქმით, ძალიან დიდი შეცდომა იქნება, თუ თვალს დავხუჭავთ იმ მიღწევებზე, რომლებიც წინა მთავრობას აქვს, კერძოდ, სახელმწიფო ინსტიტუტების ▶

„ერთი ეგაა, ხალხს არ ხოცავენ და ციხეებს არ ურჭობენ, თორემ ესენი „ნაციონალებს“ არაფრით ჩამოუვარდებიან. უაღრესად მძიმე სოციალური ფონი შექმნა ამ ხელისუფლებამ. ცხადია, ეს პროცესები „ნაციონალების“ დაწყებულია, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში რაღაც მაინც ხომ შეიძლებოდა გაეკეთებინათ, რათა ხალხს ცოტათი ამოესუნთქა?! სამწუხაროდ, ტყუილების თქმის მეტი ამ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია“.

წითელი ბარათი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მშენებლობის კუთხით. ნატოსთან ინტეგრაციის საკითხში ალასანიამ არც შევარდნაძეს დაუკარგა ღვაწლი, არც სააკაშვილს და არც მარგველაშვილს. გამსახურდია, ცხადია, არ უხსენებია, რადგან პირველი პრეზიდენტი მკაფიოდ აცხადებდა: საქართველო იმიტომ კი არ გამოვიდა საბჭოთა კავშირიდან, რომ დასავლეთის კოლონია გამხდარიყო. ალასანიას თქმით, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის მისაღწევად საჭიროა, საქართველოს ჰქონდეს გეგმა, ერთიანი ხედვა და მიდგომა და ასევე საჭიროა, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა წინ წავიდეს.

**დემოკრატია კი, როგორც ხიდაშელმა აგვიხსნა, მესამედის სურვილის ასრულებაა ორი მესამედის ნების საწინააღმდეგოდ. როგორც ჩანს, სწორედ ეს არის ახალი პოლიტიკური უმაღლესი მათემატიკა. ეს მათემატიკა კი არ სცნობს შეცვლილ ლანდშაფტს, მათ შორის, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ სრულიად მსოფლიოში; არ სცნობს რეალობას, რომ ევრაზია კონტინენტია და არა რომელიმე კავშირის ექსკლუზიური სახელწოდება; არ სცნობს საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს, რომლებიც „ძლიერთა“ ინტერესებს ეწირება.**

ეს „ახალი“ მათემატიკა კარგად დავიწყებული კოლონიური პოლიტიკის გამოძახილია, უბრალოდ, იგი დღეს კეთილშობილური სიტყვებით არის შეფუთული. **ბოლო ოც წელიწადში გამოზრდილი ჩვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ელიტა ამ სიტყვებს ისე იმეორებს, თითქოს იუგოსლავია დღესაც ერთიანი სახელმწიფოა, ხოლო ნატოს იქ „დემოკრატია“ ჯერაც არ დაემყარებინოს „ჰუმანიტარული“ დაბომბვებით.**

ამასობაში კი ევროპისკენ ლტოლვილების ნაკადი დაიძრა. არის ასეთი ხუმრობაც (თუ ამ თემაზე ხუმრობა საერთოდ შეიძლება): **„ლტოლვილები იმ ქვეყნებმა უნდა მიიღონ, რომლებიც ერაყს, ლიბიასა და სირიას ბომბავდნენ, პროცენტულად — იმდენივე, რამდენსაც ბომბავდნენ“!**

„ევროპის ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი: უსაფრთხოება, ეკონომიკური შესაძლებლობები, თავისუფლება და ადამიანური ღირსება ფრონტისპირა ქვეყნებში“ — კონფერენციის ეს სახელწოდება დღეს კიდევ უფრო სიმბოლურია. ევროკავშირის ქვეყნები დღეს მართლაც ფრონტისპირა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და არამხოლოდ უკრაინის კრიზისის გამო. მთისა და მუჰამედის ანდაზა სრულდება: **ჯერ შენ ბომბავ სხვა ქვეყნებს „დემოკრატიის“ სახელით, მერე დაბომბილები მოდიან შენთან და „ხავერდოვან“ ძვრებს იწვევენ შენს ქვეყანაში.**

**დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლიდა, რომ ენერგია ვერ წარმოიქმნება არაფრიდან და ვერ გაქრება უკვალოდ. ყველა ჩარევას ცვლილებები მოჰყვება. როცა ღმერთი არ გწამს, ამ კანონებს მაინც უნდა დაემორჩილო, თუ არადა, ეს კანონები დაგიმორჩილებს.**



# ჰამლეტ ჭიპაშვილი: წითელ ბარათს ვუჩვენებდი ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც საქართველო მოატყუა

**თამაშის წესების დარღვევისთვის მსაჯს უფლება აქვს, ფეხბურთელს წითელი ბარათი უჩვენოს და მინდვრიდან გააძევოს. ამ ბარათების რაოდენობა ზოგჯერ საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოს, მექსიკური გუნდების — „ატლეტიკოსა“ და „ესპანიოლის“ — მოთამაშეები მსაჯმა გონსალესმა 26 წითელი ბარათით დასაჯა. თუმცა ფეხბურთის ისტორიაში ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა არგენტინელმა მსაჯმა დამიან რუბიომ. მან ბუენოს-აირესში გამართულ მატჩში საფეხბურთო კლუბების — „კლეიპოლესა“ და „აურელიანო არენასის“ — მოთამაშეებსა და მწვრთნელებს 36 წითელი ბარათი უჩვენა(!). თამაშის წესებს ხშირად არღვევენ პოლიტიკოსებიც, თუმცა მათი უმრავლესობა, როგორც წესი, დაუსჯელი რჩება. მეტიც — ვინაიდან ჩვენში პოლიტიკა კვლავ სარფიან საქმედ მიიჩნევა, ბევრი — მრავალი წლის განმავლობაში, ზოგიერთი კი — სამუდამოდ კვლავ აქტიურ პოლიტიკოსად რჩება. საზოგადოების წარმომადგენელთა აზრით, რომელი პოლიტიკოსი იმსახურებს „პოლიტიკურ წითელ ბარათს“, ჩვენი ახალი რუბრიკიდან შეიტყობთ. რუბრიკა „წითელი ბარათის“ პირველი სტუმარია პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი.**



## «თინა ხიდაშელი თავისი ბრიყვული განცხადებებით ჯერ კიდევ პარლამენტში ყოფნისას იწვევდა ანტიპათიას და იმსახურებდა წითელ ბარათს, ანუ პოლიტიკიდან გაძევებას, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ იურისტობაზე დებს თავს, სწორედ ამ სფეროში აკეთებდა სულელურ განცხადებებს»

**— ბატონო ჰამლეტ, შეგიძლიათ, დაასახელოთ, ქართული პოლიტიკური სპექტრიდან ყველაზე მეტად ვინ გაგიცრუათ იმედი, ვის უჩვენებდით წითელ ბარათს?**

— „ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში სიმპათია-ანტიპათიაზე საუბარიც კი ზედმეტია. სააკაშვილის ხელისუფლება წითელ ბარათს იმსახურებს. რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, იმედი არ გამცრუებია, ვინაიდან ამ ხელისუფლების იმედი არასდროს მქონია. ამ ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი თავის დროზე „ნაციონალებთან“ თანამშრომლობდა და, აქედან გამომდინარე, მათგან ახალს არაფერს ველოდი. პრემიერიდან დაწყებული, პრეზიდენტის ჩათვლით, ჩემს ნეგატიურ დამოკიდებულებას იმსახურებენ. განსაკუთრებით გამოვყოფდი მეტიჩარა თავდაცვის მინისტრ **თინა ხიდაშელს,** რომელიც ბევრ ცუდ საქმეს გააკეთებს და შესაძლოა, ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანოს, **ამიტომ მას წითელ ბარათს ვუჩვენებდი და პოლიტიკური ასპარეზიდან გავაძევებდი.**

ჩემს ანტიპათიას იმსახურებს, აგრეთვე, ხიდაშელის ბრიყვულად თავდაჯერებული მეუღლე, პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილიც.** ასეთივე დამოკიდებულება მქონდა ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ **თამარ ბერუჩაშვილის** მიმართაც. არ მომწონს სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ დანელია,** რომელიც აშკარად აზრზე არ არის, რა არის სოფლის მეურნეობა. არ მომწონს ქალაქის მერი **დავით ნარმანია, ეკა ბესელია, ძმები ბერძენიშვილები, ირაკლი ალასანია** და მისი გუნდი. ვფიქრობ, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, **ყველაზე მეტად გამაღიზიანებელია ხიდაშელი, თავისი აგრესიული და გაუწონასწორებელი ქმედებებითა და განცხადებებით.**

**— თინა ხიდაშელის რომელი ქმედება ან საქციელი არ მოგეწონათ ყველაზე მეტად?**

— **თინა ხიდაშელი თავისი ბრიყვული განცხადებებით ჯერ კიდევ პარლამენტში ყოფნისას იწვევდა ანტიპათიას და იმსახურებდა წითელ ბარათს, ანუ პოლიტიკიდან გაძევებას, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ იურისტობაზე დებს თავს, სწორედ ამ სფეროში აკეთებდა სულელურ განცხადებებს.** მას არ ესმის, რომ მისი მოქმედების ზონა თავდაცვის სამინისტროა. თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ხშირად იჭრება საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციებში და ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი განცხადებებით გამოდის.

თავდაცვის მინისტრი გაემგზავრა საფრანგეთში და ხელი მოაწერა ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შესყიდვას ისე, რომ ეს არც პარლამენტმა იცის და მგონი, დღემდე არავინ იცის, რას მოაწერა ხელი.

ხიდაშელი არის პიროვნება, რომელიც დაძაბავს ისედაც დაძაბულ ურთიერთობას რუსეთთან. ის ერთ-ერთი ინიციატორია ნატოს საწვრთნელი ბაზის საქართველოში განთავსებისა, რომელიც, როგორც ხარისთვის წითელი ნაჭერი, ისევეა რუსეთისთვის.

**— თუმცა, არამხოლოდ თავდაცვის მინისტრი, მთლიანად ხელისუფლება ამბობს, რომ ქვეყნის კურსი არის ევროატლანტიკური. ფიქრობთ, რომ თინა ხიდაშელის ადგილზე სხვა რაიმეს შეცვლას შეძლებდა?**

— როდესაც თავდაცვის მინისტრი **მინდია ჯანელიძე** იყო, ის წყნარად მუშაობდა და არც განცხადებებით აღიზიანებდა ვინმეს. საერთოდ კი, დღევანდელი ქართული პოლიტიკა ცუდი გზით მიდის და, უპირველეს ყოვლისა, ამ პოლიტიკის შეცვლაა საჭირო.

**— რა არის დღეს ქართული პოლიტიკის ყველაზე დიდი პრობლემა?**

— მთავარი პრობლემა დღეს ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი და მისი ბრმად, ყოველგვარი გააზრების გარეშე აყოლაა. **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის მოკავშირეებსაც კი პრობლემები შეუქმნა. ის ტალღა, რომელიც დღეს ევროპის ქვეყნებს ლტოლვილების სახით მიაწყდა, მისთვის ცუდად დამთავრდება. ასეთ დროს ვიზების ლიბერალიზაცია და აშშ-ის პარტნიორობა გაუმართლებელია.** ეს კარგს არაფერს მოიტანს.

**— მიუხედავად ასეთი დახასიათებისა, რესპუბლიკელები დღეს ყველაზე ინტელექტუალურ ძალად ითვლებიან ქართულ პოლიტიკაში.**

— ინტელექტუალურ ძალად სხვებთან შედარებით ითვლებიან, ერთი-ორი წიგნის წაკითხვა ინტელექტს არ ნიშნავს. თუმცა ისინი მაინც ჩანან სხვა პოლიტიკოსების ფონზე, რომლებსაც საერთოდ არაფერი წაუკითხავთ. ხშირად ვუსმენ რესპუბლიკელების განცხადებებს და მინდა, გითხრათ, რომ ამას ინტელექტთან საერთო არაფერი აქვს. ან მათი ლიტერატურაში გათვითცნობიერება (რაც, ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას) რატომ ნიშნავს, რომ პოლიტიკაშიც გათვითცნობიერებულები არიან?! ამას გარდა, წიგნის კითხვამ საღ აზროვნებას უნდა შეუწყოს ხელი, საღად აზროვნება კი რესპუბლიკურ პარტიას, სამწუხაროდ, არ შეუძლია. თუ ძმები ბერძენიშვილების, განსაკუთრებით **ლევან ბერძენიშვილის,** ინტელექტს გულისხმობთ, ერთი ლევან ბერძენიშვილის ინტელექტის გამო მთელ რესპუბლიკურ პარტიაზე საუბარი, უბრალოდ, სირცხვილია.

მინდა, დავამატო, რომ **ჩემს წითელ ბარათს, როგორც ფეხბურთშია, აგრეთვე, ვუჩვენებდი ბიძინა ივანიშვილს, რომელიც მართალია, პოლიტიკაში აღარ არის, მაგრამ იმ უარყოფით მოვლენებში, რომლებიც დღეს ხდება საქართველოში, სწორედ ის არის დამნაშავე,** რადგან მან საქართველო მოატყუა. თითქოს გვყავს მთავრობა, პრემიერი, პრეზიდენტი, მინისტრები, მაგრამ ყველა მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს პიროვნება, რომელსაც დღეს არანაირი ოფიციალური თანამდებობა არ აქვს ხელისუფლებაში.

**— თუმცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ჩარევას უარყოფს და ამბობს, რომ პოლიტიკიდან წავიდა...**

— კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი, ბევრი მინისტრი სწორედ მის „ქართუ ბანკში“ მუშაობდა... ცოტა ხნის წინათ გაოცებული ვათვალიერებდი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, სადაც მეცნიერებათა აკადემიის წერილი ვნახე. ისინი მადლობას უხდიდნენ ბიძინა ივანიშვილს და მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის ანგარიშს წარუდგენდნენ. რატომ უნდა უგზავნიდეს მეცნიერებათა აკადემია ანგარიშს კაცს, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს პოლიტიკასთან?

**ივანიშვილს სურს, იყოს საქართველოს მმართველი, ოღონდ იატაკქვეშეთიდან, რაც დამღუპველია ქვეყნისთვის.**

**— თქვენ მიერ დასახელებულმა ადამიანებმა რა შეცვალეს ქართულ პოლიტიკაში?**

— დადებითისკენ არაფერი შეცვლილა. ყველაფერი უარესადაა, **ერთი ეგაა, ხალხს არ ხოცავენ და ციხეებს არ ურჭობენ, თორემ ესენი „ნაციონალებს“ არაფრით ჩამოუვარდებიან. უაღრესად მძიმე სოციალური ფონი შექმნა ამ ხელისფლებამ.** ცხადია, ეს პროცესები „ნაციონალების“ დაწყებულია, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში რაღაც მაინც ხომ შეიძლებოდა გაეკეთებინათ, რათა ხალხს ცოტა ამოესუნთქა?! სამწუხაროდ, ტყუილების თქმის მეტი ამ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულია 585 ათასი კაცი. სოფლად არიან თვითდასაქმებულები, რომელთა მფლობელობაშიც ნახევარი ჰექტარი მიწაა, ისინი ათას ლარსაც ვერ აგროვებენ წლის განმავლობაში“**

**დემურ გიორხელიძე:**

# მთავრობა ხალხს ატყუებს

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ელექტროენერგიის ტარიფები გაზარდა. ტარიფი „ენერგო პრო ჯორჯიას“ მოთხოვნის საფუძველზე, თავდაპირველად, რეგიონებს გაეზარდათ, ხოლო მოგვიანებით სემეკმა „თელასის“ მოთხოვნაც დააკმაყოფილა და შედეგად დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის დენის ტარიფი 3-4 თეთრით მოიმატებს. საუბარია ბუნებრივი აირის ტარიფის გაზრდაზეც.

„ელექტროენერგიის გაძვირება ძალიან მგრძნობიარე თემაა, რადგან ეს ყოველთვის იწვევს ისეთი პროდუქტის გაძვირებას, როგორიცაა, მაგალითად, პური და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტები. ასეთი ჯაჭვური რეაქცია სავსებით ბუნებრივია და უნდა ველოდოთ, რომ ზოგიერთ პროდუქტზე ფასი მართლაც გაიზრდება“, — ამბობენ ექსპერტები. ხელისუფლება კი თვლის, რომ ტარიფების მომატება გარდაუვალი იყო და ამ პროცესს დოლარის გამყარებასა და ლარის გაუფასურებას უკავშირებს.

ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** გვესაუბრება ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებასა და უახლოეს მომავალში საქართველოს მოსახლეობის შესაძლო მდგომარეობაზე, ანუ როგორი შემოდგომა და ზამთარი გველის...



## «თითოეული ოჯახის ხარჯი 300 ლარზე მეტით მოიმატებს»

**— ბატონო დემურ, სემეკის გადაწყვეტილებამ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდაზე ზოგიერთი პროდუქტის გაძვირება გამოიწვია. როგორი შემოდგომა გველის?**

— ამ შეკითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია, ტენდენციას უნდა დავაკვირდეთ. ფასების ზრდა უკვე გამოიკვეთა, რაც გამოწვეულია არა მხოლოდ ლარის დევალვაციით, არამედ იმ პოლიტიკით, რომელიც ქვეყნის შიგნით მიმდინარეობს, ასევე, გასათვალისწინებელია საგარეო ფაქტორებიც.

**— ეკონომიკურ პოლიტიკაზე საუბრობთ?**

— არა, საზოგადოდ, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკაზე, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ეკონომიკური პოლიტიკა.

იმის პროგნოზირება, რაც დღეს ხდება, შესაძლებელი იყო, ამაზე ყველა საღად მოაზროვნე ეკონომისტი საუბრობდა, მათ შორის, მეც. **ვიცოდით, რომ ყოველი მომდევნო წელი უარესი იქნებოდა ეკონომიკის მხრივ, რაც დღეს აშკარაა.**

თუ ჩვენი მთავრობა საბაზრო ეკონომიკაზე საუბრობს, საუბრობს კანონმდებლობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოზე, ანუ დასავლური ტიპის სახელმწიფოზე, მაშინ ამ სახელმწიფოს ინსტიტუტები უნდა მართავდნენ და თამაშის წესებსაც უმაღლესი ხელისუფლება უნდა აწესებდეს. საქართველოში კი ყველაფერი მორღვეულია — ხელისუფლება ხელს უწყობს მონოპოლიებს, რომელთა მადაც შეზღუდული არ არის. **ქვეყანაში ხელისუფლება და ბიზნესი ერთმანეთშია შერწყმული. ხელისუფლების გარეშე ბიზნესის კეთება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, სწორედ ამან განაპირობა დღეს ფასების ზრდა.**

**— ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბიზნესი ხელშეუხებელია...**

— შუაღამეს ნოტარიუსის თანდასწრებით ბიზნესს სხვის სახელზე არავინ აღარ აფორმებს, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული მონოპოლიური ჯგუფები შესანიშნავად გრძნობენ თავს, პრობლემები არ აქვთ; რადგან თამაშის წესები არ შეცვლილა, ახალ ჯგუფებს კონკურენციის არ არსებობის გამო დამკვიდრება უჭირთ.

ქვეყანაში ჩაკეტილი საბანკო სისტემაა, მაგალითს მოგიყვანთ ბანკების საზიზღარ ლობირებაზე: რამდენიმე ბანკის დამსახურებით, საქართველოში ბაზარზე მხოლოდ ჩაი „გურიელი“ არსებობს, რადგან მეწარმეებს, რომლებსაც უკეთესის შეთავაზება შეუძლიათ, გასაქანს არ აძლევენ. ეს კანონის დარღვევაა. ბანკის საქმე არ არის, ბაზარზე რომელი ფირმა იმუშავებს, მათი საქმეა, კონკურენტულ პირობებში თანხის გაცემა, მაგრამ ბანკი ამ ახინჯი სისტემის ნაწილია და ყველა ერთმანეთს იცავს. ბიზნესის სფერო ახალი მოთამაშეებისთვის ჩაკეტილია.

**ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლების პროფანული განცხადება, რომ „ფასებს ბაზარი არეგულირებს და ჩვენ არ ვერევით“, სასაცილოა თავისი შინაარსით, რადგან ფასებს არეგულირებს კონკურენცია, დასავლური ტიპის საბაზრო ეკონომიკა, სადაც არსებობს შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმები და ერთიანი თამაშის წესები. თუ არც ერთი საბაზრო ინსტიტუტი დასავლური საბაზრო ეკონომიკისა ქვეყანაში არ ფუნქციონირებს, მაშინ ძალიან შეუფერებელია, ამბობდე „ბაზარი დაარეგულირებს ფასებს და ჩვენ ამაში არ ვერევით“. ეს სიტყვები ნიშნავს, რომ ხელისუფლება ნიღბავს თავის ინტერესს ბიზნესში.**

**— ბატონო დემურ, თვლით, რომ შიგა ტარიფების ზრდა შიგა პოლიტიკის ბრალია, თუმცა ხელისუფლება საპირისპიროს ამტკიცებს — მოსახლეობას უხსნიან, რომ ეს გარე ფაქტორების ბრალია და რომ დოლარის კურსის გამყარების გამო სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ.**

**— ტარიფების ზრდა ხელისუფლების უდიდესი შეცდომაა. ტყუილია, როცა ამბობენ, სხვა გამოსავალი არ იყოო, ტყუილს ამბობს მარეგულირებელი კომისიაც. მთავრობა ხალხს ატყუებს. ენერგომატარებლებიც ეკონომიკის სფეროა და ერთი სფეროს ხარჯზე სხვა დარგების „კარგი მდგომარეობის“ შენარჩუნება უფრო დიდ პრობლემას გამოიწვევს.**

ახლა საუბარია, რომ ბუნებრივ აირზეც გაიზარდოს ფასები, რაც კატასტროფა იქნება, რადგან ბუნებრივი აირის ფასი ისედაც ყოველგვარ ზღვარს არის გადასული. ხელისუფლება კვლავ ხელს უწყობს დიდი ხნის ჩამოყალიბებულ მახინჯ სტრუქტურებს, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის დროიდან მოყოლებული განაგებენ ენერგეტიკის სფეროს.

**— რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს მოსახლეობა ცოტა ხანში და აქვე მინდა, გკითხოთ: ახალი სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტია დასაქმებული?**

— **ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში დასაქმებულია 585 ათასი ადამიანი. სოფლად თვითდასაქმებული ადამიანები არიან, რომელთა მფლობელობაშიც ნახევარი ჰექტარი მიწაა, ისინი ათას ლარსაც ვერ აგროვებენ წლის განმავლობაში.** თუ ჩვენ სამუშაო ადგილებზე ვსაუბრობთ, უნდა ვილაპარაკოთ არა სასოფლო-სამეურნეო ადგილებზე დასაქმებულ ადამიანებზე, არამედ ხელფასიანთა რაოდენობაზე. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობა გვაქვს. 585 ათას ადამიანზე ვსაუბრობთ, ქვეყანაში კი ჯანმრთელი, შრომისუნარიანი ადამიანი თითქმის მილიონ 800 ათასამდეა, რა უნდა ვუყოთ მათ? რამდენი წელი უნდა ვიაროთ ამ გზით? როდემდე უნდა ვითვალოთ თვითდასაქმებული ადამიანები? **ამ გზით სიარული 2016 წელს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდებს.**

**— მთავრობა სუბსიდირებას გვპირდება, შეძლებენ მოსახლეობისთვის დახმარების გაწევას?**

— ეკონომიკის ზრდის ტემპი დაბალია, ღარიბი მოსახლეობის სუბსიდირება შეუძლებელია, რადგან მათი რაოდენობა ძალიან დიდია. ხელისუფლებამ ამ ღარიბებს შორის უფრო ღარიბი უნდა ამორჩიოს... ვერ ვხედავ რესურსს, რომლითაც ღარიბ მოსახლეობას დაეხმარებიან.

**— ბატონო დემურ, როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, განაცხადეთ, რომ ყოველი მომდევნო წელი უკეთესი იქნებოდა. როდის გაგიცრუვდათ იმედი?**

— მე თვითონ ვიყავი „ქართულ ოცნებაში“ ეკონომიკისა და გარემოს დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი და გახლდით იმ კონცეფციის თანაავტორი და ხელმძღვანელი, რომელიც ძალიან კარგ სპეციალისტებთან ერთად შევადგინეთ. ჩვენ ვამბობდით, რომ ყველაფრის გაკეთება შესაძლებელია, მაგრამ კოალიციაში კვოტებით განაწილდა თანამდებობები და მოდერნიზაციაზე, რეფორმებზე საუბარი აღარ იყო. **2012 წლის აგვისტოსთვის ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ არაფერი სერიოზული აღარ გამოვიდოდა. „ოცნებამაც“ ვიწრო, ქართულ პარტიულ ინტერესებზე დაიწყო ზრუნვა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ადამიანებს დაავიწყდათ ქვეყანა.**

**— თქვენ ეკონომიკური გუნდიც მოგწონდათ.**

— ეკონომიკური გუნდი არ მომწონდა.

**— ეკონომიკის ახლა უკვე ყოფილ მინისტრ გიორგი კვირიკაშვილზე ამბობდით, რომ ნიჭიერი კაცია და თავისი საქმე იცისო.**

— კვირიკაშვილზე ახლაც იმავეს ვიტყვი. ის ძალიან წესიერი და კვალიფიციური ადამიანია, მაგრამ დღეს ცალკეული მინისტრი ასრულებს იმ დავალებას, რომელსაც მთავრობისგან მიიღებს. თითოეულ ჩვენგანს პრეტენზია მთავრობასთან უნდა გვქონდეს, რადგან მინისტრები დავალებას ასრულებენ. შედეგიც შესაბამისი გვაქვს.

**— არსებობს თუ არა ოფიციალური სტატისტიკა, რამდენად გაუძვირდება ცხოვრება საქართველოში მცხოვრებ ოჯახებს. აქამდე სავარაუდო მონაცემები არსებობდა.**

— სტატისტიკის სამმართველომ ეს უკვე დათვალა. **ცხოვრება არანორმალურად ძვირდება. შეხედეთ მხოლოდ სამკურნალო საშუალებების ზრდის ტენდენციას. შარშან ექვს თვეში საქართველოში შემოვიდა 176 მილიონი ამერიკული დოლარის წამალი, ხოლო წელს, ექვს თვეში — 405 მილიონი დოლარის, ანუ 226 მილიონით მეტი. გასაგებია, ქვეყანაში ჯანმრთელი ხალხი არ ცხოვრობს, სიღარიბის გამო ავადმყოფობები მძვინვარებს, მაგრამ ასეთი მასშტაბური ზრდა წამლის მოხმარებისა გაუგებარია.** ცხადია, დამატებითი 226 მილიონი დოლარის წამალი ბაზარზე იქნა შეძენილი და ამან დამატებით იმოქმედა ლარზე. ქვეყანა იმპორტზე დამოკიდებული დარჩა, შემნაცვლებელი არაფერია, ქვეყანა არ ვითარდება, არც განვითარდება, რადგან მონოპოლიური ჯგუფები ადგილობრივი წარმოების განვითარებას არ დაუშვებენ, საქმიანობის არეალს არ შეიკვეცავენ, ამაში კი ხელისუფლებაა დამნაშავე, ადგილობრივი წარმოების განვითარებას ვერ და არ ახდენს.

**საქართველოში მცხოვრები ოჯახების ხარჯები 300 ლარზე მეტით გაიზრდება.**

**— თუ გსმენიათ რაიმე იმის შესახებ, რომ საქართველოში მიწებს მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები ყიდულობენ. ძირითადად, ჩეჩნები, ინგუშები, აზერბაიჯანელები...**

— მსმენია, მაგრამ ამის სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა საფრთხეს ვერ ვხედავ, საფრთხე არის ის, რომ ქართველი აღარ არის მყიდველუნარიანი, ქართველი ვერ ყიდულობს, დღითიდღე ვღატაკდებით. ვხარჯავთ მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქტებზე, ისიც მინიმალურად. **ჩვენ საკუთარი არაფერი გაგვივითარებია, მათ შორის, არც სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობაში მილიარდი ლარია ინვესტირებული და შედეგად უვარგისი პროდუქცია და არანორმალური ფასები მივიღეთ. ეს არ არის სოფლის განვითარების პროგრამა, ეს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების უახლოესი გარემოცვის დასაქმებისა და მათზე რესურსების განაწილების პროგრამაა, რაც ყოველთვის კონტრპროდუქტიულია.**

**— თუ გიორგი კვირიკაშვილი ძლიერი ეკონომისტია, დიპლომატიაში რა უნდა აკეთოს? სწორი გადაწყვეტილება იყო მისი ეკონომიკისთვის ჩამოცილება და საგარეო პოლიტიკის ჩაბარება?**

— გიორგი კვირიკაშვილი ნიჭიერი კაცია. ის მთავრობის კურსის შესაბამისად იმუშავებს, არა მგონია, რამე შეცვალოს. გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე იქნა გადაყვანილი სხვა თანამდებობაზე. ბოლო წლები საგარეო უწყებაში რეალური დიპლომატები არ არიან, დიპლომატია ჩავარდნილი, ჩაშლილია. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვერ იმუშავა, ჩვენ ყველა მიმართულებით ცუდი შედეგები გვაქვს.

**— ერთი საიმედო სიტყვაც ვერ მოვისმინე თქვენგან. სადამდე მიგვიყვანს ეკონომიკური პრობლემები?**

— პესიმისტი არ ვარ, მაგრამ ახლა ტყუილების თქმის დრო არ არის, ამას აზრი აღარ აქვს. **სოციალური ფონი უფრო დამძიმდება, თუმცა აფეთქებას არ ველოდები, რადგან შიმშილი ქართველისთვის პროტესტის გამოხატვის მიზეზი არ არის, ჩვენ სხვა რამ გვჭირდება ასაფეთქებლად.** ხელისუფლებამ კი ეს ყველაფერი კარგად იცის, ამიტომ ცხოვრების გაძვირება მთავრობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

მთავრობა უეფექტოა, ასეთივე იყო ივანიშვილის პრემიერობის პერიოდშიც.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ვის რად უნდა თავისუფლება სიტყვისა, რომელსაც არავინ უსმენს და არავინ არაფრად აგდებს; ვის რად უნდა სიტყვა, რომელსაც ჩალის ფასი აქვს? ან რომელი ხელოვნება გათავისუფლდა, როდესაც მწერლობა სრულიად განადგურდა?! კლდიაშვილის, გამსახურდიასა და ჯავახიშვილის ქვეყანაში ბულაძე და დეისაძე რომ მწერლობენ, ეს არის მწერლობა? ქართული კინო მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებს რომ ქმნიდა, დღეს გაუფასურებულია“.**

**სხვა საქართველო სად არის...**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### ვალერი კვარაცხელია:

# როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თანამედროვე საქართველოს ერთი დღეც არ უცხოვრია

**მოსახლეობის დიდმა ნაწილმა 24 წლის წინათ ქვეყნის თავისუფლებას უპირობოდ დაუჭირა მხარი და საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ საზოგადოებაში კვლავ ხშირად მოისმენთ კითხვას — არის კი დღეს ქვეყანა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი გარე ძალების ჩარევისგან?**
**რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა ქვეყანა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და როგორ განვლო თავისუფლების 24 წელი საქართველომ 1990-იანი წლებიდან დღემდე?**
**— ამ საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩვენს ახალ რუბრიკაში ისაუბრებენ.**
**რუბრიკის პირველი სტუმარია პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია.**

**— უკვე 20 წელზე მეტია, საქართველომ საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ გამართლდა მოლოდინი — არის დღეს ჩვენი ქვეყანა სუვერენული სახელმწიფო?**

— ეს ნანატრი დამოუკიდებლობა საქართველოს რთული და ხანგრძლივი ბრძოლით არ მოუპოვებია. ვფიქრობ, ეს იმ მოვლენების მთლად სწორი ფორმულირება არ არის. **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში თავიანთი აგენტების მოყვანა მოახერხა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს საბჭოთა კავშირის დასაშლელად.**

საქართველომ ამის შედეგად მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ესეც მხოლოდ ქაღალდზე დეკლარირებული აღმოჩნდა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცხოვრებით საქართველოს ერთი დღეც არ უცხოვრია. **ჩვენ ავტომატურად გადავედით აშშ-ის განკარგულებაში და 1991 წლიდან დღემდე მათი დიქტატით ვცხოვრობთ.**

**როგორ შეიძლება, დამოუკიდებელი დაარქვა ქვეყანას, რომელმაც ამ წლების განმავლობაში ათეულობით მილიარდი ვალი დააგროვა და არც საშინაო და არც საგარეო მიმართულებით არც ერთი საკითხი დამოუკიდებლად არ გადაუწყვეტია?!** დამოუკიდებელი ქვეყანა ჩვენ არ გვაქვს. საკითხავია, რისთვის გვინდოდა ქართველებს დამოუკიდებლობა? **დამოუკიდებლობა მხოლოდ ჩვენი თვითმიზანია თუ დამოუკიდებლობის შედეგად მატერიალური თუ სულიერი თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი ცხოვრება უნდა მიგვეღო, ვიდრე გვქონდა?** ჩვენ შემთხვევაში ეს ყველაფერი პირიქით მოხდა. **ქვეყანა სამ ნაწილად დაიშალა, ეკონომიკა გაპარტახდა, ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა განადგურდა, მოსახლეობა განახევრდა, უმრავლესობა ქვეყნიდან გაიქცა და უცხოეთში მონური შრომის ფასად საცოდავი და დაყვედრებული ლუკმაპურის მოსაპოვებლად იღვწის.** ახლა გეკითხებით: ეს არის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შედეგი? ვის რად უნდა ასეთი თავისუფლება? დამოუკიდებლობისკენ იმისთვის ვილტვოდით, რომ საქართველო უფრო ლაღი, ბედნიერი, ეკონომიკურად ძლიერი გამხდარიყო. აქედან რომელიმე გვაქვს დღეს?!

**— მაგრამ, ბატონო ვალერი, ხელოვნება, მედია გათავისუფლდა ცენზურისგან. ხომ გვაქვს სიტყვის თავისუფლება, რომელიც დემოკრატიის აუცილებელი ატრიბუტია...**

— ეს დასავლური სატყუარაა, არაფერი გათავისუფლებულა. საბჭოთა პერიოდში არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ საბჭოთა კავშირი და სოციალიზმი უფრო ცუდი იყო, ვიდრე აშშ და კაპიტალიზმი. სხვა ყველაფრის თქმა შეიძლებოდა. დღეს კი პირიქით არის. სად არის სიტყვის თავისუფლება? არსებობს თითო-ოროლა მედიასაშუალება, სადაც თავისუფლების მეტი ხარისხია, ვიდრე სხვაგან, მაგრამ დანარჩენი, მრავატირაჟიანი, კარგად დაფინანსებული მედიასაშუალებები, განსაკუთრებით — ტელეარხები, დასავლეთის სამსახურშია. ესენი არ არიან ქართული ტელეარხები.

**— თუმცა ეს კერძო მედიასაშუალებებია და არა — სახელმწიფო...**

— კერძო რომ არის, რატომ ნიშნავს იმას, რომ ქართული ინტერესების წინააღმდეგ უნდა მუშაობდეს? დასავლურმა ცხოვრების წესმა მოიტანა უხვსიტყვაობა, ტელევიზიებისა და გაზეთების სიმრავლე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამას მოჰყვა ჭეშმარიტება. საქართველოში სიმართლის თავისუფლება არ არის.

**ვის რად უნდა თავისუფლება სიტყვისა, რომელსაც არავინ უსმენს და არავინ არაფრად აგდებს, ვის რად უნდა სიტყვა, რომელსაც ჩალის ფასი აქვს?** ან რომელი ხელოვნება გათავისუფლდა, როდესაც მწერლობა სრულიად განადგურდა? **კლდიაშვილის, გამსახურდიასა და ჯავახიშვილის ქვეყანაში ბულაძე და დეისაძე რომ მწერლობენ, ეს არის მწერლობა? ქართული კინო მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებს რომ ქმნიდა, დღეს გაუფასურებულია...**

**«აქამდე კიდევ შეიძლებოდა, აფხაზებთან და ოსებთან გვესაუბრა, მაგრამ ნატოს ცენტრების გახსნის შემდეგ, საკითხავია, ისინი საერთოდ მოისურვებენ ჩვენთან საუბარს, ეს ხომ საქართველოს საბოლოო დაშლის გზაა?!»**

**— რა არის იმ პრობლემების მიზეზი, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ და რომელთა წინაშეც ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღმოჩნდა?**

— დასავლეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმიტომ კი არ მუშაობდა, რომ რესპუბლიკები გაეთავისუფლებინა, არამედ იმიტომ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში თვითონ გაბატონებულიყო. **ჩვენ თავისუფლება კი არ მოგვანიჭეს, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად და პოლიგონად გვაქციეს.** საქართველომ თავისი ადგილი ვერ იპოვა, **მოსახლეობის დიდი ნაწილი კი აცნობიერებს, რაც ხდება მის თავს, მაგრამ არ აქვს შესაძლებლობა, თვითონ აირჩიოს ხელისუფლება. მას მუდმივად თავს ახვევენ პროდასავლური ორიენტაციის ხელისუფლებას, რომელიც გაჰკივის, რომ ჩვენ მივდივართ ნატოსკენ, რომ ჩვენ ვართ აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორები და ა.შ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დასავლეთის ხელში, მართალია, პატარა, უმწეო, მაგრამ მაინც რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად ვიქეცით.**

თუნდაც ახლა, როდესაც თბილისში ნატოს საწვრთნელ ცენტრს ვხსნით, რაც უნდა ვამტკიცოთ, რომ ამით თავს ვიცავთ, რუსეთს ვემუქრებით. რეალურად კი ვერც ეს ცენტრი და ვერც ნატოს ბაზა ვერ დაგვიცავს. რუსეთის წინააღმდეგ იარაღით საუბარი შეუძლებელია. ერთადერთი ალტერნატივა არსებობს, — მოლაპარაკება, დიალოგი, დიპლომატია, რაც ჩვენს ხელისუფლებას არ სურს. რუსეთის პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა თანხმობა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, მაგრამ ეს შემოთავაზება საქართველოს ხელისუფლებამ არ მიიღო.

**— რატომ არ მიიღო?**

— უფლება არ ჰქონდა. **აშშ არ მისცემს უფლებას საქართველოს ხელისუფლებას, რუსეთს დაელაპარაკოს, რადგან, ბუნებრივია, რუსეთი დასვამს საკითხს, რომ საქართველომ დაანებოს მასთან მტრობას თავი და არ შევიდეს იმ სამხედრო ბლოკში, რომლის ერთადერთი ფუნქცია რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაა.** ამას ჩვენი ხელისუფლება არ გააკეთებს, ვინაიდან ისინი ემსახურებიან არა საქართველოს, არამედ ამერიკის ინტერესებს.

**— ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები ხშირად მოგვიწოდებენ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისკენ...**

— ზღაპარია. ეს არის საკენკი, რომელსაც გვიყრიან. ისინი ამბობენ, რომ უნდა იყოთ ჩვენი პარტნიორები, ჩვენი ინტერესების გამტარებლები და, რასაც გიკარნახებთ, ის უნდა გააკეთოთ, რადგან ეს არის საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების პროგრესული მოსაზრებებიო. **ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა და რა მოუვიდა უზარმაზარი კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური პოტენციალის მქონე ევროპას ამერიკის აყოლით და წარმოგიდგენიათ, რა მოუვა აბსოლუტურად დაუცველ და უმწეო, პატარა საქართველოს? აღმოსავლეთიდან მომწყდარი ლტოლვილების გამო ევროპა ახლა უმძიმეს მდგომარეობაშია. ეს ყველაფერი ამერიკული პოლიტიკის შედეგია.**

გამოსავალი ქართველმა ხალხმა უნდა მოძებნოს. პოლიტიკოსების იმედი არ მაქვს. **საქართველოს, გარდა უიშვიათესი გამონაკლისისა, არ ჰყავს პოლიტიკოსი, რომელიც აზროვნებს, რომელსაც სინდისი აქვს და ქვეყნის ინტერესებს საკუთარზე მაღლა აყენებს. ჩვენ ახლა ვიმკით იმას, რაც ამ 25 წლის განმავლობაში ვთესეთ. თუ ამ ევროპელ და მერიკელ თაღლითებს უარს ვეტყვით, კიდევ არის გადარჩენის მცირე შანსი.**

ყველა ის პოლიტიკოსი, რომლებიც ამ 25-წლიანი გაკვეთილის შემდეგ მაინც პროდასავლურ პოზიციაზე არიან, აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად სახავს და საქართველოს მომავალს ნატოს პერსპექტივაში ხედავს, ან საქართველოს დაუძინებელი მტერია, ან რეგვენი.

**— ისინი პირიქით ფიქრობენ: ვინც არჩეულ კურსს არ ეთანხმება, ის არის ქვეყნის მტერი...**

— არ აქვს მნიშვნელობა, რას ფიქრობენ და რას ყბედობენ ისინი, ვინც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. მე შედეგებით ვმსჯელობ, ამიტომ ხალხმა უნდა გაარჩიოს — ვინ არის მართალი და ვინ — მტყუანი. **ახლა მაინც, მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ, როდესაც, პოლიტიკური არჩევანის საკითხი კი არა, ყოფნა-არყოფნის, საქართველოს არსებობა-არარსებობის საკითხი დგას, ხომ უნდა გამოიღვიძოს ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ?**

მკითხველს ვეკითხები: **როგორ ფიქრობთ, ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობები გამოგვყვებიან ნატოსა და ამერიკისკენ თუ ისევე მოიქცევიან, როგორც აფხაზები და ოსები თავის დროზე? ჩვენ რას გავაკეთებთ ასეთ შემთხვევაში — იმავეს, რაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გავაკეთეთ? და თუ იმავეს გავაკეთებთ, რა საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ შედეგი განსხვავებული იქნება?**

აქამდე კიდევ შეიძლებოდა აფხაზებთან და ოსებთან გვესაუბრა, მაგრამ ნატოს ცენტრების გახსნის შემდეგ საკითხავია, ისინი საერთოდ მოისურვებენ ჩვენთან საუბარს, ეს ხომ საქართველოს საბოლოო დაშლის გზაა?!

საქართველოს მოსახლეობის ნაწილს ჰგონია, რომ დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრობს, არადა, ჩვენ კოლონიურ, დაპყრობილ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ქვეყანაში, რომელსაც ელემენტარული განვითარების პერსპექტივა არ აქვს და ეს ყველაფერი კეთდება ქართველი პოლიტიკოსების ხელით. რა მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობენ და რას ბოდავენ ასეთი პოლიტიკოსები? ქართველი ხალხი კიდევ მათ ჭკუაზე აპირებს სიარულს?!

**— და მაინც, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აქვს ქვეყანას ნამდვილ, სუვერენულ სახელმწიფოდ ქცევის შანსი?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. თუ ქართველ ერს აღმოაჩნდება რადიკალური შემობრუნების შინაგანი პოტენციალი, მაშინ ეს პერსპექტივაც გამოჩნდება. ყველაზე დიდი პერსპექტივა ახლა არის ის, რომ საქართველომ რუსეთთან თავისი ინტერესები შეაჯეროს. **საქართველოსა და რუსეთს აქვთ საერთო ინტერესები, რომელთა მიჩქმალვასაც ამერიკელები ცდილობენ და გვაიძულებენ. აი, რა უნდა გააცნობიეროს ქართველმა ხალხმა. რუსეთთან კონფრონტაცია ხელოვნური და გარედან თავსმოხვეულია, რუსეთთან ჰარმონიული, პარტნიორული და კეთილმეზობლური განვითარება კი — ბუნებრივი. ამ მდგომარეობის აღდგენა სასიცოცხლო და, როგორც ზემოთ ვთქვი, ყოფნა-არყოფნის საკითხია ორივე ქვეყნისთვის.** ამისი გაცნობიერების აუცილებლობაც და წინაპირობაც არსებობს, მაგრამ, თუ ეს დროულად არ გაკეთდა, ქვეყანაში კატასტროფული პროცესები დაიწყება.

ესაუბრა **შორენა ცივქარაშვილი**

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნატოს საწვრთნელი ბაზის გახსნა საქართველოს უსაფრთხოებას ნამდვილად არ წაადგება. პატარა ქვეყნის ტერიტორია იფარება დაპირისპირებული მხარეების ბაზებით – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსეთის ბაზებია, დანარჩენ ტერიტორიაზე — ნატოსი. ყველა განცხადება, რომ საწვრთნელი ბაზები უსაფრთხოების გარანტიაა, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული“.**



# თამარ კიკნაძე: კონფლიქტის შემთხვევაში საქართველო საომარი მოქმედებების პოლიგონად გადაიქცევა

**რამდენიმე კვირაა, ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და მისი მინისტრი თინა ხიდაშელი მოექცა. ქვეყანას ჯერ ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ეწვია, ხოლო უკვე ორი დღეა, საქართველოს ამერიკელი გენერალი ბენ ჰოჯესი სტუმრობს, რომელმაც განაცხადა: „საინტერესოა, რამდენად სწრაფად ჩამოვლენ საქართველოში ამერიკელი ჯარისკაცები“. გენერლის ამ განცხადებას ქართველმა პოლიტოლოგებმა სოციალურ ქსელში ასე უპასუხეს: „საქართველოში რუსის ჯარისკაცი უფრო მალე ჩამოვა, ვიდრე ამერიკელი“. საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი ТАМАР КИКНАДЗЕ გვესაუბრება.**

**— ქალბატონო თამარ, გასული რამდენიმე კვირა საქართველოსთვის ძალიან დატვირთული იყო საერთაშორისო ვიზიტებით, მათ შორის იყო ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ნატოს საწვრთნელი ცენტრი გაიხსნა. ეს საქართველოსთვის წინ გადადგმული ნაბიჯია?**

— საქართველო ბევრ ნაბიჯს დგამს ნატოში გასაწევრებლად, მაგრამ ეს არ არის მასზე დამოკიდებული. პოლიტიკური კონიუნქტურა შესაფერისი რომ იყოს, საქართველოს, დიდი ხანია, მიიღებდნენ ნატოს რიგებში. დღეს ეს ნატოს ინტერესში არ შედის, ამიტომაც საქართველოს ხან ასპირანტს არქმევენ, ხან — დოქტორანტს და ა. შ. გარდა ამისა, სულაც არ არის საჭირო მისი ნატოში შესვლა და ამით გამოწვეული ზედმეტი თავის ტკივილი. საქართველო ისედაც აკეთებს ნატოს წევრ სახელმწიფოზე უფრო მეტს და დიდი კონტიგენტიც ჰყავს, რომელიც საბრძოლო ოპერაციებსა და სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობს. ეს ძალიან კარგად გათვლილი ტიპური დასავლური პოლიტიკაა. სხვადასხვა საპარტნიორო პროგრამის საშუალებით ნატო მშვენივრად ახორციელებს დასახულ ამოცანებს და მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს.

**რაც შეეხება ნატოს საწვრთნელი ბაზის გახსნას, ეს საქართველოს უსაფრთხოებას ნამდვილად არ წაადგება. პატარა ქვეყნის ტერიტორია იფარება დაპირისპირებული მხარეების ბაზებით – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსეთის ბაზებია, დანარჩენ ტერიტორიაზე — ნატოსი. კონფლიქტის შემთხვევაში საქართველო საომარი მოქმედებების პოლიგონად გადაიქცევა. ყველა განცხადება, რომ საწვრთნელი ბაზები უსაფრთხოების გარანტიაა, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.**

**— პრემიერ ღარიბაშვილს ნატოს გენერალური მდივნის — იენს სტოლტენბერგის ვიზიტისას რამდენიმეჯერ დაუსვეს შეკითხვა: გაბრაზდება თუ არა რუსეთი? ის, ცოტა არ იყოს, შეშინებული უპასუხებდა, — ეს არავის წინააღმდეგ არ არის მიმართულიო...**

— სტოლტენბერგმა თბილისში ვიზიტისას განაცხადა, რომ ნატო საქართველოს ეხმარება წვრთნასა და აღჭურვაში. იგი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ საწვრთნელი ბაზის გახსნა ჩვენს ტრიტორიაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვეყნისთვის საფრთხეა. დასავლელი ლიდერები ისევე საუბრობენ, როგორც ღარიბაშვილი, ისინიც ამბობენ, რომ ნატოს გაფართოება და საწვრთნელი ბაზები რუსეთის საწინააღმდეგოდ არ არის მიმართული, მაგრამ რუსეთი ამას საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს და რეაგირებს.

რუსეთის მხრიდან მკვეთრი განცხადებები გაკეთდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის პოლიტიკა განსხვავდება დასავლური პოლიტიკისგან. დასავლეთი იყენებს ისეთ ტექნოლოგიებს, როგორიცაა „რბილი ძალა“, რუსეთი კი გამოწვევებზე რეაგირებს...

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ **ვიქტორია ნულანდმა** განაცხადა, რომ ამერიკელებმა უკრაინაში ე.წ. დემოკრატიზაციის პროცესები 5 მილიარდი დოლარით დააფინანსეს.

24 წელი უკრაინაში ანტირუსული პროპაგანდა მიმდინარეობდა, რომელმაც ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. უკრაინაში განვითარებული მოვლენები რუსეთის არასწორი პოლიტიკის ბრალიც არის. ამ ხნის განმავლობაში უკრაინაში ანტირუსულად განწყობილი თაობა გაიზარდა. რუსეთი ამ პროცესს თვალს ადევნებდა და საპასუხოდ არაფერს აკეთებდა.



**«თუ ჩვენი პოლიტიკოსების ქმედებებს გავითვალისწინებთ, სრულიად მოსალოდნელია, საქართველოსაც მოუწიოს სირიელი დევნილების მიღება. უკვე გაკეთდა განცხადებები, რომ ევროპის პარტნიორ ქვეყნებსაც მოუწევთ ამ საკითხში დახმარება. ამისთვის, ალბათ, დამატებითი სახსრებიც გამოიყოფა. ქართული მაქსიმალისტური ბუნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ დასავლეთს ვასიამოვნოთ, ისევე, როგორც ნატოს შემთხვევაში, ალბათ, ამჯერადაც «გამოვიჩენთ» თავს»**

შედეგი კი მძიმეა. საომარ მოქმედებებში ათასობით ადამიანი დაიღუპა, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია. თვით **ჰენრი კისინჯერმაც** კი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ უკრაინა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც რომელიმე რიგითი სუვერენული ქვეყანა. მას ბევრი საერთო აქვს რუსეთთან და რომ პოლიტიკოსები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ თავიანთი ქმედებების შედეგებს.

**— ჩვენსა და რუსებს შორის არ არის ასეთი კავშირი, ჩვენ ერთი ძირი არ გვაქვს. იქნებ ამიტომაც არის, რომ რუსეთი ჩვენთან მიმდინარე პროცესებით დიდად არ ინტერესდება და აქ ნატოს ბაზების განთავსებაზეც მწვავე რეაქცია არ აქვს.**

— საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა განსაკუთრებული და დრამატულია, ჩვენ ერთმორწმუნე ერები ვართ, საბჭოთა პერიოდში საქართველო ერთ-ერთი მდიდარი და აყვავებული რესპუბლიკა იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ორივე მხარის მიერ ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული, ურთიერთობები არარაციონალურია და ემოციებზე დამყარებული. თანაცხოვრების ისტორიაც მნიშვნელოვანწილად ტენდეციურია და ობიექტურ გაანალიზებას მოითხოვს, რათა სწორი დასკვნები გავაკეთოთ.

**— არ შემიძლია, არ გკითხოთ საქართველოს საგარეო სამინისტროში განხორციელებულ ცვლილებაზე. ეს ცვლილება მოხდა გაეროს გენერალური მდივნის სტუმრობის შემდეგ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დიპლომატიური კორპუსის დიდ წარმატებად ჩათვალა. გარდა ამისა, თამარ ბერუჩაშვილი „ძირძველი“ ნატოელია. რატომ შეცვალეს მინისტრი, ქვეყანა საგარეო კურსის გადახედვას ხომ არ აპირებს?**

— რაც შეეხება ბერუჩაშვილს, ის ტრანზიტული ფიგურა იყო. ალასანიას გუნდის ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მან თანამდებობა იმჟამინდელ მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან ერთად დატოვა, რის შემდეგაც სამინისტრო, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა და გარკვეული კონსულტაციების საფუძველზე ბერუჩაშვილი მინისტრად დააბრუნეს.

**— რას გააკეთებს ეკონომისტი გიორგი კვირიკაშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროში?**

— საგარეო საქმეთა სამინისტრო საგარეო პოლიტიკას არ განსაზღვრავს, ის შემსრულებელია. მნიშვნელოვანია, რომ კვირიკაშვილი პრემიერ ღარიბაშვილის გუნდის წევრი და ზომიერი პოლიტიკოსია. წარდგენისას მან აღნიშნა, რომ ქვეყნის ვექტორი იქნება დასავლური, მაგრამ ევრაზიის კონტინენტზეც ბევრი საინტერესო რამ ხდება და საქართველო იქითაც გაიხედავსო. მის ამ განცხადებას ჩვენი მე-5 კოლონის მძაფრი განცხადებები მოჰყვა.

**— საქართველოში მოქმედი არასამთავრობოები აგრესიულად ილაშქრებენ რუსეთის წინააღმდეგ. მაგალითად, ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას გადაცემის დახურვას რუსეთს აბრალებენ... ხომ არ ცდილობს საქართველო სხვა რელსებზე გადასვლას?**

— დღეს საქართველოში მძიმე სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობაა, ამიტომაც პოლიტიკის კორექცია აუცილებელია. ვიზების ლიბერალიზაციაზე ზრუნვისა და ლაპარაკის ნაცვლად ეკონომიკური სიტუაცია უნდა გაუმჯობესდეს, რადგანაც მალე საქართველოში ქართველი აღარ დარჩება. ადამიანები საცხოვრებელ ბინებსაც კი ყიდიან, რათა საზღარგარეთ წავიდნენ და თავი გადაირჩინონ. იქ კი მძიმე პირობებში მუშაობენ და მეორეხარისხოვან ადამიანებად იქცევიან. გამონაკლისია პოსტსაბჭოთა სივრცე, განსაკუთრებით — რუსეთი, სადაც ჩვენები ყველაზე წარმატებულები არიან და საქართველოშიც ბევრ ოჯახს ეხმარებიან.

**— სირიელი დევნილები ევროპაში ჩავიდნენ, რამაც ევროპა ძალიან შეაშფოთა. საქართველომ აფხაზეთიდან თითქმის იმავე რაოდენობის ლტოლვილი მიიღო, მაგრამ რეაქცია არავის ჰქონია...**

— საქართველოში შიგა მიგრაცია მოხდა. ჩვენი დევნილები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გამოყარეს. ზოგმა ქვეყანა დატოვა, დანარჩენი კი სხვადასხვა ადგილას განთავსდნენ. ევროპის შემთხვევაში ეს არიან სხვა რელიგიის, კულტურისა და მენტალიტეტის ადამიანები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში დასავლეთის მიერ დემოკრატიის ეგიდით განხორციელებული საომარი ქმედებების შედეგად დაზარალდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს მართული პროცესია და გლობალიზაციის ევროპული მოდელი ხორციელდება. დევნილთა ნაკადი, ალბათ, კიდევ უფრო მოიმატებს. როგორც ზოგი ექსპერტი და პოლიტიკოსი აღნიშნავს, საფრთხე ექმნება ქრისტიანულ ევროპას.

**საქართველო ჩათრეული იქნება ამ პროცესებში. თუ ჩვენი პოლიტიკოსების ქმედებებს გავითვალისწინებთ, სრულიად მოსალოდნელია, საქართველოსაც მოუწიოს სირიელი დევნილების მიღება. უკვე გაკეთდა განცხადებები, რომ ევროპის პარტნიორ ქვეყნებსაც მოუწევთ ამ საკითხში დახმარება. ამისთვის, ალბათ, დამატებითი სახსრებიც გამოიყოფა. ქართული მაქსიმალისტური ბუნებიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ დასავლეთს ვასიამოვნოთ, ისევე ,როგორც ნატოს შემთხვევაში, ალბათ, ამჯერადაც „გამოვიჩენთ“ თავს.**

ბაშარ ალ-ასადის მთავრობის დამხობა დღის წესრიგიდან არ არის ამოღებული. სირია აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების კერაა. „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ფუნქცია სირიის წინააღმდეგ ბრძოლა და ახალი პოლიტიკური რუკის შექმნაც არის. ის სულ უფრო ძლიერდება და თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებს, ცივილიზაციას უქმნის საფრთხეს. ისეთი საჰაერო დაბომბვებით, როგორიც დღეს მის წინააღმდეგ ხორციელდება, ნაკლებად ადგება ზიანი. შესაძლოა, იქ იყვნენ რუსი ჯარისკაცები, მაგრამ დღევანდელი ჰიბრიდული ომები განსხვავებულია და ხშირად კერძო სამხედრო კომპანიები მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„სოციალიზმი საუკეთესო რომ არის ჩვენი ქვეყნისთვის და მხოლოდ ეს წყობა რომ გადაგვარჩენს, ბევრმა იცის. ახალგაზრდებს ცოტა უჭირთ ამ ყველაფრის გაგება, მაგრამ უკვე მათაც იციან, რომ ნეოლიბერალური კაპიტალიზმი ჩიხია და მარცხნივ დაიწყეს ყურება. ცოტა აგიტაცია-პროპაგანდაა საჭირო და ახალგაზრდები ჩვენ მხარეს გადმოვლენ“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თემურ ფიფია: ნატო აგრესიული სამხედრო კოალიცია, რომელიც უნდა დაიშალოს

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დიდი დრო არ არის დარჩენილი. პოლიტიკური პარტიები უკვე გააქტიურდნენ. ზოგი ისევ პროევროპულ და პროამერიკულ ძალად რჩება და ამით შეეცდებიან ხმების მოპოვებას, მაგრამ გაჩნდნენ პარტიები, რომლებიც ადრე სხვა რელსებზე იდგნენ, დღეს კი დაუნდობელი კონკურენციისა და დიდი ფულის წინააღმდეგ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე საუბრით ცდილობენ ამომრჩეველთა გულის მოგებას. ყველა მათგანი რუსეთს სტუმრობს, თუმცა ჯერ გამოკვეთილი არ არის, რა შანსი აქვთ ნინო ბურჯანაძეს, კახა კუკავასა და ჯონდი ბალათურიას. ამ საკითხზე ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე თემურ ფიფია გვესაუბრება.**



**— ერთი წელი რჩება მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე და პარტიებიც გააქტიურდნენ. რამდენიმე პარტიის ლიდერი ამომრჩეველთა გულის მოგებას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე საუბრით ცდილობს. ვის აქვს ყველაზე დიდი შანსი, არჩევნებში საკმარისი ხმები დააგროვოს, რუსეთი ფსონს ვისზე დადებს?**

**— რუსეთი ფსონს ქართველ ხალხზე და მის უკეთეს მომავალზე დადებს. არა მგონია, დღეს პოლიტიკურ არენაზე მოქმედ რომელიმე პარტიას დაუჭიროს მხარი.**

პარტიების ლიდერები ხალხის გულის მოგებას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე საუბრით ცდილობენ, რადგან ხალხი მიხვდა, რომ 25 წელია, ნაბიჯი წინ ვერ გადადგა ქვეყანამ. დღეს ნატოში ინტეგრაციაზე საუბარი წამგებიანია.

ქვეყანა მართლაც დადგა არჩევანის წინაშე და საუბარიც დაიწყო, საით უნდა წავიდეთ და რომელი გზა უფრო სასარგებლო იქნება.

**პარტიებისთვის ანტიამერიკული რიტორიკა მომგებიანი იქნება, ამით ამომრჩეველთა ხმებსაც შეაგროვებენ და გარკვეულ ნიშასაც დაიკავებენ. სწორედ ასე იქცევა დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და არა მხოლოდ ის, ასეთ პოლიტიკას ატარებს პოლიტიკოსი კახა კუკავაც. ახლა უკვე ჯონდი ბალათურიამაც ამოიღო ხმა და რუსეთში სტუმრობასაც გეგმავს.** ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ, თუ რუსეთზე დადებითად ისაუბრებენ, ხალხი მათ მიიღებს და არჩევნებში სასურველ შედეგს მიაღწევენ, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან **ხალხს კარგი მეხსიერება აქვს და მათი წარსული კარგად ახსოვს — თითოეული მათგანი მკვეთრად პროამერიკელი იყო. საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ფიქრობს, რომ რუსეთთან კავშირების აღდგენა აუცილებელია, ნინო ბურჯანაძეს, კახა კუკავასა და ჯონდი ბალათურიას ხმას არ მისცემს.**

**— ნინო ბურჯანაძე აღმოჩნდა თითქმის ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელმაც გაბედა და ხმამაღლა განაცხადა, რომ მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებით შეძლებს საქართველოს გადარჩენას. მას რამდენიმე ვიზიტიც ჰქონდა რუსეთში, თამამი ინტერვიუც მისცა რუსულ პრესას. რატომ არ ენდობით ამ ქალბატონს და რატომ გგონიათ, რომ მას დასაყრდენი არ ექნება? ბოლოს და ბოლოს, წინა არჩევნებში ხმების 10% მიიღო.**

— მართალი ხართ, **ბურჯანაძემ სწორად გათვალა და მიხვდა, რომ რუსეთზე საუბრით მიიღებდა ხალხის ხმებს. მან მხოლოდ ილაპარაკა ამ თემაზე, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოსაგვარებლად არაფერს გააკეთებს. ეს ყველაფერი ბურჯანაძეს პიარისთვის სჭირდება, იცის, სხვანაირად ამომრჩეველთა ხმებს ვერ მოიპოვებს.**

ხალხი პოლიტიკაში გათვითცნობიერებულია და იცის, რომ ბურჯანაძე რუსეთზე ხელჩასასჭიდს არაფერს ამბობს. ეს ქალბატონი მართლაც მნიშვნელოვან საკითხებს არ ეხება. მაგალითად, **ნინო ბურჯანაძეს არასოდეს უთქვამს და ვერც იტყვის, რომ საქართველო რუსეთთან ერთად ერთიან უშიშროების სისტემაში უნდა გაერთიანდეს.**

**— რატომ ვერ იტყვის? თუ დასჭირდება, წინასაარჩევნოდ მაგასაც იტყვის...**

— ბურჯანაძე ის ფიგურა არ არის, რომელიც ასეთ განცხადებას გააკეთებს და დარტყმას თავის თავზე მიიღებს. ბურჯანაძე არ არის მნიშვნელოვანი პოლიტიკის გამტარებელი, პოლიტიკისა, რომელიც ქვეყანას ფეხზე დააყენებს. ბურჯანაძე პარლამენტში რომ შევიდეს, ყველა განცხადება დაავიწყდება, რომელსაც ახლა აკეთებს, იმ პოლიტიკას განაგრძობს, რომელიც ამჟამინდელ ხელისუფლებას აძლევს ხელს.

**— ბურჯანაძე კარგი და გამოცდილი პოლიტიკოსია. რატომ გგონიათ, რომ რუსეთი ფსონს მასზე არ დადებს?**

— რუსეთი იღებს და მასპინძლობს ყველა იმ ქართველ პოლიტიკოსს, რომლებიც იტყვიან, რომ საქართველო ნატოსკენ არ უნდა წავიდეს. **ბურჯანაძე რომ ნიჭიერია, ვიცით და ისიც გვახსოვს, როგორ გამოიყენა მან თავისი ნიჭი და გამოცდილება 2007 წლის აქციების დარბევისას. მან განაცხადა: „საქართველომ დაამტკიცა, რომ სუვერენული ქვეყანაა“. ეს მისი ნიჭიერების გამოხატულება იყო.**

**— თქვენ, „ერთიანი კომუნისტური პარტიის“ ლიდერს, რისი იმედი გაქვთ? რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ის არ ურთიერთობს სხვა ქვეყნების ოპოზიციურ პარტიებთან... ამერიკისგან განსხვავებით, რუსეთი არ ცდილობს ოპოზიციის მოსყიდვას.**

**«საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ფიქრობს, რომ რუსეთთან კავშირების აღდგენა აუცილებელია, ნინო ბურჯანაძეს, კახა კუკავასა და ჯონდი ბალათურიას ხმას არ მისცემს»**



**«ნინო ბურჯანაძე იმხანადაც პირწავარდნილი კაპიტალისტი იყო, უკიდურესი მემარჯვენე. ანზორ ბურჯანაძისნაირი კომუნისტების დანგრეულია საბჭოთა კავშირი, ჯიბეში პარტბილეთი ედოთ და ქვეყნის დანგრევაზე ფიქრობდნენ»**

— ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა იმ განცხადებას, რომლებიც ნატოს წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ ბურჯანაძეს ვერ ვენდობით, რადგან ის თანმიმდევრული ამ კონკრეტულ საკითხშიც კი არ არის.

რუსეთისკენ თუნდაც ერთი ნაბიჯის გადადგმა ნატოზე უარის თქმას ნიშნავს, ამის გაკეთება კი ჩვენც შეგვიძლია. ერთიანი კომუნისტური პარტია უკვე იწყებს რუსეთთან დიალოგს იმაზე, რომ ორი ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორი გახდეს. **ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ვიყოთ რუსეთთან. ჩვენ ვამბობთ, რომ ნატო სამხედრო, აგრესიული კოალიციაა, რომელიც უნდა დაიშალოს. ამის ხმამაღლა თქმას ვერ გაბედავს ვერც ბურჯანაძე, ვერც კუკავა და ვერც ჯონდი ბალათურია, რომელიც სიხარულით ელოდება მოსკოვში წასვლას.**

კომუნისტური პარტია საქართველოში ყოველთვის არსებობდა. ჩვენ თანამოაზრეები სულ გვყავდა, ასე ვთქვათ, „ოქროს ფონდი“ გაგვაჩნია. პარტიას უღალატო ხალხი ჰყავს. იმედი გვაქვს, გამოჩნდება პარტიები, რომლებთანაც კოალიციის შექმნას შევძლებთ.

რაც შეეხება ჩვენს სახელწოდებას, ჯერ კიდევ არიან საქართველოში ადამიანები, რომლებსაც ამ სახელის გაგონებაზე გული სიხარულით ევსებათ. **სოციალიზმი საუკეთესო რომ არის ჩვენი ქვეყნისთვის და მხოლოდ ეს წყობა რომ გადაგვარჩენს, ბევრმა იცის. ახალგაზრდებს ცოტა უჭირთ ამ ყველაფრის გაგება, მაგრამ უკვე მათაც იციან, რომ ნეოლიბერალური კაპიტალიზმი ჩიხია და მარცხნივ დაიწყეს ყურება. ცოტა აგიტაცია-პროპაგანდაა საჭირო და ახალგაზრდები ჩვენ მხარეს გადმოვლენ.**

აუცილებელია ერთიანი ბლოკის შექმნა მემარცხენე პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც თვლიან, რომ სოციალიზმი და რუსეთთან ერთი ქოლგის ქვეშ ყოფნა საქართველოს გაამთლიანებს და გადაარჩენს, ასეთები უკვე არსებობენ, მაგრამ ამაზე წინასწარ საუბარი ჯერ არ გვინდა.

**— ისევ ბურჯანაძეს დავუბრუნდები. ამ ქალბატონზე ამბობენ, რომ ხელისუფლებასთან არის გარიგებული, არჩევნების შედეგებმაც თითქოს ამაში დაგვარწმუნა. საქართველოს ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ევრაზიულ კავშირში ბევრი საინტერესო პროექტია და ამასაც უნდა გადავხედოთო. როგორ ფიქრობთ, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება თუ დაიწყო, ამ საქმეს ხელისუფლება ნინო ბურჯანაძეს არ მიანდობს?**

— ბურჯანაძე, ხელისუფლება რომც ენდოს და ეს საქმე ჩააბაროს, საქართველოს კურსს, რომელიც ნატოსკენ მიემართება, არ შეცვლის. ამაზე რეალურად არც ხელისუფლება ფიქრობს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიმართ აგრესიას არ გამოხატავს, პრაქტიკულ ნაბიჯებსაც არ დგამს. პრაქტიკული ნაბიჯები ისევ ნატოსკენ იდგმება. ბურჯანაძე ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, იმავეს გააგრძელებს, რასაც ყოფილი ხელისუფლებები აკეთებდნენ.

**— რატომ არ გჯერათ ბურჯანაძის? მასაც ხომ ახსოვს კომუნისტური პარტიის სიკეთე, ისიც ხომ იმ პერიოდში გაიზარდა?**

— რას ამბობთ? **ნინო ბურჯანაძე იმხანადაც პირწავარდნილი კაპიტალისტი იყო, უკიდურესი მემარჯვენე. ანზორ ბურჯანაძისნაირი კომუნისტების დანგრეულია საბჭოთა კავშირი, ჯიბეში პარტბილეთი ედოთ და ქვეყნის დანგრევაზე ფიქრობდნენ.**

**— აპირებთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას?**

— კი, ვაპირებთ. ჩვენ ხალხს დავანახვებთ, რისი გაკეთება შეგვიძლია. არავინ დაიჯეროს, რომ რუსეთში ბურჯანაძეს ენდობიან, ეს ტყუილია.

**— რამდენიმე დღის წინათ ევროპული ქვეყნების ინიციატივას, რომ კომუნისტური რეჟიმი გასამართლდეს, საქართველოდან ზოგიერთი პოლიტიკოსიც შეუერთდა...**

**— ის, ვინც კომუნისტური რეჟიმის გასამართლებას მოითხოვს, ფაშისტია. ეს საკითხი ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ მსჯელობის საგნად აქცია. ისინი ფაშისტები არიან.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საცირკო ნომერივით დიდოსტატურად ჩაატარა ერთი ფოკუსი მილიარდერმა ივანიშვილმა და ყველასთვის გასაოცრად თითქმის ნულპროცენტიანი რესპუბლიკელები უცებ აღმოჩნდნენ ქვეყნის როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში.**

# ელჩი მიდის, ელჩი მოდის, ანუ რეს-ბუბლიკ-ელები ხელიდან ხელში — ცირკი გრძელდება!



**სექტემბერში, მიუხედავად იმისა, რომ დენის ტარიფმა აიწია, მიუხედავად იმისა, რომ მმართველი ძალის რეიტინგმა კიდევ უფრო დაიწია, მიუხედავად იმისა, რომ ნატომ ღია კარი საერთოდ ჩამოხსნა და შიგნით არ შეგვიშვა არც ჩვენ და არც უკრაინა, ჩვენმა „დიადმა“ ექსპერტებმა ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად მაინც საქართველოში ამერიკის ელჩის შეცვლა დაასახელეს.**

ვერ ვიტყვი, გამიკვირდა-მეთქი...

**ამერიკის ელჩი, კარგა ხანია, იმაზე გაცილებით დიდი ფიგურაა ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე „დიად ოქტომბრამდე“ რუსეთის მეფისნაცვალი გახლდათ.**

აკი, ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როდესაც რუსთა მეფისნაცვალს გავლენიანი ქართველი მამულიშვილების სიტყვა თუ თხოვნა გაუთვალისწინებია და „ველური ქართველებისთვისაც“ გაუკეთებია რაღაც დადებითი...

ახლა, ვიღაც, ალბათ, „სიტყვაზე დამიჭერს“ — აგე, თვითონ ამბობ, რუსები ქართველებს განუვითარებელ და ველურ ხალხად თვლიდნენო!

კი, ასეა! თუმცა ამავეს აკეთებდა ყოველთვის ყველა დამპყრობელი; თვით მომთაბარე და ჯოგ-ჯოგად მორბენალი მონღოლებიც კი ცდილობდნენ, თავი დაპყრობილ ქართველებზე უფრო ცივილიზებულებად წარმოეჩინათ...

მაგრამ სულ სხვაა ამერიკა?

მახსენდება ერთი ძველი ნაცნობის „ფეისბუქ-პოსტი“: „როდესაც ამერიკა-რუსეთის თემაზე ლაპარაკობთ, გახსოვდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქიდან 40 კილომეტრში რუსეთის საოკუპაციო ჯარი დგას და არა ამერიკის!“. კაი, ბატონო... როგორღაც მივიღოთ არგუმენტად, მაგრამ ამავე პოსტზე კომენტარიც იდო ასეთი: „ნეტავ, ამერიკის ჯარი იდგეს, მაშინ საოკუპაციო ხომ აღარ იქნებოდაო!“

**აი, ეს რად მივიღოთ? ჩვეულებრივ ჩლუნგობად თუ არაჩვეულებრივ გადაგვარებად?**

ანუ, **თუკი შენს სამშობლოში, შენს ტერიტორიაზე, შენს მიწაზე რუსეთის ჯარი დგას, ის საოკუპაციოა, მაგრამ თუკი ჯარი ზუსტად იქვე დგას, ოღონდ ამერიკისაა, მაშინ რომელ ოკუპაციაზეა საუბარი, ეგ კი არა, საღამოობით ყაზარმებშიც უნდა ვეწვიოთ და ფეხები დავუთბილოთ!**

„ფეისბუქზევე“ ვნახე ამას წინათ ვერმახტის დროშის ქვეშ მებრძოლი ეთნიკური ქართული ბატალიონის ფოტო წარწერით: „აი, ამ ვაჟკაცმა ქართველებმა ყველაფერი გააკეთეს საბჭოთა ოკუპაციისგან სამშობლოს გასათავისუფლებლად, განსხვავებით იმ ქართველებისგან, რომლებიც რუსის ჯარში მონებად მსახურობდნენ!“

ისევ და ისევ, **თავს შევიკავებ იმის გაპროტესტებისგან, რომ მეორე მსოფლიო ომში რუსის ჯარში ყოფნა თურმე მონობა ყოფილა! დავუშვათ ასეც იყო! კარგი! და გერმანიის დაქვემდებარებაში ყოფნა და ფაშისტთა ბრძანებების შესრულება რატომ არ იყო მონობა ვითომ?!**

თითქოს გავცდი პუბლიკაციის ძირითად ხაზს, მაგრამ, უბრალოდ, მინდა, ყურადღება გავამახვილო: **ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ცნება „უცხო ქვეყანა“ ჩანაცვლებული აქვს მხოლოდ და მხოლოდ „რუსეთით“. სხვა „უცხო ქვეყანა“ მათთვის არ არსებობს და მთავარია, რუსმა არ დაგიშავოს რამე, თორემ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი ან გერმანელი თუ გადაგივლის, შეურაცხყოფს, თავს შენზე მეტად და მაღლა დაიჭერს და წარმოაჩენს, ეს არაფერი!**

**საზოგადოების ამ ნაწილის შეგნებით, ე.წ. ევროპის განვითარებული ქვეყნები და ამერიკა, თავისთავად, რა თქმა უნდა, დგანან კიდეც შენზე მაღლა და სრული უფლებაც აქვთ, თავზე დაგასხდნენ.**

რამ გამოიწვია ასეთი ტუტუცური აზროვნება და გონების ამდაგვარი დაჩლუნგება საზოგადოების ამ ნაწილში?

პასუხი მარტივია: **იმ მიზანმიმართულმა, ძვირად დაფინანსებულმა და ისტერიულმა პროპაგანდამ, რომელიც, 25 წელიწადზე მეტია, ინტენსიურად მიმდინარეობს და რომელსაც ანტირუსულ-პროამერიკული ისტერიაც შეიძლება ეწოდოს.**

საქართველოში ამ ისტერიის მთავარი დასაყრდენი დაარსების დღიდანვე იყო რესპუბლიკური პარტია.

თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ამერიკის საელჩოსა და რესპუბლიკელთა მოქმედება უკვე ახირებულ და მოძველებულ ცირკს უფრო ჰგავს, ვიდრე პროპაგანდას.

აკი, პროპაგანდის მთავარი მიზანი სწორედ ის არის, რომ მისი ვინმეს სჯეროდეს. **ჩვენში კი, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წელიწადია, ეჭვი მეპარება, ამ ნატოს კარზე კაკუნ-ბრახუნისა ვინმეს სჯეროდეს. ხალხში ეს სალაღაო თემა უფროა უკვე, ვიდრე რაიმე პროპაგანდის ნაყოფის მანიშნებელი.** ზოგიერთი ენაკვიმატი იმასაც კითხულობს, — რა გაუჭირდა, კაცო, ამ ნატო დეიდას ისეთი, კარზე ერთი ზარი რომ ვერ დააყენა და გადაგვატყავა თითები კაკუნითო?

ამიტომაც ასეთი ოხუნჯობანი სწორედ ცირკს უფრო გვაგონებს, ვიდრე პროპაგანდას. სხვათა შორის, სწორედ **საცირკო ნომერივით დიდოსტატურად ჩაატარა ერთი ფოკუსი მილიარდერმა ივანიშვილმა და ყველასთვის გასაოცრად თითქმის ნულპროცენტიანი რესპუბლიკელები უცებ აღმოჩნდნენ ქვეყნის როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში.**

თუმცა, ვგონებ, შეცდომა სწორედ ის არის, რომ ჩვენში ბევრს ეს „ბიძინას ფოკუსად“ მიაჩნია. სინამდვილეში კი სწორედ „ნორლანდის ფოკუსია“... იმ როტაციული „ნორლანდებისა“, რომლებსაც დაახლოებით 5-6 წელიწადში ერთხელ გვიცვლის ხოლმე ამერიკის შეერთებული შტატები.

თამამად შეგვიძლია, ვთქვათ — **ამ თვეში საქართველოში „ახალი ნორლანდი“ ჩამოდის და ისიც, დარწმუნებული ვარ, არანაკლები ოსტატობით განაგრძობს „საცირკო ნომრებს“.**

**„წარმატებით“ განხორციელდება ცირკის ჟონგლიორ „ძველი ნორლანდის“ მიერ, ასევე, დახვეწილი ჟონგლიორი „ახალი ნორლანდისთვის“ საჟონგლიორო რგოლების გადაცემა; უფრო ზუსტად, იმ ადამიანებისა, რომლებსაც „ბუბლიკებივით“ იყენებს ხოლმე თეთრი სახლი, და ამიტომ ჩვენც თამამად შეგვიძლია, მათ რეს-ბუბლიკ-ელები ვუწოდოთ.**

მაშ ასე, **სულ მალე თეთრი სახლის რეს-ბუბლიკელები ერთი ჟონგლიორის ხელიდან მეორე ჟონგლიორს გადაეცემა და ჩვენს ქვეყანაში ცირკიც ზუსტად ისევე გაგრძელდება, როგორც აქამდე.**

არადა, ქართველი ექსპერტები „ბრძნული“ დაჟინებით სვამენ კითხვას: რა შეიცვლება ამერიკის ძველი ელჩის წასვლით და ახალი ელჩის მოსვლით?

და შემდეგ მიდის ისეთი გაურკვეველი წიაღსვლები, ნორმალურ კაცს პირს დაგაფჩენინებს. განიხილავენ ახალი ელჩის ბიოგრაფიას — სად ყოფილა აქამდე, რა უკეთებია, სად რისთვის მიუღწევია და სად კრახი განუცდია... ამის მიხედვით ცდილობენ, დაადგინონ, რას მოიმოქმედებს ის საქართველოში და როგორ პოლიტიკას გაატარებს.

აი, მე კი ერთი ძველი ამბავი მახსენდება, თბილისში თქმული, რომელიც მართალია თუ არა, კაციშვილმა არ იცის, მაგრამ ზუსტად კი ესადაგება ამერიკის ელჩების წასვლა-მოსვლის თემას:

ერთხელ ერთმა უნიჭო პოეტმა აკაკი წერეთელს სთხოვა, გამიმხილეთ ლექსის წერის საიდუმლო, როგორ წერთ ასეთ კარგ ლექსებს, მითხარით და მეც ისე მოვიქცევი და მეც თქვენნაირად დავწერო.

„მგოსნის“ სისულელეს აკაკიმ, რა თქმა უნდა, ხუმრობით უპასუხა: მთაწმინდის მთაზე ადი, იქიდან გადმოხედე თბილისს და, რასაც დაინახავ, ჩაიწერე, სულ ეგ არისო. რეგვენი „მგოსანი“ ავიდა მთაწმინდაზე და დილიდან საღამომდე იყურებოდა იქიდან. საღამომდე წერდა უბის წიგნაკში, რასაც ხედავდა: „ეტლი მიდის“, „ეტლი მოდის“, „ეტლი მიდის“, „ეტლი მოდის“ და ბოლოს გამწარებულმა წამოიძახა: „მე აკაკის ასე და ისე, ლექსი მაინც არ გამოდის!“

**სწორედ ასეა. თუ სიტყვა „ეტლის“ ნაცვლად სიტყვა „ელჩს“ გამოვიყენებთ, ხოლო სიტყვა „ლექსის“ ნაცვლად სიტყვა „სახელმწიფოს“ ან „დემოკრატიას“, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.**

ნუ შეგვეშინდება იმის აღიარებაც რომ ჩვენ, ანუ საქართველოს მოქალაქეები, ხსენებული რეგვენი „მგოსნის“ მსგავსად, მართლაც, წლებია, ვუყურებთ, ვინიშნავთ „ბლოკნოტში“ და იმედი გვაქვს — „ელჩი მიდის“, „ელჩი მოდის“ და ასე დაუსრულებლად.

აი, აკაკის ნაცვლად ვის ეკუთვნის გინება, ანუ ვინ „აგვგზავნა მთაწმინდაზე დემოკრატიული ლექსის დასაწერად“ და როდის, მკითხველმა მოიფიქროს და დაასახელოს...

**ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ცნება «უცხო ქვეყანა» ჩანაცვლებული აქვს მხოლოდ და მხოლოდ «რუსეთით». სხვა «უცხო ქვეყანა» მათთვის არ არსებობს და მთავარია, რუსმა არ დაგიშავოს რამე, თორემ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი ან გერმანელი თუ გადაგივლის, შეურაცხყოფს, თავს შენზე მეტად და მაღლა დაიჭერს და წარმოაჩენს, ეს არაფერი! საზოგადოების ამ ნაწილის შეგნებით, ე.წ. ევროპის განვითარებული ქვეყნები და ამერიკა, თავისთავად, რა თქმა უნდა, დგანან კიდეც შენზე მაღლა და სრული უფლებაც აქვთ, თავზე დაგასხდნენ**

**კოალიციის მილიარდერი ლიდერის იხტიბარგაუტეხელი გამონათქვამი „გუნდში აზრთა სხვადასხვაობა სწორედ დემოკრატიულობის მანიშნებელიო“ აქ გამამართლებელ არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან, რაც „ოცნების“ კოალიციის შიგნით ხდება, ამას უკვე „აზრთა სხვადასხვაობას“ ვერ დავარქმევთ. ეს არის ზიზღი, მიუღებლობა, ფუნდამენტური მსოფლმხედველობრივი განსხვავება და, არცთუ იშვიათად, ცინიზმამდე დასული დამოკიდებულება.**

## რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩემი ტუტუცი შენსას სჯობია! არა, შენი სჯობს ჩემს

**ცხონებული ოთარ რამიშვილის სიმღერის პერიფრაზი გამახსენდა უკვე მერამდენედ, როცა კოალიცია „ქართული ოცნების“ წიაღში ატეხილ „ჭიქის ქარიშხლებს“ ვადევნებდი თვალყურს.**





ასეთი ქარიშხლების წარმოქმნის მიზეზს დიდი მეცნიერული კვლევა-ძიება არ სჭირდება. ერთი ტუტუცი იტყვის რამე ტუტუცურს, მეორე ტუტუცი უპასუხებს და ატყდება ტუტუცური ერთი ამბავი — არა, იმან რომ თქვა, ის სჯობდა; არა, ამან რომ თქვა, ეს სჯობდაო...

რა თქმა უნდა, მოსახლეობის უმეტესობას ყელში ამოსდის ყოველივე ეს და ორივე მოჩხუბარ ტუტუცს ზუსტად იმავეს უპირებს, რასაც ბატონი ოთარ რამიშვილი უპირებდა ერთ სახალისო სიმღერაში თავის სიდედრსაც და სხვის სიდედრსაც...

ხალხის გაღიზიანება კი, უნდა ვთქვათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხევვაში სრულიად ადეკვატური და ლეგიტიმურია. არ შეიძლება, **ქვეყანას მართავდეს ჯგუფი, რომელსაც „კოალიცია“ კი ჰქვია, მაგრამ მისი წევრები ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანენ.**

**კოალიციის მილიარდერი ლიდერის იხტიბარგაუტეხელი გამონათქვამი „გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა სწორედ დემოკრატიულობის მანიშნებელიო“ აქ გამამართლებელ არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან, რაც „ოცნების“ კოალიციის შიგნით ხდება, ამას უკვე „აზრთა სხვადასხვაობას“ ვერ დავარქმევთ. ეს არის ზიზღი, მიუღებლობა, ფუნდამენტური მსოფლმხედველობრივი განსხვავება და, არცთუ იშვიათად, ცინიზმამდე დასული დამოკიდებულება.**

საუკეთესო მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს სწორედ გასულ კვირაში პარლამენტარ **თამაზ მეჭიაურის** დაპირისპირება პრეზიდენტ **მარგველაშვილთან** და შემდგომ რესპუბლიკელი **დავით ზურაბიშვილისა** — თამაზ მეჭიაურთან.

ამ „სასიყვარულო სამკუთხედის“ ამოსავალი წერტილი წინდის ქსოვა გახდა, რის გამოც მეჭიაურმა პრეზიდენტს დასცინა და, „ოცნებაში“ მიღებული რიტუალის შესაბამისად, ბიძინას მიერ პრეზიდენტად „დადება“ წამოაძახა.

რესპუბლიკელთა ყველაზე „ოხუნჯი“ წევრი დავით ზურაბიშვილი კი პირდაპირ ეკვეთა თანაკოალიციელს და სოციალურ ქსელში ეს ფრაზა გამოაქვეყნა:

**რომელი ადამიანი უფრო უზნეოა: რომელიც თუნდაც უსამართლოდ და უტაქტოდ გამოთქვამს თავის აზრს მასთან დაპირისპირებულ მეორე პერსონაზე (ამ შემთხვევაში მეჭიაური — საქართველოს პრეზიდენტზე), თუ ადამიანი, რომელიც გაიძახის, ჩემ გვერდით მყოფები მაგრად „არ მევასებიან“, მრცხვენია, მათ გვერდით რომ ვდგავარ, ისინი სრულიად მიუღებლები არიან ჩემთვის, მაგრამ რა ვქნა, მათ გვერდით რომ არ ვიდგე, ვეღარ მოვხვდები ვერც საკრებულოში, ვერც პარლამენტში, ვერც მთავრობაშიო?**

„ამ უკუღმართ დროებას რა ვუთხარი, თორემ მე და ეს კაცი რანაირად უნდა ვითვლებოდეთ ერთ გუნდში“?

**გეგონება, ზურაბიშვილს ან ნებისმიერ სხვა რესპუბლიკელს ვინმემ დააძალა ივანიშვილის გუნდში და კოალიციაში ყოფნა... ან ვინმე ახლა ელობებოდეს წინ და არ აძლევდეს კოალიციის დატოვების საშუალებას...**

რა თქმა უნდა, არ ვაპირებ, მეჭიაურის ხისტი და ზოგჯერ საღი აზრისგან შორს მდგარი ფრაზები გავამართლო და დავიცვა, მაგრამ მისი და ზურაბიშვილის ფრაზებს თუ უკეთ ჩავუღრმავდებით და გავშიფრავთ, დავრწმუნდებით, რომ „რესპუბლიკელ ოხუნჯს“ გაცილებით მიუღებელი აზრები აწუხებს, ვიდრე „როყიო მეოცნებეს“.

**თამაზ მეჭიაურის მიერ პრეზიდენტ მარგველაშვილის დაცინვა წინდების ქსოვის გამო, უბრალოდ, გაუაზრებელი, როყიო და თუნდაც გაბოროტებული გამონაქვამია მხოლოდ...**

**აი, დავით ზურაბიშვილის ეს საოცარი გულახდილობა კი, მისი და მისნაირების მსოფლმხედველობაზე, შინაგან სამყაროზე, მორალსა და ზნეობაზე გვიქმნის წარმოდგენას.**

ბატონი რესპუბლიკელი, ფაქტობრივად, პირდაპირ ამბობს, რომ მისი პოლიტიკური გუნდი კოალიციას მხოლოდ და მხოლოდ ანგარების მიზნით არის მიკედლებული. ისე კი, ზურაბიშვილს მის გვერდით მდგომნი და მისი „თანაკოალიციელები“ სამარცხვინო, ამაზრზენ, მოუღებელ ადამიანებად მიაჩნია.

**კითხვა მარტივი და გადამწყვეტია — რა ჰქვია ადამიანს, რომელსაც ეზიზღება, ერცხვინება ის გარემოცვა, რომელშიც არის, და, მიუხედავად ამისა, მაინც არის იქ, რადგან გარკვეული პრაგმატული მიზნები ამოძრავებს?**

**ეს პრაგმატული მიზნები, რესპუბლიკელებისა და, პირადად, ზურაბიშვილისთვის, რა თქმა უნდა, არის პარლამენტში, საკრებულოებში, ქვეყნის მთავრობასა და სახელისუფლო ორგანოებში მოხვედრა...**

კი, გვინახავს სხვა შემთხვევებიც, როდესაც რომელიმე კონკრეტული პერსონა თუ ადამიანთა ჯგუფი მიკედლებულა რაიმე ორგანიზაციას გარკვეული პრაგმატული მიზნით, მაგრამ მათ იმდენი ნამუსი მაინც შერჩათ, რომ ჩუმად არიან და ხამამლლა მაინც არ უწევენ აფიშირებას თავიანთ ბინძურ აზროვნებასა უზნეობას.

**აი, რესპუბლიკელები კი უკვე, ფაქტობრივად, დაუფარავად ამბობენ, რომ კოალიციის ლამის ყველა სხვა სუბიექტი (გავიხსენოთ, რომ ალასანიას ჯგუფი აღარ არის კოალიციაში) მათთვის სამარცხვინო, დასაცინი, საშინელება და მიუღებელია.**

მკითხველს ვთავაზობ თვითონ გასცეს პასუხი კითხვას: **რომელი ადამიანი უფრო უზნეოა — რომელიც თუნდაც უსამართლოდ და უტაქტოდ გამოთქვამს თავის აზრს მასთან დაპირისპირებულ მეორე პერსონაზე (ამ შემთხვევაში მეჭიაური — საქართველოს პრეზიდენტზე), თუ ადამიანი, რომელიც გაიძახის, ჩემ გვერდით მყოფები მაგრად „არ მევასებიან“, მრცხვენია, მათ გვერდით რომ ვდგავარ, ისინი სრულიად მიუღებლები არიან ჩემთვის, მაგრამ რა ვქნა, მათ გვერდით რომ არ ვიდგე, ვეღარ მოვხვდები ვერც საკრებულოში, ვერც პარლამენტში, ვერც მთავრობაშიო?**

კითხვა, რა თქმა უნდა, რიტორიკულია და მასზე პასუხის გაცემას დიდი დროც არ დასჭირდება.

**უფრო რთული პასუხგასაცემი მეჩვენება კითხვები იმის თაობაზე, რატომ იჩერებს გვერდით მილიარდერის კოალიცია იმ ადამიანებს, რომლებიც მათ გამუდმებით ლანძღავენ, „სამარცხვინოებს“ ეძახიან და უკვე აშკარად დასცინიან და მასხრად იგდებენ?**

აქ, საყურადღებოდ მეჩვენება იმავე მეჭიაურის ფრაზაზე თავდაცვის მინისტრ **თინა ხიდაშელის** განცხადება: **„ღმერთო, რა სირცხვილია! დიდი სირცხვილია ასეთი ადამიანების გვერდით ყოფნა. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მასწავლიდნენ — პარლამენტი ქვეყნის სარკეაო. როგორც საზოგადოება შედგება ყველანაირი ხალხისგან, ისე პარლამენტიც ყველანაირი ხალხისგან შედგება“.**

ნეტავ, სად „ასწავლიდნენ“?!

ალბათ, ყვარყვარე თუთაბერის თანამშრომელი გადამწერის მსგავსად, ესენიც „წმინდა მიხეილის ჯგუფში ირიცხებოდნენ“, არა?

და, ნეტავ, რას ასწავლიდნენ ამნაირს იმ „წმინდა მიხეილის ჯგუფში“?

განა რა სწავლა უნდა ასეთი იმას, რომ საზოგადოებაც, პარლამენტიც, ბაზარიც, ქარხანაც, ფაბრიკაც, აბანოც და დედამიწაზე ყოველნაირი დაწესებულება და ორგანიზაცია სხვადასხვანაირი ადამიანებისგან, სხვადასხვა ფენის, აზროვნების, მსოფლმხედველობის ხალხისგან შედგება?!

დავიჯერო, თინა ხიდაშელი და „წმინდა მიხეილის ჯგუფის“ სხვა „მოსწავლეები“ ასეთ აქსიომებს თავისით ვერ ხვდებოდნენ და ამისთვის მათ სპეციალური ტრენინგების, სემინარებისა და ლექციების კურსის გავლა სჭირდებათ?!

როგორც ჩანს, ასეა და, ფაქტობრივად, თვალნათლივ ვხედავთ კიდეც, რომ **„წმინდა მიხეილის ჯგუფის“ წევრები, რომლებსაც დღეს ჩვენი ქვეყნის მართვა აქვთ მინდობილი, ასე ვთქვათ, „განსაკუთრებით ნიჭიერთა“ კონტიგენტიდან შეარჩიეს თავის დროზე და სპეციალურად გამოზარდეს საიმისოდ, რომ უცხოური სპეცსამსახურების ნების უსიტყვო და ბრმა შემსრულებლები ყოფილიყვნენ.**

მე, მაგალითად, სულაც არ გამიკვირდება, თინა ხიდაშელმა და მისნაირებმა მომავალში რომ განაცხადონ: „მასწავლიდნენ, რომ მზე დილით ამოდის, ხოლო მთვარე ღამით ანათებს“ ან რამე მსგავსი. თუმცა ყველაზე საინტერესოა, ასწავლიდნენ თუ არა მათ „წმინდა მიხეილის ჯგუფში“ სამშობლოს პატივისცემას, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, საკუთარი ხალხის გაფრთხილებას და სხვა ადამიანურ ღრებულებებს.

მოდი, აქ გავჩერდეთ, თორემ, მგონი, ისევ ოთარ რამიშვილისა და მისი „სიდედრების“ თემასთან დავბრუნდებით და ჩემს მკითხველსაც მორიგ რიტორიკულ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა...

**რა ჰქვია ადამიანს, რომელსაც ეზიზღება, ერცხვინება ის გარემოცვა, რომელშიც არის, და, მიუხედავად ამისა, მაინც არის იქ, რადგან გარკვეული პრაგმატული მიზნები ამოძრავებს? ეს პრაგმატული მიზნები, რესპუბლიკელებისა და, პირადად, ზურაბიშვილისთვის, რა თქმა უნდა, არის პარლამენტში, საკრებულოებში, ქვეყნის მთავრობასა და სახელისუფლო ორგანოებში მოხვედრა...**

**ბაკურ სვანიძე**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაყურებელი იფიქრებს, — არიქა! ავშენდით, ვეცეთ ახლა აეროპორტის სალაროებს, დავჯავშნოთ სასტუმროს ნომერი და ყოველგვარი საელჩო-საკონსულოების გარეშე მოვედოთ ევროპასო... მაგრამ იგივე სტიუარდესა რაღაცნაირი ღიმილით რეკლამის ბოლო ფრაზით გვამცნობს: „გაითვალისწინეთ, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო გახდება ერთიანი ევროპული ოჯახის, ევროკავშირის წევრი!“ ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „თუ კარგად მოვიქცევით, წყალსაც ჩაგვისხამენ!“**

# პოეტების კასტინგი პრეზიდენტთან



## მარგველაშვილის შვილის ნუკრთან გადაღებული ფოტოს საიდუმლოება გახსნილია

**რაო, არ გჯერათ? არადა, პირადად ვესწრებოდი!**

დიახ, როგორც სანდო წყაროებმა აცნობეს ჩემი მეზობლის მამიდაშვილს, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს დაუწყია კვლევა, რატომ ჰქონდა პრეზიდენტ სააკაშვილს საზოგადოებაზე უფრო მეტი გავლენა, ვიდრე მას აქვს.

ვაკონკრეტებ — აქ საუბარი არ არის დადებით ან უარყოფით გავლენაზე; საუბარია, უბრალოდ, გავლენაზე, როგორიც უნდა ყოფილიყო ის. **როგორც საზოგადოებრივი აზრის „პლოცკოგუბციით“ ამოქაჩვის სამსახურმა პრეზიდენტს აუხსნა, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყოფილა ის, რომ მიშა ხალხს სულ ქართველი კლასიკოსი პოეტების ლექსებით ელაპარაკებოდა და, როგორც გახსოვთ, სრულიად შეუცდომლად და ზედმიწევნით ზუსტად მოჰყავდა მათი ლექსებიდან სტრიქონები.**

**ჰოდა, ახლანდელ პრეზიდენტსაც გადაუწყვეტია, რომ დღეიდან, თავისი ყოველი გამოსვლისას, ხალხს მხოლოდ დიდი პოეტების სტრიქონებით მიმართოს ხოლმე.**

აი, მიზეზიც იმისა, რატომ გადაიღო მარგველაშვილმა ფოტო ძველ ქართულ სამოსში შვილის ნუკრთან, რომელიც ამ დღეებში ინტერნეტჰიტად იქცა.

მას **გადაწყვეტილი ჰქონდა, საჯარო გამოსვლებისას ვაჟა-ფშაველას ფრაზებით ესაუბრა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მასაც და სრულიად „ქართულ ოცნებასაც“ ფრიად ბრძენი და გამოცდილი „პიარშიკები“ ჰყავთ და მათ ურჩიეს პრეზიდენტს, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე პოეტის ამოჩემება არ ივარგებდა.**

სწორედ ამიტომ გასულ უქმეებზე (ეს შაბათ-კვირა არ გეგონოთ, უბრალოდ, სიტყვის მასალაა, თორემ მაგათთვის ხო ისედაც „პასტაიანნად“ შაბათია), დუშეთის რეზიდენციაში, პოეტურ გარემოში, **გიორგი მარგველაშვილმა მოაწყო კასტინგი „საჯარო გამოსვლებისას პოეტების სტრიქონთა შერჩევის სპეციალისტის“ ვაკანტურ თანამდებობაზე პრეზიდენტის აპარატში.**

როგორ მოვხვდი მე იქ, ეს გრძელი ამბავია და თანაც არც ისე საინტერესო. უფრო საინტერესოა, გავეცნოთ ჩემს სტენოგრაფი- ▶

# თანამედროვე ანეკდოტი — ევროვიზა თუ ევროაუზი?

## ვის და რისთვის დასჭირდა ქართველი მაყურებლისა და მოსახლეობის ასეთი გამასხარავება?!

**რა კავშირი აქვს ვიზას აუზთან? პირდაპირ — არანაირი, მაგრამ ირიბად და თანაც ქართულ სინამდვილეში მათი დაკავშირება ძალიან კარგად გამოგვივა, თუკი ერთ ძველ ანეკდოტსა და ერთ ახალ სატელევიზიო სარეკლამო რგოლს ერთმანეთს შევადარებთ.**

**ანეკდოტი:**

ფსიქიატრიული საავადმყოფოდან პაციენტი ოჯახს წერილს სწერს: „აქ ძალიან კარგი პირობებია. არ ინერვიულოთ, ძალიან კარგად ვარ. კარგად გვექცევიან. ერთი თვის წინათ საცურაო აუზიც გაგვიხსნეს და მაგრად ვერთობით. უკვე ისე ძალიან მივეჩვიეთ, რომ აუზში თავითაც კი ვხტებით ხოლმე. დირექტორი დაგვპირდა, თუკი კარგად მოიქცევით, მალე წყალსაც ჩაგისხამთო!“

**სატელევიზიო რეკლამა:**

სასიამოვნო გარეგნობის სტიუარდესას ფორმაში გამოწყობილი გოგონა გამოდის და ლაპარაკობს: „ევროპაში უვიზოდ მიმოსვლისთვის საჭიროა...“ და რამდენიმე წუთს ანდომებს ევროპაში უვიზოდ გასამგზავრებელი დოკუმენტაციის ჩამოთვლას... შემდეგ: „აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომ ევროპაში უვიზოდ შეგიძლიათ დაჰყოთ 180 დღე. წინაწარ უნდა დაჯავშნოთ სასტუმრო. უნდა გქონდეთ ჯანმრთელობის დაზღვევა და უკან დასაბრუნებელი ბილეთი“.

მაყურებელი იფიქრებს, — არიქა! ავშენდით, ვეცეთ ახლა აეროპორტის სალაროებს, დავჯავშნოთ სასტუმროს ნომერი და ყოველგვარი საელჩო-საკონსულოების გარეშე მოვედოთ ევროპასო... მაგრამ იგივე სტიუარდესა რაღაცნაირი ღიმილით რეკლამის ბოლო ფრაზით გვამცნობს: **„გაითვალისწინეთ, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო გახდება ერთიანი ევროპული ოჯახის, ევროკავშირის წევრი!“**

ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **„თუ კარგად მოვიქცევით, წყალსაც ჩაგვისხამენ!“**

ხვდებით ახლა, რა კავშირია ევროვიზასა და ევროაუზს შორის?

არ ვიცი, მეჩვენება თუ ნამდვილად ასეა, მაგრამ მგონია, რომ ამ რეკლამის ბოლო ფრაზის წარმოთქმისას სტიუარდესა ირონიულად გვიღიმის...

მართლაც საინტერესოა, **ვის და რისთვის დასჭირდა ქართველი მაყურებლისა და მოსახლეობის ასეთი გამასხარავება?!**

**რა საჭიროა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხიდან ხალხის საჯარო დამოძღვრა — რა დოკუმენტები და რა ჯავშნები თუ ბილეთები დასჭირდება ევროპაში უვიზოდ სამოგზაუროდ, მაშინ, როდესაც არათუ კონკრეტული თარიღი არ ვიცით იმისა, როდის გახდება ეს შესაძლებელი, არამედ იმასაც არავინ გვეუბნება, ოდესმე გვაღირსებს კი ევროოჯახი თავის მაღალ ყურადღებას და დაგველაპარაკება ტოლად და სწორად.**

**მანამდე კი ჩვენი „ფრანგი მილიარდერი“, ჩვენი „მილიარდერის პრემიერ-მინისტრი“ და ჩვენი „ლიბერალპრეზიდენტი“ მოგვიწოდებენ, თავით ვიხტუნაოთ ცარიელ აუზში, რომლის ფსკერზეც „ევროკავშირის“ დროშა არის დახატული.**



წყალს რაც შეეხება... კი, ისინი თითქოს ცდილობენ, წყალიც ჩაგვისხან, მაგრამ ფაქტია, რომ „შლანგებზე“, „ვენტილებზე“, „ბრანდსპოიტებზე“ ან წყლის რამე სხვა მუდმივ და მძლავრ წყაროზე მათ ხელი არ მიუწვდებათ და მხოლოდ წვეთ-წვეთად ან, მაქსიმუმ, ძირგახვრეტილი ვედროებით ცდილობენ „ევროაუზის“ წლით შევსებას...

**დიდუ აგირაია**

ამ რუბრიკას ინტერნეტიდან ამოღებულ „სქრინშოტებს“ დავურთავთ ხოლმე, რადგან აქ ქართველ ჩინოსანთა იმდენად დაუჯერებელი გამონათქვამები მოხვდება, მათი ფაქტობრივად დამადასტურებელი „სქრინების“ გარეშე, ნორმალური ადამიანი ნამდვილად იფიქრებს, რომ მის მოტყუებას ვცდილობთ.

SCREEN-SHOW

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ულ ჩანაწერებს, რომელიც კასტინგზე შემოსულთა და პრეზიდენტ მარგველაშვილის დიალოგების მოსმენისას გავაკეთე:

შემოდის პირველი მონაწილე.

**პრეზიდენტი:** — აბა, წარმოიდგინეთ, რომ მე მაქვს საახალწლო მილოცვა ტელევიზიით. რომელი ლექსებიდან მირჩევდით სტრიქონების წაკითხვას?

— **„მე, ქართველი პრეზიდენტი, ავლაბრის რეზიდენციაში ვდგავარ და არავინ არ გაბედოთ ჩემი გარეთ გამოთრევა...“**

**პრეზიდენტი:** — გაათრიეთ! ვინ მოათრია აქ ეს უტაქტო?

პრეზიდენტის მრჩეველი უხერხულად შეიშმუშნა. დაცვამ მეორე მონაწილე შემოაგდო. პრეზიდენტი უგუნებოდაა... ამიტომ შემოსულმა პირდაპირ დაიწყო:

— **„ისეთი ვეტო დავადო მინდა, რომ არ დამჭირდეს კვლავ ვეტოს დება“!**

**პრეზიდენტი:** — უჰ, შენ გაიხარე! იშოვება, ნეტა, ეგეთი ვეტო?

— **„პარლამენტარი, ზოგჯერ უვეტო, მაგრამ ათასი ვეტოს მძლეველი“!** — განაგრძობს წახალისებული მონაწილე... მაგრამ დაცვა პრეზიდენტის მოქცეული ყბიდან ამომავალ ბგერებს აღარ ელოდება და პირდაპირ ქეჩოში ავლებს ხელს მას...

შემოდის მესამე და რადგან დაინახა, რომ წინა ორი ქეჩოთი გაათრიეს, დაუყოვნებლივ რიხით იწყებს:

— **„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ძლისა მბეჭველსა?“...**

პრეზიდენტის გაწამებული სახე კიდევ უფრო იმღვრევა და მრჩეველს ეკითხება: ეს რა გვარია?

**მრჩეველი:** — მეჭიაური... მაინც მთის კაცის გვარი ჰქონდა და... ვიფიქრე, გამოდგებოდა...

პრეზიდენტმა თავზე იტაცა ხელები. წამოხტა და გადარეული გავარდა დერეფანში...

— **„არარაობავ, პრეზიდენტი უნდა გერქვას შენ!“** — მონდომებით შეჰღაღადა მას დერეფანში შემოფეთებულმა მეოთხე მონაწილემ, იმ იმედით, რომ ეგებ წინა სამი არ მოეწონნათ და მე ამიყვანონ სამსახურშიო...

მეც წამოვდექი და რედაქციისკენ გამოვეშურე...

კარში გასვლისას გვერდით ჩავუარე მრჩეველს, რომელიც ნაწყენი ტონით ამბობდა:

— „რა არ მოეწონა, ნეტა? იმდენი შერჩევა, გადარჩევა, ამორჩევა ჩავატარე, ვიდრე კასტინგის ამ ფინალისტებს ამოვარჩევდი და ვინ გიფასებს? — წაივლო თავში ხელები და გავარდა! — პრემიერმინისტრს ჩემნაირი მრჩეველი რომ ჰყავდეს, გვერდიდან არ მოიშორებდა...“

**ბექა ბაბაია**

# გა-ფრაზ-ებულები

**როგორც შემჩნეულია, გაბრაზებული ადამიანი დიდ სისულელეებს წამოიძახებს ხოლმე. არადა, ჩვენთვის საინტერესო სწორედ ის სულელური გამონათქვამები აღმოჩნდა, რომელთა წარმოთქმისას მათი ავტორები ძალიან მშვიდად არიან და კაციშვილმა არ იცის, თუ გაბრაზება არა, აბა, რა განაპირობებს მათი მხრიდან ესოდენ სულელური ფრაზების წამოსროლას. ამიტომაც რუბრიკას, „გა-ბრაზ-ებულები“ კი არა, „გა-ფრაზ-ებულები“ ვუწოდეთ.**

## ლევან ბერძენიშვილი:



**„აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა დასანახად ვერ იტანდნენ ერთმანეთს. მოგეხსენებათ, ჩვენ გვაქვს ერთად აკაკისა და ილიას ძეგლი, მაგრამ არსად არ არსებობს და აზრად არავის მოსვლია, რომ ერთად დაედგა აკაკისა და ვაჟას ძეგლი. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ აკაკი ვაჟას შემოქმედებას და პირიქით — ვაჟა აკაკის შემოქმედებას არ აფასებდა. მათ შორის იყო დაძაბული ურთიერთობა და ისინი ვერ იტანდნენ ერთმანეთს“.**

**რედაქციისგან:**

ჩვენთვის ამოუხსნელ ფენომენად რჩება, ეს კაცი საიდან იგონებს ხოლმე ამ სისულელეებს. თუ დავაკვირდებით, ლევან ბერძენიშვილი თავის საჯარო ლექციებზე 3 წუთში 8 სისულელეს ამბობს. მას აქვს ფანტაზიის უსაზღვრო მარაგი და თავისი სულელური შეხედულებების „დასამტკიცებლად“ წამის მეათედში შეუძლია მოიფიქროს ნებისმიერი მითი, ლეგენდა, ტყუილი და იდიოტიზმი.

**იმედს ვიტოვებთ, ბატონი ლევან ბერძენიშვილი ქართველ ერს სულ მალე განუმარტავს მიზეზებს, რატომ არ დგას ერთად ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის, ლადო ასათიანისა და მირზა გელოვანის, ნოდარ დუმბაძისა და მორის ფოცხიშვილის და სხვა გამოჩენილი ქართველი მწერალ-პოეტების ძეგლები.**

როგორც ჩანს, ქართულ ლიტერატურაში დიდი დაკადაკა ყოფილა და ერთმანეთს ვერავინ იტანდა, რადგან ყველას ძეგლი ასე ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან გაბუტულად დგას. ასე რომ, დიდი ინტერესით ველოდებით „ბრძენი“ ლევანის მომავალ სკანდალურ დასკვნებს.

## თინა ხიდაშელი:

# «ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნების ერთ-ერთ ამოცანა იქნება, რამდენად სწრაფად ჩამოვა ამერიკული სამხედრო ტექნიკა საქართველოში»



პოლიტიკა

ქართულ-ამერიკული წვრთნების ერთ-ერთი ამოცანა იქნება, რამდენად სწრაფად ჩამოვა ამერიკული სამხედრო ტექნიკა საქართველოში

11:52 07-09-2015

ამერიკელი გენერლის ფრაზა, რომ ჩვენ უნდა გამოვცადოთ, რამდენად სწრაფად მოვახდენთ რეაგირებას აგრესიის შემთხვევაში, ძალიან მრავლისმთქმელი და მრავლისმეტყველი იყო, - ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა სასტუმრო "რუმს ოტელში" მიმდინარე კონფერენციაზე განუცხადა.

ხიდაშელი გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების ევროპის არმიის სარდლის ბენ ჰოჯესის გამოსვლას.

ხიდაშელის თქმით, ბენ ჰოჯესთან შეხვედრა დღეს დილით გაიმართა, სადაც 2016

„სქრინზე“ დანახული ამ ფრაზის შემდეგ, სიმართლე გითხართ, კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე და ორიოდე ახლობელსაც ვუხმე, — ერთი წამიკითხეთ, გადაღლილობისგან რამე ხომ არ მეჩვენება-მეთქი...

**სამწუხაროდ, არა! სამწუხაროდ იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი რეალურად ამ დონის სულელია.**

არა, **ჯანდაბას ის, რომ ძალიან სასაცილოა, ამერიკის შეერთებული შტაბების გენშტაბმა დღემდე არ იცოდეს, რა დრო დასჭირდება მისი შეიარაღებული ძალების ამა თუ იმ ნაწილის გადაადგილებას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ამიტომ ვფიქრობთ, განცხადებას, რომ თურმე ამის დასადგენად ამერიკის გენერალიტეტს სპეციალური „წვრთნების“ გამართვა სჭირდება, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მძიმე შეურაცხყოფაც არის ყველაფერთან ერთად.**

თუმცა. მთავარი მაინც ის არის, **რატომ არავინ აკონკრეტებს, რა უნდა ქნას საქართველოში თუნდაც უსწრაფესად ჩამოსულმა ამერიკულმა სამხედრო ტექნიკამ.** რუსეთს უნდა ეკვეთოს ვითომ?

კი, მაგრამ, **თუ „ჯორჯიაში“ ამერიკელთა პულსის აჩქარებით ჩამორბენის მიზეზი რუსეთის აგრესიისგან ჩვენი დაცვა და რუსულ არმიასთან შეიარაღებული შეტაკებაა, ბარემ პირდაპირ მოსკოვში გადასხან უსწრაფესად თავიანთი სამხედრო ტექნიკა, მით უფრო, რომ ალასკის მხრიდან ეს გაცილებით სწრაფად გამოუვათ, ვიდრე „ჩერეზ თბილისი“.**

ჰა, რას იტყვით, ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა შტაბმა ეს რომ წაიკითხოს დაუჯდება ჭკუაში?

აი, რაც შეეხება თინას, მისი ჭკუა რამდენს „ქაჩავს“, ეგ უკვე ნათელია და, მას რომ ასეთი „იდეები“ ძალიან მოეწონება, მაგაში ეჭვიც აღარ გვეპარება.

## კახა კალაძე:

# «ჩვენ დავაშავეთ საზოგადოების წინაშე კოჰაბიტაციის თავსმოხვეული რეჟიმის დანერგვით!»




აბა, როგორ ფიქრობთ, რაზე მიანიშნებს ენერგეტიკოს-ფეხბურთელის ეს განცხადება? გულწრფელ მონანიებაზე? დანაშაულის განცდაზე? დიდ წმენდაზე?

არა, თქვენც არ მომიკვდეთ! სანაძლეოს ჩამოვდივარ — **კახა კალაძის ეს პათეტიკური „მონანიება“ მხოლოდ არჩევნების მოახლოებას გვაუწყებს და მეტს არაფერს.**

ეს რომ ასე არ იყოს, მიპასუხეთ, **განა ვინმე უშლის „ოცნების“ მთავარ ლიდერებს, რომ თითქოსდა „თავსმოხვეული კოჰაბიტაციის“ შედეგები აღმოფხვრან?**

როგორ? სრულიად მარტივად — დღეიდან დაიწყონ თანამდებობებზე დატოვებული და დაწინაურებული „ნაცების“ ჩამოშორება საჯარო სამსახურებიდან, რაიონების გამგეობებიდან, პრესსამსახურებიდან...

დაიცა, დაიცა, საიდან, პრესსამსახურებიდან? როგორ, განა ამ ორიოდე თვის წინათ არ იყო კოაბიტაცია დანაშაული?

**მაშ, რატომ დანიშნეს „რუსთავი 2“-ის, ანუ „სიცრუის მანქანის“ გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე მინისტრის მრჩევლად?**

მაშ, როგორ დავუჯეროთ, რომ კოაბიტაციის შედეგად თანამდებობებზე დანიშნულ-დაწინაურებულ „ნაცებს“ ბატონი კალაძე საკუთარ კარში გატანილი გოლებივით განიცდის?

აკი, გვახსოვს კიდეც, ყოველი არჩევნების წინ კალაძის იმავე პათოსით გაკეთებული განცხადებები:

**„გვენდეთ, ხმა მოგვეცით და ჩვენ ამ არჩევნების მერე კოაბიტაციასაც დავასრულებთ, საჯარო სამსახურებსაც გავწმენდთ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან და ჩვენს თანამებრძოლებსაც დავაფასებთ და დავასაქმებთ!“**

შედეგი? მხოლოდ ის, რომ მოგებული არჩევნების შემდეგ კალაძის „დუხს“ ველარავინ ხედავს ხოლმე და მას „კოაბიტაციის დანაშაულის მონანიება“ მხოლოდ მომდევნო არჩევნების მოახლოებისას ახსენდება.

რით შეიძლება დაგვიმტკიცოს „ოცნებამ“ და კალაძემ, რომ ამჟამად არ გვატყუებენო? — შეიძლება გაიფიქროს ვინმემ...

ამის დასამტკიცებელი მეთოდი დიდი ხნის წინათ არის შემუშავებული ცნობილ რუსულ იუმორისტულ ნაწარმოებში! აბა, გაიხსენეთ: **„უტრომ დენგი? ვეჩერომ სტულია! ვეჩერომ დენგი? უტრომ სტულია!“**

ეს ნებისმიერი „პატიოსანი გარიგების“ ოქროს წესია და, გამგებს თუ გაგება უნდა, გაიგებს კიდეც!

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამხრეთ კავკასიაში არასოდეს ყოფილა არათუ სახელმწიფო, არამედ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულიც კი, რომელსაც „სომხეთი“ ერქვა. ასეთი სახელწოდებით პირველი სახელმწიფო 1918 წელს აზერბაიჯანის ძირძველ, ისტორიულ მიწებზე შეიქმნა აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს თანხმობით, რომელმაც ძველი აზერბაიჯანული ქალაქი ირევანი დაუთმო ახალშექმნილი სომხეთის სახელმწიფოს დედაქალაქისთვის.**

# აზერბაიჯანის გეოპოლიტიკა: წარსულის გაკვეთილების ათვისების აუცილებლობა და დღევანდელი სიტუაციის გაგება

**თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში სახელმწიფოს ეროვნული სუვერენიტეტის ფასეულობა მრავალგზის იმატებს. სრულიად სუვერენული სახელმწიფო მსოფლიოში რეალურად არც ისე ბევრია. ზოგიერთმა ქვეყანამ ახლახან, ჯერ კიდევ სუვერენიტეტის მქონემ, უფრო იოლი გზის არჩევა გადაწყვიტა და დე ფაქტო ეროვნულ სუვერენიტეტზე საერთოდ უარი თქვა ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეების სასარგებლოდ. სხვა ქვეყნები სუბიექტობის დაკარგვის პროცესში არიან ან ზეწოლის წყალობით, ან ილუზიების გავლენით, დამოკიდებული მდგომარეობა, შესაძლოა, უფრო მომგებიანი იყოს. მესამენი კი, სამწუხაროდ, შიგა დაპირისპირებასა და სამოქალაქო ომში ჩათრეულნი არიან, ხშირად გარედან ინსპირებული.**


სევილ იუსიფოვა

აზერბაიჯანი, ამ თვალსაზრისით, მსოფლიო ისტორიის თანამედროვე ეტაპზე უნიკალური ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ ის არის შედარებით პატარა სახელმწიფო, მან სუვერენიტეტი და სუბიექტობა სრულად შეინარჩუნა. შედეგად, დღეს აზერბაიჯანს გეოპოლიტიკურ პროცესებსა და მასშტაბურ ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობის მიღება ძალუძს, უწინარესად, მისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რის უფლებასაც თავს ვერ აძლევენ უფრო დიდი სახელმწიფოები, რომლებსაც გარკვეული ვალდებულებები აქვთ ძირითადი გეოპოლიტიკური პარტნიორების მიმართ.

უფრო მეტიც, აზერბაიჯანი კვლავაც აპირებს, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი პოლიტიკის გატარებას და მიზნად არ აქვს დასახული, ნებისმიერ ფასად, თავისი სუვერენიტეტის საზიანოდ, ნებისმიერ გეოპოლიტიკურ გაერთიანებაში შესვლა — ევროკავშირი იქნება თუ ევრაზიული კავშირი. აზერბაიჯანს განზრახული აქვს თანასწორუფლებიანი საპარტნიორო ურთიერთობების შენარჩუნება ყველა მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშესთან.

გარდა ამისა, **აზერბაიჯანი, მეზობელი სომხეთის აგრესიისა და მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის მიუხედავად, პოულობს ძალებს დინამიკური ეკონომიკური განვითარებისთვის. ცხადია, რომ აზერბაიჯანის მხრიდან ასეთი მაგალითი ყველას არ მოსწონს, ამიტომაც ანტიაზერბაიჯანული საინფორმაციო კამპანიები პირდაპირი ზეწოლის მიზნით გასაკვირი არ არის.**

ასევე, აუცილებელია იმის გათვითცნობიერება, რომ ამჟამინდელ მსოფლიოში სუვერენული ქვეყნისთვის „შეცდომის ფასი“ ძალიან მაღალია. ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც სუვერენიტეტის დათმობა არ სურს, მოუწევს მისი დაკარგვის წინაშე დადგომა, თუნდაც იმით, რომ მას ან სხვადასხვა გეოპოლიტიკურ კავშირში არასრულუფლებიან წევრად „ექაჩებიან ან კიდევ მის ტერიტორიაზე კონფლიქტისა და ქაოსის გაჩაღებას ლამობენ, რათა ის უფრო „დამყოლი“ გახადონ. ამიტომაც ასე აუცილებელია მსოფლიოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური პროცესების გაანალიზება.

იმისთვის, რომ გაიაზრო საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა, გეოპოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა უნდა გქონდეს, მათ შორის, იმ ფაქტორებზეც, რომლებსაც მედიასაშუალებები უყურადღებოდ ტოვებენ. ასეთი „გეოპოლიტიკის სახელმძღვანელო“ კი არის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ალი გასანოვის** ფუნდამენტური ნაშრომი „აზერბაიჯანის გეოპოლიტიკა“.

ამ ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის ისტორიის მიუკერძოებელი ანალიზი. სეფევიდების სახელმწიფოს — აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული სახელმწიფოს — როლი მსოფლიოს ცივილიზაციის განვითარებაში. სეფევიდების სახელმწიფო საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ, მსოფლიოს ისტორიის განმსაზღვრელ სახელმწიფოდ ითვლებოდა. მითითებულია და გამოკვლეულია სეფევიდების სახელმწიფოს დაცემის მიზეზები, აზერბაიჯანის გაყოფის, აზერბაიჯანის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის ანალიზი.

ისტორიულ ნაწილში ფუნდამენტური კვლევისა „აზერბაიჯანის გეოპოლიტიკა“ მკითხველს შეუძლია, თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესების უამრავი ანალოგი მონახოს. ავტორი თითქოს მოუწოდებს თანამედროვეებს წარსულის შეცდომებზე სწავლას, მათი განმეორების არდაშვებას და იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებსაც ხალხსა და სახელმწიფოს ისტორია სთავაზობს.

კვლევის ავტორის აზრით, **საოკუპაციო ომების შედეგად აზერბაიჯანის გაყოფა და სომხების შემდგომი განსახლება XIX საუკუნეში აზერბაიჯანისთვის გეოპოლიტიკური სიტუაციის ყველაზე ნეგატიურ ცვლილებად იქცა. რუსეთის იმპერიის მმართველობამ პრინციპით „გათიშე და იბატონე“ გეოპოლიტიკური რყევები გამოიწვია სამხრეთ კავკასიაში, რომლებსაც შემდგომ სისხლიანი ომები მოჰყვა.**

პროფესორი ალი გასანოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აზერბაიჯანელი ერის ფორმირებას და აზერბაიჯანული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას XX საუკუნეში. ხაზგასმულია ურთიერთკავშირი დამოუკიდებელი აზერბაიჯანული სახელმწიფოს შექმნისა და აზერბაიჯანელი ერის ფორმირებისა: **თუ XIX საუკუნეში რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ოკუპირებული იყო ცალკეული სახანოების სახით, 1918 წელს აზერბაიჯანი გამოვიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან, როგორც ერთიანი სახელმწიფო, აზერბაიჯანელები კი — როგორც ერთიანი ერი.**

1918 წელს, ხანგრძლივი დროის შემდეგ, აზერბაიჯანელი ხალხის ერთიანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციების აღდგენით კავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია ჩამოყალიბდა. აზერბაიჯანი სერიოზულ ფაქტორად იქცა, რომელიც არა მხოლოდ კავკასიაზე, არამედ ახლო აღმოსავლეთსა და შუა აღმოსავლეთზე გავლენას ახდენდა. **აზერბაიჯანულმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, როგორც პირველმა მუსლიმურმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ, მუსლიმან ხალხებს კოლონიური უღელისგან თავის დაღწევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის მაგალითი აჩვენა.**


ალი ჰასანოვი

ნაშრომში, აგრეთვე, ყურადღება გამახვილებულია აზერბაიჯანულ ძირძველ მიწებზე. აღნიშნულია, რომ **სამხრეთ კავკასიაში არასოდეს ყოფილა არათუ სახელმწიფო, არამედ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულიც კი, რომელსაც „სომხეთი“ ერქვა. ასეთი სახელწოდებით პირველი სახელმწიფო 1918 წელს აზერბაიჯანის ძირძველ, ისტორიულ მიწებზე შეიქმნა აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს თანხმობით, რომელმაც ძველი აზერბაიჯანული ქალაქი ირევანი დაუთმო ახალშექმნილი სომხეთის სახელმწიფოს დედაქალაქისთვის.**

იმხანად, **1918 წელს, აზერბაიჯანის ეროვნული საბჭო, ფაქტობრივად, „ჩუქნიდა“ სომხებს სახელმწიფოებრიობას და იმედს იქონიებდა, რომ ამით აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხები შერიგდებოდნენ და ამიერიდან სომხებს ტერიტორიული პრეტენზიები არ ექნებოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა. ახალშექმნილმა სომხეთის სახელმწიფომ მეზობლების მიმართ თითქმის მაშინვე დაიწყო აგრესიული ქმედებები ახალი ტერიტორიების დაპყრობის მიზნით, მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე კი ეთნოწმენდის რამდენიმე ტალღა მოაწყო და მკვიდრი აზერბაიჯანული მოსახლეობა სრულიად განდევნა. შემდგომში სომხეთი სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური არასტაბილურობის მთავარ ფაქტორად იქცა და დღემდე ასეთად რჩება.**

აზერბაიჯანული დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად შექმნილი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა 70 წელი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდა და აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიის საკმაოდ ვრცელი პერიოდი ამ სახელმწიფოსთან იყო გადაჯაჭვული. ამ პერიოდის შეფასებისას ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამ წლებში აზერბაიჯანი დამოუკიდებლობის აღდგენის მოლოდინში იმყოფებოდა და ამის შანსი 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე მიეცა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა აზერბაიჯანს უმძიმესი პირობების ფონზე უწევდა, — სომხეთის მხრიდან აგრესიისა, — რომელსაც მხარს უჭერდა დაშლის პროცესში მყოფი საბჭოთა იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მან ზესახელმწიფოს სამხედრო მანქანა, პრაქტიკულად, სომხებს გადასცა, რამაც ყარაბაღის აზერბაიჯანელ მოსახლეობას ტრაგიკული შედეგები მოუტანა.

დამოუკიდებელმა აზერბაიჯანის რესპუბლიკამ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრედ გამოაცხადა თავი. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის და მისი, როგორც სტაბილური, დემოკრატიულად განვითარებული სახელმწიფოს, ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული როლი აზერბაიჯანის ეროვნულ ლიდერს — **ჰეიდარ ალიევს** ეკუთვნის.

ისტორიაში პიროვნების როლი უზარმაზარია. ისტორიული გამოცდილება, როგორც აზერბაიჯანის, ასევე სხვა ქვეყნებისა, გვიჩვენებს, რომ გეოპოლიტიკური პირობები, შესაძლოა, ხელსაყრელი და იდეალური იყოს, მაგრამ ხალხმა და სახელმწიფომ ვერ გამოიყენოს ისტორიის მიერ მიცემული შანსი, თუ სახელმწიფოსა და ხალხს ეროვნული ლიდერი არ ჰყავს.

პროფესორი ალი გასანოვი მსოფლიო პრაქტიკისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის ისტორიის საფუძველზე აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის მისაღწევად, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისა და მისი სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია ეროვნული იდეის მქონე ლიდერი, რომელსაც ხალხის მობილიზაციისა და მისი გაძღოლის ძალა და უნარი გააჩნია. ასეთი ეროვნული ლიდერი გახდა ჰეიდარ ალიევი, რომელმაც, პირველ რიგში, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა აღადგინა, ქვეყანა პერმანენტული ქაოსიდან გამოიყვანა, აირიდა სამოქალაქო ომი, შეძლო ქვეყანაში ეროვნული თანხმობის მიღწევა და ყველა სფეროში ჩადო დინამიკური განვითარების საფუძვლები.

საერთო ეროვნული ლიდერის — ჰეიდარ ალიევის წყალობით, აზერბაიჯანში პოლიტიკური სტაბილურობისა და განვითარების პერიოდი დაიწყო, რომელიც დღესაც გრძელდება. თვით პროფესორი ალი გასანოვი აზერბაიჯანელთა ეროვნული ლიდერის, ჰეიდარ ალიევის, მმართველობის სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული აღმზრდელი იყო. ის დღესაც რჩება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფო მშენებლობის პროცესის აქტიურ მონაწილედ.

პროფესორ ალი გასანოვის ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე გამოწვევებს აზერბაიჯანის წინაშე, რომელიც, გეოპოლიტიკური ინტერესების გადაჯვარედინების თვალსაზრისით, მსოფლიოს ურთულეს რეგიონში იმყოფება.

ენერგეტიკული რესურსების სიმდიდრე რეგიონისა, სადაც აზერბაიჯანი მდებარეობს, და ძირითადი გე- ▶

„სახალიფოს იდეამდე დიდი ხნით ადრე პროცესები მიმართული იყო იქით, რომ აღმოფხვრილიყო ყველაფერი, რაც ჩვენი ხალხის — ქისტების მეობასთან არის დაკავშირებული, არაბიზაციის პროცესზე ვლაპარაკობ. იგი გულისხმობს ქისტების ტრადიციის, ზნე-ჩვეულების, უმცროს-უფროსობის და ა.შ. ადათ-წესების გაქრობას, რომლებიც ოჯახიდან იწყება და ვრცელდება საზოგადოებაზე. ეს არის ერთ ჩარჩოში მოქცეული ქისტური ტრადიციული სამართალი, რომელიც არასდროს ეწინააღმდეგება ხელისუფლებას, სახელმწიფო სამართალს; პირიქით, ერთმანეთის გამაგრება-გამტკიცებისკენაა მიმართული. ეს იყო ჯაჭვი, რომელიც საზოგადოების ნორმალურ ჩარჩოში მოქცევას ემსახურებოდა."

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




◀ ოპოლიტიკური მოთამაშეების სურვილი, სრული კონტროლი დაამყარონ როგორც საბადოებზე, ასევე ამ რესურსების ტრანსპორტირების მარშრუტებზე, განსაზღვრავს ბრძოლის სიმწვავეს გავლენის მოსაპოვებლად ცენტრალური აზიის რეგიონებში და სამხრეთ კავკასიის კასპიისა და შავი ზღვის აუზებში. როგორც ცნობილია, ენერგეტიკული უსაფრთხოება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების გადამწყვეტი ელემენტია. არ არის შემთხვევითი, რომ ბევრი ავტორიტეტული ექსპერტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური სურათი არა სამხედრო ბლოკების კუთვნილებით, არამედ ენერგეტიკული რესურსების კონტროლით განისაზღვრება.

პროფესორ ალი გასანოვის ნაშრომში ძირეულად განხილულია ისეთი ქვეყნების ინტერესები, როგორიცაა რუსეთი, ირანი, თურქეთი, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, აგრეთვე, სხვა დიდი სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთა გაერთიანებების ინტერესები, აშშ-ის, ევროკავშირისა და მისი ზოგიერთი წევრის ჩათვლით, ასევე — ჩინეთისა და იაპონიის. ცალკე სამხრეთ კავკასიის, შავი და კასპიის ზღვების აუზების ქვეყნების — აზერბაიჯანის, უკრაინის, ყაზახეთის, საქართველოს, თურქმენეთისა და სხვა სახელმწიფოების ეროვნული ინტერესებია განხილული.

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უკავია გეოპოლიტიკურ წინააღმდეგობას, ერთი მხრივ, რუსეთის, მეორე მხრივ, აშშ-ისა და ევროკავშირის, რომლის არენად პოსტსაბჭოთა ქვეყნები იქცნენ. რუსეთი წარმოდგენილია ევრაზიის წამყვან ქვეყნად და, როგორც პროფესორი ალი გასანოვი აღნიშნავს, რუსეთის სტრატეგიული მიზანი პოსტსაბჭოურ რეგიონში „ახალი ერთპოლუსიანი მსოფლიოს", რომლის არქიტექტორია აშშ, არ დაშვებაა.

ამასთანავე, ევროკავშირი და აშშ (რუსეთის მთავარი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო-გეოსტრატეგიული მეტოქეები ევრაზიაში) რეგიონში აქტიური ექსპანსიისკენ მიილტვიან პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხარჯზე, რომლებიც თავანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს. ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოებს შორის უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს იმაზე, თუ ვინ ვისი გავლენის სფეროში აღმოჩნდება და ვისთან შევლენ კოალიციაში უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და სომხეთი.

პროფესორი ალი გასანოვი ასკვნის, რომ აშშ თავის ნატოელ მოკავშირეებთან ერთად, ევრაზიის რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჯერჯერობით მეორე ადგილზეა, განსაკუთრებით, შავი და კასპიის ზღვების აუზებში და სამხრეთ კავკასიაში.

გააფთრებული გეოპოლიტიკური წინააღმდეგობის პირობებში ეროვნული სუვერენიტეტისა და საკუთარი ინტერესების დაცვა სულ უფრო რთულდება. თუმცა „გეოპოლიტიკური სიმტკიცის მარაგი", რომელიც ჯერ კიდევ ეროვნულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა ჩადო, შველის აზერბაიჯანს, რომელსაც რეგიონში საკვანძო მდგომარეობა აქვს. აზერბაიჯანი, რომელიც თავისი პრინციპების ერთგულია, არა მხოლოდ ინარჩუნებს საკუთარ სუვერენიტეტს, არამედ ზეწოლას უმკვლავდება და თავის გავლენას ზრდის.

გარდა ამისა, **იზრდება აზერბაიჯანის ეკონომიკური პოტენციალი და აზერბაიჯანული ჯარის სამხედრო სიმძლავრე. ეს აიძულებს გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს, აზერბაიჯანს ანგარიში გაუწიონ, აზერბაიჯანის მეგობარ ქვეყნებს კი, რომლებიც მასთან ერთად საერთაშორისო ეკონომიკურ და სატრანსპორტო პროექტებში არიან ჩართულნი, სიმტკიცეს ჰმატებს. აზერბაიჯანის სახელმწიფო სუვერენიტეტი და გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობა უდავო პლუსია — პარტნიორებმა იციან, რომ შეთანხმებები აზერბაიჯანთან საიმედოა და ქვეყანა გარედან ზემოქმედების გამო პოზიციებს არ იცვლის.**

გასაგებია, რომ ძლიერი და დამოუკიდებელი აზერბაიჯანი ხელს ყველას არ აძლევს, ამიტომ იყო და იქნება ქვეყნის დასუსტების, მისი გეოპოლიტიკური გავლენის მინიმიზაციის მცდელობები. მცდელობა აზერბაიჯანის სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევისა, რაც უცხოა ეროვნული ინტერესებისთვის, სხვადასხვა ბერკეტის გამოყენებით უკვე იყო და, ალბათ, კიდევ არაერთხელ იქნება. მაგრამ აზერბაიჯანელი ხალხი პირველად არ უმკლავდება გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, გეოპოლიტიკური გამოწვევების რთულ კითხვებზე აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს, სახელმწიფო მოხელეებს, ბიზნესის წარმომადგენლებსა და მმართველებს პასუხს სცემს პროფესორ ალი გასანოვის ფუნდამენტური ნაშრომი „აზერბაიჯანის გეოპოლიტიკა".

**სევილ იუსიფოვა**

## ზაურ გუმაშვილი:

# ვაჰაბიტები აკონტროლებენ პანკისს, ჩვენ ვაკონტროლებთ ვაჰაბიტებს — ასეთი იყო სააკაშვილის ხელისუფლების ლოგიკა

**2015 წლის 6 სექტემბერი. პანკისის ხეობა. ნაშუადღევი. დუისი. ჯოყოლო. სოფლებში ისეთი სიმშვიდეა და უძრაობა, თითქოს უმწვავესმა პერიპეტიებმა, რომლებმაც მსოფლიო კალაპოტიდან ამოაგდო, ამ კუთხეს გვერდი უქცია და ისე უკვალოდ ჩაუარა, როგორც ძალაგამოცლილი სამუმის უკანასკნელმა კუდის მოქნევამ.**



ორი კაცი იჯდა ჯოყოლოს თავში, კარჩარაზული ჯიხურის წინ, და ტაქსის შოფერი — მატანიდან ჩამოსული. ლუდსა სვამდნენ.

ეს იყო და ეს. მათ მიგვასწავლეს, გუმაშვილების უბანი სად იყო. სტუმრები ვართ პროფესორ **ზაურ გუმაშვილისა,** რომლის ოჯახში იმ დღეს ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ინგუშეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და ქართველი მეცნიერები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტ გიორგი კვესიტაძის ხელმძღვანელობით.

შეხვედრა უჰალსტუხოდ გაიმართა და ფრიად ნაყოფიერიც იყო.

ჩვენი მასპინძელი, ბატონი ზაურ გუმაშვილი, პანკისის ხეობის თემების უხუცესთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარეა. მას, აბა, სხვა ვის, უნდა ელაპარაკო იმ საკითხზე, რომელიც ქვეტექსტად მიჰყვებოდა მეცნიერთა შეხვედრას და რომელიც აფორიაქებს ჩვენს საზოგადოებრიობას: ვაჰაბიზმის მომძლავრება, „ისლამური სახელმწიფო" და ტერორი, რომელიც ამ დაჯგუფებამ ცივილიზებულ მსოფლიოს გამოუცხადა.

ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენაა.

**— ბატონო ზაურ, მიჩნეულია, რომ პანკისის ხეობაში ერთგვარი დაყოვნებული მოქმედების ნაღმია ჩადებული და, როდის იფეთქებს, არავინ უწყის. სირიაში „ისლამური სახელმწიფოს" მხარეს საომრად რამდენიმე ახალგაზრდის გაპარვა და სხვა ფაქტები შემთხვევითი არ უნდა იყოს.**

— პანკისის თემა, — ამბობს ბატონი **ზაურ გუმაშვილი**, — გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან არის აქტუალური. შეიძლება ითქვას, რომ მაშინ ჩაიდო ეს ნაღმი. ამ მიმართულებით მოქმედება დღესაც გრძელდება. როგორც ადამიანების, ასევე დიდი მატერიალური რესურსებია ჩართული ამ მოძრაობაში.

**— სახალიფოს შექმნას გულისხმობთ კავკასიაში?**

— სახალიფოს შექმნის საკითხი აქ არ დგას. სახალიფოს იდეამდე დიდი ხნით ადრე პროცესები მიმართული იყო იქით, რომ აღმოფხვრილიყო ყველაფერი, რაც ჩვენი ხალხის — ქისტების მეობასთან არის დაკავშირებული, არაბიზაციის პროცესზე ვლაპარაკობ. იგი გულისხმობს ქისტების ტრადიციის, ზნე-ჩვეულების, უმცროს-უფროსობის და ა.შ. ადათ-წესების გაქრობას, რომლებიც ოჯახიდან იწყება და ვრცელდება საზოგადოებაზე. ეს არის ერთ ჩარჩოში მოქცეული ქისტური ტრადიციული სამართალი, რომელიც არასდროს ეწინააღმდეგება ხელისუფლებას, სახელმწიფო სამართალს; პირიქით, ერთმანეთის გამაგრება-განმტკიცებისკენაა მიმართული. ეს იყო ჯაჭვი, რომელიც საზოგადოების ნორმალურ ჩარჩოში მოქცევას ემსახურებოდა.

ეს პროცესი გრძელდებოდა, როგორც ვთქვი, ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრამდე, როცა რადიკალურმა ისლამმა დაიწყო შემოდინება. ამ პრობლემის არსებობის თაობაზე ხშირად ვესაუბრებოდი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვაფრთხილებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს დაინტერესება ამ საკითხმა ვერ გამოიწვია, არ გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები მის შესაჩერებლად. სააკაშვილის ხელისუფლებამ და თვითონ სააკაშვილმა მწვანე შუქი აუნთეს ამ პროცესებს.

პირიქით ხდებოდა: **ამ იდეოლოგიის პროპაგანდისტებს ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, სხვადასხვა ვითარებასა და გარემოში ერთმანეთს გვერდით ედგნენ და ეხმარებოდნენ.**

**— ამბობთ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურები რადიკალებთან ერთად მოქმედებდნენ?!**

— დიახ, დიახ! ძალიან ახლო და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. ჩვენი ძალოვანების დევიზი იყო: ვაჰაბიტები აკონტროლებენ პანკისს, ჩვენ ვაკონტროლებთ ვაჰაბიტებს! ამ ლოგიკაში ჯდებოდა სააკაშვილის ხელისუფლების აზროვნება.

ამ ლოგიკაში, ასეთ აზროვნებაში მე და ჩემნაირები სხვა მიზანს ვხედავდით: **რისთვის სჭირდებოდა ჩვენს ხელისუფლებას რადიკალური ისლამის გავრცელება საქართველოში, მისი პოპულარიზაცია და მისთვის ხელის შეწყობა, მისი გაძლიერება?! რატომ უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფო ამით დაინტერესებული?!** ხომ ჩნდება ასეთი კითხვა?

**— რა თქმა უნდა, ჩნდება.**

— პასუხი ერთია: სააკაშვილის ხელისუფლება, იმჟამინდელი სახელმწიფო დაინტერესებული იყო, ყველაფერი, რაც ქისტებთან და ქისტურ მეობასთან იყო დაკავშირებული, ჩამკვდარიყო.

**— ამბობენ, სირიაში „ისლამური სახელმწიფოს" მხარეს საომრად წასული ახალგარდები პანკისის ხეობაში დაბრუნდნენ და ამჟამად ჭაბუკების ახალი ნაკადის გადასაბირებლად მუშაობენო.**

— წასულები არ დაბრუნებულან. ბოლო პერიოდში ეგ პროცესი, ფაქტობრივად, შესუსტდა. როგორც ჩანს, სახელმწიფო ძალოვანმა სტრუქტურებმა ამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. პროცესი დროებითაა შეჩერებული: გარკვეული კატეგორია ადამიანებისა დაპატიმრებულია. ეს ერთია, მაგრამ **ჩვენი საზოგადოების არაბიზაციის მცდელობის პროცესი არ შეჩერებულა, მასობრივად გრძელდება, ახალგაზრდობის 70-80 პროცენტი ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშაა.**

**— ვინ მართავს ამ პროცესს?**

— ძალა, რომელსაც დიდი რესურსი აქვს.

**— ის ადამიანები, რომლებიც ამ იდეას ქადაგებენ, ხომ თქვენ შორის არიან, აქ ცხოვრობენ, ხეობაში დადიან?**

— რა თქმა უნდა, აქაურები არიან. **მათ აქვთ დაფინანსება, საზოგადოების დიდი ნაწილი უჭერს მხარს, გახსნილი აქვთ მედრესეები, მიმდინარეობს ბავშვების სულიერი მოწამვლის პროცესი.**

**მთავარი მათ დოგმატიკაში არის ის, რომ ეროვნება მეორე პლანზეა გადაწეული, პირველ პლანზე რელიგიაა. ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენთვის მთავარი ამოსავალია ეროვნულობა, ტრადიციები. ეს ყველაფერი თუ მოგვისპეს, ჩვენგან რა დარჩება? — არაფერი! დავკარგავთ იმას, რაც გვავსებს, რითაც სხვებისგან განვსხვავდებით, რაც ასე წმინდად შემოვინახეთ — ჩვენი წინაპრების მიერ ნაანდერძევი ცხოვრების ნორმა.**

დღეს ეს ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დაგვიყენეს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ პანკისის ხეობაში ჩადებული დაყოვნებული მოქმედების ნაღმი ჰიპერბოლა კი არა, დასაფიქრებელი რეალობაა.**

**ვინაც ჯერ არს, უნდა ისმინოს!**

## «ჩვენი საზოგადოების არაბიზაციის მცდელობის პროცესი არ შეჩერებულა, მასობრივად გრძელდება, ახალგაზრდობის 70-80 პროცენტი ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშაა»

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**14 იანვარს ძველი ახალი წელი უკვე ძალაში შედიოდა, როცა ვოლხოვის ფრონტმა ერთიანად იძუხა და მოწინააღმდეგის გამაგრებული პლაცდარმი ცაში ავარდა. სამწლიან ალყაში მყოფი ქალაქი ლენინგრადი სულს ითქვამდა, მაგრამ სულს ლაფავდნენ არმიები, რომლებიც გარს შემოხვეოდნენ ლენინგრადს. სისხლის მდინარეები უერთდებოდა ნევას.**

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი

**ბევრი მეცნიერი, ასტროლოგი თუ ფსიქოლოგი ამაოდ ჩაჰკირკიტებს 1945 წლის 24 ივნისს გამარჯვების აღლუმის მიმდინარეობისას მავზოლეუმის ტრიბუნაზე მყოფი სტალინის სახეს, რომელიც არცთუ ხალისიანად გაჰყურებს როგორც მოზეიმე წითელ მოედანს, ასევე, იმ შორეულ სივრცეებს, სადაც ჯერ კიდევ იწვის მძიმე არტილერიის დარტყმების თუ საჰაერო დაბომბვის შედეგად აალებული ქალაქები.**

სტალინი თვალმოჭუტული გაჰყურებდა სივრცეს და აანალიზებდა, სად დაუშვა საბედისწერო შეცდომა (თუ დაუშვა — გრ. ონიანი) და სად მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება. ტრიბუნაზე ის თანამებრძოლებთან და მეგობრებთან იდგა, მაგრამ თავისი სიდიადითა და შორსმჭვრეტელობით მაღლა, ძალიან მაღლა იდგა იმ გარემოცვასთან შედარებით.

უფორმოები, თავიანთი მლიქვნელობითა და მონური მორჩილებით, მართლაც, რომ უფორმოდ გამოიყურებოდნენ და გამარჯვებული „ბავშვებივით" აქაც ტაკიმასხარაობდნენ.

ფორმიანებს კი, რომლებსაც ხან ძალით ჩააცვა და ხანაც ძალით გახადა ტანსაცმელი, ზოგს საყელო უჭერდა, ზოგსაც ნაპატიებ მუცელზე მუნდირი არ ეკვროდა. თვალისმომჭრელად ბრწყინავდა სამხრეები, ბუზმენტები დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ მხრებსა თუ თავებზე. ქვაფენილზე კი ღრჭიალით მიჰქროდა ევროპაშემოვლილი სიკვდილის მანქანები. ბომბდამშენების ყურისწამღებმა გრუხუნმა მაღლა აახედა ცისა და ხმელეთის მპყრობელი და გამარჯვების ტრიუმფატორი. მან წამიერად თვალი მოჰკრა „ონავარი ვასილ სტალინის" მეთაურობით ცაზე უსწრაფესი თვითმფრინავების წყობით გამოსახულ სიტყვებს „დიდება დიდ სტალინს".

სტალინმა თავი დახარა და ისევ სივრცეს გახედა. გაახსენდა ალმოდებული დედამიწის სფერო, რომელსაც არათუ აქრობდა, პირიქით — ნავთს ასხამდა სატანის მიერ გამოგზავნილი ადამიანთა მოდგმის ნაძირალა ჰიტლერი.

**სტალინმა ვერც პოლიტიკით, ვერც დიპლომატიით, ვერც ადამიანური ურთიერთობით ვერ შეაჩერა ჰიტლერის მიერ აგიზგიზებული ხანძარი, ვიდრე თვითონაც არ დარწმუნდა, რომ ცეცხლს ისევ ცეცხლი ჩააქრობდა.**

დედამიწას, კაცობრიობას კატასტროფა დაემუქრა — **110-მა მილიონმა ადამიანმა ხელში თოფი აიღო, 80-მდე დიდი თუ პატარა სახელმწიფო უშუალოდ ჩაება ომში. რკინის მადანი მიწიდან ამოიღეს, ფოლადად აქციეს და ცაში გაუშვეს, რათა იქიდან ღვთის რისხვად მოვლინებოდა კაცობრიობას. ერთხელ გამდნარი ფოლადი კვლავ დნებოდა და გავარვარებულ ზღვად და მდინარეებად მიედინებოდა ბრძოლის ველად ქცეულ დედამიწაზე.**

მსოფლიოში ყველა თოფმომარჯვებულის — მომხდურის თუ დამხდურის, ყველაზე დიდი მხედართმთავარი იყო ქართველი კაცი — **იოსებ ჯუღაშვილი.** დღეს ვიღაც ისტორიკოსს, რომანისტსა თუ ბელეტრისტს ეშინია, კალამი არ გაექცეს და სტალინს იმაზე მეტი არ მიაწეროს, რაც ეკუთვნის...

მე კი არ მეშინია და ვიწყებ მასალების გამოქვეყნებას „ომის ღმერთზე" — სტალინზე და, თუ ვინმეს ჩემი ეს ნაწერი გულზე დაადგება, ვურჩევ ცივი წყალი დალიოს.

სტალინგრადი. 1942 წლის 27 ნოემბერი. აპარატ „ბოდოსთან" **სტალინი** დგას და ესაუბრება სტალინგრადში მყოფ გენერალური შტაბის უფროს **ალექსანდრე ვასილევსკისა** და გენერალ **ნიკოლაი ვატუტინს:**

— სისულელეა, არ დაგიმთავრებიათ ერთი საქმე და იწყებთ მეორეს. მტერი ალყაში გყავთ მოქცეული, რისთვისაც დაკავებული გყავთ სამი არმია, რას უყურებთ, რატომ არ გამოათავისუფლებთ სამ არმიას, რომლებმაც უნდა იბრძოლონ და არა იყარაულონ? დაუყოვნებლივ შეასრულეთ ჩემი ბრძანება, საჭიროა, ლიაპიჩევოსთან შექმნათ ოპერატიული პუნქტი 10-15 კაცის შემადგენლობით, რომელიც გააკონტროლებს ბლოკირებული შენაერთების იზოლაციას. რაც შეიძლება მეტად შეავიწროვეთ რკალი. მიხაილოვმა (ჟუკოვმა — გრ.ო.) მხოლოდ და მხოლოდ ამ მიმართულებით იმუშაოს და თავი დაანებოს „სატურნის" გეგმას; რაც შეეხება „სატურნის" გეგმის, ის განახორციელოს ვატუტინმა და კუზნეცოვმა. მოსკოვი მათ აუცილებლად დაეხმარება. მეორე — გაკვირვებული ვარ, საიდან აიღო ლელიუშენკომ 8 საბრძოლო დივიზია, რა გამოთქმაა და რა მიმართვაა: „ლელიუშენკოს მარჯვენა და ლელიუშენკოს მარცხენა ფრთა", როდესაც ლელიუშენკოს ჰყავს ერთი პირველი გვარდიული არმია?

**ვასილევსკი:** — კარგად მესმის, რომ სტალინგრადის დაჯგუფების განადგურება ჩვენი ძირითადი ამოცანაა, მაგრამ ამხანაგმა **ბერიამ** თქვენი სახელით გამოგვიცხადა, რომ „სატურნს" განაგებს თვითონ. მე მზად ვარ, თქვენი ბრძანების შესასრულებლად.

**სტალინი:** — როგორია თქვენი სხვა გეგმები? სად ფიქრობთ „დონცოვისა" და „ივანოვის" ოპერპუნქტების განლაგებას, სად იქნება „ვორონოვი" თქვენთან თუ დაუბრუნდება „სატურნის" რაიონს?

**ვასილევსკი:** — აუცილებელია, მოგახსენოთ არსებული მდგომარეობა მიმდინარე მომენტისთვის.

ვასილევსკიმ მთავარსარდალს გააცნო მოქმედების გეგმა, მაგრამ სტალინმა მოკლედ და კონკრეტულად დავალება მისცა.

**სტალინი:** — მექანიზებული კორპუსის გამოყენების ყოველგვარი უფლება დაუტოვეთ ვატუტინს მისი თვალსაზრისის მიხედვით.

**ვასილევსკი:** — ამხანაგო სტალინ, „ვორონოვი" მთხოვს, წამოვიდეს 2 დღით ლელიუშენკოსთან ერთად, რათა შეთანხმებულად და უფრო სწრაფად შეადგინონ „სატურნის" გეგმა.

**სტალინი:** — სად არის დონცოვის (როკოსოვსკის — გრ.ო.) სამეთაურო პუნქტი?

**ვასილევსკი:** — 24-ე არმიის მონაკვეთში.

**სტალინი:** — კარგი. გაიყოლოს რამდენიმე სპეციალისტი და „დონცოვსა" და „ივანოვთან" ერთად სასწრაფოდ გადაწყვიტონ ეს საკითხი. ლელიუშენკოს დიდხანს ნუ მოაცდენთ, მან არმია სასწრაფოდ მიაბრუნოს ჩრდილოეთისკენ. მაინტერესებს, ვინ უხელმძღვანელებს პირველ გვარდიულ არმიას.

**ვასილევსკი:** — ნება დამრთეთ, ჩემს თავზე ავიღო ეს.

**სტალინი:** — მე გეკითხებით, ვინ იქნება პირველი გვარდიული არმიის სარდალი მარჯვენა ფლანგზე — ლელიუშენკო, კუზნეცოვი თუ სხვა ვინმე?

**ვასილევსკი:** — გთხოვთ, ნება დამრთოთ, მოვალეობა დავაკისრო კუზნეცოვს ვატუტინის უშუალო პასუხისმგებლობით.

ვასილევსკის პასუხიდან სტალინმა ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ბოლოს იკითხა: — სად იქნება პირველი გვარდიული არმიის შტაბი — ლელიუშენკოსთან თუ კუზნეცოვთან?

ვასილევსკიმ კვლავ დაბნეულად აუხსნა გვარდიის განლაგებისა და შტაბის ადგილმდებარეობის კოორდინატები, შემდეგ კი დაბნეულობის გამოსწორება იმით სცადა, რომ სტალინს სთხოვა, მისთვის სასწრაფოდ გაეგზავნა 8 საუკეთესო შტაბისტი, კავშირგაბმულობისა და ზურგის მომარაგების სპეციალისტები.

ნერვებმოშლილმა **სტალინმა** ველარ შეინარჩუნა წონასწორობა და ვასილევსკის თითქმის ყვირილით ჰკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, მითხარით, ვინ იქნება მარჯვენა დაჯგუფების სარდალი — კუზნეცოვი თუ ლელიუშენკო და სად იქნება მათი ადგილსამყოფელი?

ვასილევსკის აბდაუბდა საუბრიდან სტალინმა კვლავ რომ ვერაფერი გაარკვია, თვითონ დაიწყო ვითარების მოგვარება.

ამხანაგო ვასილევსკი, ლელიუშენკო უკვე სარდლობს ფრონტს გერმანელების წინააღმდეგ, მას თავი დაანებე, უკეთესი იქნება, თუ დარჩება თავის ადგილზე მარცხენა დაჯგუფებაში. კუზნეცოვი კი გადაიყვანე მარჯვენა დაჯგუფებაში. კუზნეცოვი ამით კიდევ უფრო პროდუქტიული იქნება „სატურნის" მომზადებაში.

**ვასილევსკი და ვატუტინი:** — ასეც მოვიქცევით, ამხანაგო სტალინ.

**სტალინმა** „ბოდოს" აპარატთან ვასილევსკი იხმო.

— ჩაიწერეთ. პირველი — თქვენი დავალებაა, გააერთიანოთ „დონცოვისა" და „ივანოვის" ძალები და ერთად გაანადგუროთ მოწინააღმდეგე. გთხოვთ, ნუ მიედ-მოედებით სხვა საქმეებს, თქვენ მხოლოდ ეს ერთი საქმე გავალიათ.

მეორე — მთელი ავიაცია, ნოვიკოვის ავიაციის ჩათვლით, თქვენს განკარგულებაშია. თქვენი ამოცანაა, დაუნდობლად ურტყათ მტერს საბოლოო განადგურებამდე.

მესამე — თუ საჭირო შეიქნება, შეიძლება გამოგიყოთ სატანკო კორპუსი „დონცოვის" ან „ივანოვის" გასამაგრებლად.

მეოთხე — თქვენ გევალებათ, ყოველდღიურად ანგარიში ჩააბაროთ „სტავკას" „დონცოვისა" და „კუზნეცოვის" მოქმედებათა შესახებ.

მეხუთე — ხვალ დილით უნდა მომახსენოთ, საჭიროა თუ არა 62-ე არმიის გადაცემა დონის ფრონტისთვის. ხვალვე მითხარით, სად გავგზავნოთ სატანკო კორპუსი. შეკითხვა ხომ არ გაქვთ, თქვენთვის ყველაფერი გასაგებია?

**ვასილევსკი:** — ყველაფერი გასაგებია.

**სტალინი:** — კეთილი, აპარატთან მოვიდეს ვატუტინი. ამხანაგო ვატუტინ, მიიღეთ დავალება.

პირველი — უნდა უხელმძღვანელოთ ლელიუშენკოსა და რომანენკოს ▶



სტალინი გამარჯვების აღლუმზე

**ის ხატი, რომელმაც მსოფლიო და მისი კულტურა გადაარჩინა, ჯერ არ გამოჭედილა; ჯერ არ აღვლენილა ლოცვა მის მიმართ, ვინც მართლმადიდებლურ მსოფლიოს ქრისტეს საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტეს რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტეს 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა**

მსოფლიო



## ტაჯიკეთში სპეცოპერაციისას 13 «ბოევიკი» მოკლეს

**ტაჯიკეთში შსს-ის, ეროვნული უსაფრთხოების სამსახურისა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი სპეცოპერაციის დროს 13 „ბოევიკი" მოკლეს.**

ოპერაცია თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის, აბდუჰალიმ ნაზარზოდას ჯგუფის წინააღმდეგ ჩატარდა. დააკავეს ამ ჯგუფის 32 წევრი, გარდა ამისა, სპეცოპერაციის შედეგად 500-მდე იარაღი ამოიღეს.

ტაჯიკეთის მთავრობის ცნობით, ნაზარზოდა და მისი მებრძოლები რამითის ხეობაში იმალებიან. მათი ძებნა გრძელდება. დედაქალაქ დუშანბესა და ქალაქ ვაჰდათში მომხდარ თავდასხმებში, რომლებსაც 17 ადამიანი შეეწირა, ხელისუფლება ნაზარზოდას ადანაშაულებს.



# 1944 წლის 1 იანვრიდან სტალინი რეგულარულად ამუშავებდა სამხედრო შენაერთ „ჩრდილოეთის“ სამოქმედო რუკას, შეჰქონდა შესწორებები, გადააადგილებდა და სხვადასხვა მიმართულებას აძლევდა შემადგენლობებს. 1 იანვრიდან 13 იანვრის ჩათვლით სტალინმა 7-ჯერ გამოცვალა დაჯგუფება „ჩრდილოეთის“ რუკები, რადგან დამუშავებისგან სამოქმედო მიმართულებების მაჩვენებელი ხაზები ერთმანეთს აჯდა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოქმედებებს, ნიჟნე ჩირსკიდან ნიჟნე კრივსკოემდე. კონკრეტული დავალებაა. უნდა მოამზადოთ ოპერაცია „სატურნი“.

მეორე — ვორონოვი დატოვეთ ფიოდოროვის განკარგულებაში „სატურნის“ მოსამზადებლად და, ამასთანავე, ლელიუშენკოს დასახმარებლად.

მესამე — პირველი შერეული ავიაკორპუსი ფიოდოროვის განკარგულებაში გამოგიგზავნეთ, დღე-დღეზე კი კვლავ მიიღებთ კიდევ ერთ ავიაკორპუსს, რომელშიც იქნება გამანადგურებლების დივიზია თავისი მოიერიშეებით.

მეოთხე — თუ მეხუთე მექანიზებულ კორპუსს მიიღებთ, ეს რომანენკოს განკარგულებაში იქნება თუ არა?

**ვატუტინი:** — დღევანდელი მდგომარეობით, მეხუთე მექანიზებული კორპუსის გამოგზავნა რომანენკოსათვის უფრო სამართლიანი იქნება, მაგრამ, თუ მის მიღებამდე მდგომარეობა შეიცვლება და დახმარება დასჭირდება ლელიუშენკოს, ჩვენ მას დავეხმარებით.

**სტალინი:** — ვინ გაანაწილებს იმ მექანიზებულ კორპუსს, რომელსაც თქვენ მიიღებთ?

**ვატუტინი:** — გვარდიული მექანიზებული კორპუსი დარჩება ლელიუშენკოს მარცხენა ფლანგზე.

**სტალინი:** — ორივე მექანიზებული კორპუსი — მეხუთე და გვარდიულიც, შეიძლება დარჩეს მარცხენა ფლანგზე ლელიუშენკოსთან, თუ რომანენკოს საბრძოლო რაიონში არსებულ მდგომარეობას გავითვალისწინებთ. „სატურნის“ წარმატებისთვის უმოკლეს დროში დამატებით მიიღებთ ერთ მექანიზებულ კორპუსს და ერთ სატანკო კორპუსს. ეს იქნება თქვენი რეზერვი. სასწრაფოდ დასვით კუზნეცოვი ლელიუშენკოს მარჯვენა ფრთაზე პირველ გვარდიულ არმიაში და შეუქმენით ყველა პირობა „სატურნის“ ოპერაციაზე სამუშაოდ. ყველაფერი გასაგებია თუ გაქვთ რამე გასარკვევი?

**ვატუტინი:** — ჩვენთან დიდი ხანია, არ გამოჩენილა საარტილერიო დივიზია, არ ვიცი, რა ხდება.

**სტალინი:** — საარტილერიო და საზენიტო დივიზიები უკვე დატვირთულია და ისინი მალე იქნებიან თქვენთან.

**ვატუტინი:** — გასაგებია. გთხოვთ, მაცნობოთ მათი ნომრები. მე მხოლოდ 3 პოლკი დამრჩა, დანარჩენი გადავეცი 21-ე არმიას. გთხოვთ, თუ ამის საშუალება გექნებათ, დამატებით გამომიგზავნოთ 4 პოლკი.

**სტალინი:** — თქვენი მოთხოვნები სასწრაფოდ გამოგზავნეთ უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში. გამოვნახავ დროს და, თუ ახლა მხოლოდ 2 პოლკს გიგზავნი, ხვალ თქვენს მოთხოვნას სრულად დავაკმაყოფილებ. გმადლობთ, ნახვამდის.


ნიკოლაი ვატუტინი


ალექსანდრე ვასილევსკი

**«დერეფანში ბერია დაწინაურდა, მე კი სტალინმა ხელკავი გამომდო და ისე გამოვედით. ვიგრძენი, ჯიბეში რაღაცამ გაიფათურა, მაგრამ გვერდით გახედვა ვერ გავბედე», — იხსენებდა მიხეილ ჭიაურელი მოგვიანებით. „გარეთ გამოვედით. რადგან ბერიასთან ერთად ჩამოვდიოდი კიბეზე, ვერც მაშინ გავბედე ჯიბეში ხელის ჩაყოფა, რათა გამეგო, რა ჩამიდეს პალტოს ჯიბეში. ბერიამ სახლის კიბემდე მიმაცილა. შინ შესული არ ვიყავი, რომ ჯიბეში ხელი ჩავიყავი და ამოვიღე ხელსახოცში გახვეული მრგვალი საგანი, და ჰოი, საკვირველებავ! — ხელში შემრჩა წითლად შეღებილი კვერცხი, რომელზეც სტალინის ხელით იყო დაწერილი: «ს ნოვიმ გოდომ»**

ძვირფასო მკითხველო, ეს საუბარი იმიტომ მოვიყვანე დაწვრილებით, რომ იცოდეთ, რა ზუსტად იცოდა ომის ყველა წვრილმანი და როგორი გულდასმითა და ყოველგვარი კითხვების გაუჩენლად აძლევდა დავალებას სტალინი.

**არავის სამხედრო ნიჭსა და თავდადებას არ ვამცირებ, მაგრამ, უბრალოდ, სასაცილოა და შეურაცმყოფელი, როცა ამბობენ, ომი პარტიამ, ხალხმა, კოალიციამ, რუსულმა ზამთარმა და ღვთისმშობლის ხატმა მოიგოო. ხატს, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს, მაგრამ ის ხატი, რომელმაც მსოფლიო და მისი კულტურა გადაარჩინა, ჯერ არ გამოჭედილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა მის მიმართ, ვინც მართლმადიდებლურ მსოფლიოს ქრისტეს საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტეს რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტეს 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა.**

მე აღვწერე სტალინგრადის ბრძოლების ერთი ეპიზოდი, როგორ უმარცვლავს და თავის მხედართმთავრებს ომის ყველა მოსალოდნელ სირთულეს და ზღუდეს. მსოფლიოს ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში რომელიმე ქალაქისა თუ ადგილის სახელწოდება იმდენჯერ არ უხსენებიათ, რამდენჯერაც სტალინგრადი. სტალინგრადის შემოქმედი კი ხომ თვითონ სტალინია?! ვის ეპარება ეჭვი, რომ სტალინგრადთან გამარჯვების შემდეგ სტალინს ომი მოგებული არ ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკური, დიპლომატიური თუ ადამიანური აზროვნება ვერ წვდება იმ საიდუმლოს, რატომ უნდა გაეყოთ სტალინის მიერ მოკლული დათვის ტყავი სამ კაცს!




ვერც სტალინგრადთან გამარჯვებამ გადაწყვიტა მეორე ფრონტის გახსნა. სტალინმა უამრავ წყალქვეშა დინებაში გაიარა, მოკავშირე მტრად რომ არ ქცეოდა და ინგლის-ამერიკას ზავი არ შეეკრა გერმანიასთან (მტრისგან ყველაფერი მოსალოდნელია).

კურსკის გათავისუფლების აღსანიშნავად წითელ მოედანზე გამართული აღლუმი, რომელმაც გაანათა არა მხოლოდ მოსკოვის ცა, არამედ მილიონობით ადამიანის გული და გონება, სტალინის გამარჯვების, შინაგანი ძალის, უძლეველობისა და ზეადამიანობის გამოხატულება იყო.

1943 წლის 31 დეკემბერი ღმერთისა და მის მიერ გაჩენილი არსების პირისპირ შეხვედრის ჯერ გაუაზრებელი და შეუცნობელი მოვლენაა. არავინ იცის, კაცი ეახლა ღმერთს თუ ღმერთი მივიდა ადამიანთან ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს...

ბერიამ ყურმილი საფეთქელთან მიიდო და სწრაფად წამოხტა:

— გისმენთ, ამხანაგო სტალინ!

— თუ იცით, მიშა ჭიაურელი მოსკოვშია?

— დავაზუსტებ და მოგახსენებთ.

— ამხანაგო სტალინ, ჭიაურელი მოსკოვშია და ელის თქვენს ბრძანებას.

— ბრძანებას, როგორ გაკადრებთ, — ღიმილით მიუგო სტალინმა, მაგრამ, თუ შეძლებთ, შენ და მიშა კრემლის ბინაში მეწვიეთ საღამოს 11 საათზე.

მასპინძელი მხიარულად შეხვდა სტუმრებს. პატარა მოკრძალებული სუფრაც დაახვედრა. საუბარიც გულთბილად წარიმართა. სტალინი ენაწყლიანობდა, იხსენებდა ბავშვობას, სემინარიაში სწავლას, მასწავლებლებისა და გადასახლების ამბებს. მიხეილი ოხუნჯობდა, ანეკდოტებს ყვებოდა, მას არც სტალინი ჩამორჩებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინთან სტუმრობა მოსაწყენი არასოდეს ყოფილა, დრო მაინც ნელა გადიოდა. მაშინ კი, როდესაც ფანჯარასთან რძისფერი შენიშნა, სტალინმა მოკრძალებით წარმოთქვა, — ხომ არ დავიშალოთო.

**„მასპინძელმა კარამდე გამოგვაცილა, კარგ განწყობაზე იყო. დერეფანში ბერია დაწინაურდა, მე კი სტალინმა ხელკავი გამომდო და ისე გამოვედით. ვიგრძენი, ჯიბეში რაღაცამ გაიფათურა, მაგრამ გვერდით გახედვა ვერ გავბედე“, — იხსენებდა მიხეილ ჭიაურელი მოგვიანებით. „გარეთ გამოვედით. რადგან ბერიასთან ერთად ჩამოვდიოდი კიბეზე, ვერც მაშინ გავბედე ჯიბეში ხელის ჩაყოფა, რათა გამეგო, რა ჩამიდეს პალტოს ჯიბეში. ბერიამ სახლის კიბემდე მიმაცილა. შინ შესულიც არ ვიყავი, რომ ჯიბეში ხელი ჩავიყავი და ამოვიღე ხელსახოცში გახვეული მრგვალი საგანი და, ჰოი, საკვირველებავ! — ხელში შემრჩა წითლად შეღებილი კვერცხი, რომელზეც სტალინის ხელით იყო დაწერილი: „ს ნოვიმ გოდომ“.**

გაკვირვებული მიხეილ ჭიაურელი ვერაფრით მიხვდა, რას ნიშნავდა ან ღამის თევა, ან ეს საჩუქრი. მას ხომ ამგვარი საჩუქარი აღდგომასაც ჰქონდა მიღებული სტალინისგან, მაგრამ მაშინ ეს ადვილად ახსნა, — სტალინმა შეგნებულად გაათენა მასთან ერთად ღამე და ამით მეტანიობაც შეასრულა და წითელი კვერცხითაც დაასაჩუქრა. საახალწლოდ წითელი კვერცხის ჩუქება კი მისთვის აუხსნელი იყო...

1944 წლის 1 იანვრიდან სტალინი რეგულარულად ამუშავებდა სამხედრო შენაერთ „ჩრდილოეთის“ სამოქმედო რუკას, შეჰქონდა შესწორებები, გადააადგილებდა და სხვადასხვა მიმართულებას აძლევდა შემადგენლობებს. P1 იანვრიდან 13 იანვრის ჩათვლით სტალინმა 7-ჯერ გამოცვალა დაჯგუფება „ჩრდილოეთის“ რუკები, რადგან დამუშავებისგან სამოქმედო მიმართულებების მაჩვენებელი ხაზები ერთმანეთს აჯდა.

**14 იანვარს ძველი ახალი წელი უკვე ძალაში შედიოდა, როცა ვოლხოვის ფრონტმა ერთიანად იქუხა და მოწინააღმდეგის გამაგრებული პლაცდარმი ცაში ავარდა. სამწლიან ალყაში მყოფი ქალაქი ლენინგრადი სულს ითქვამდა, მაგრამ სულს ღაფავდნენ არმიები, რომლებიც გარს შემოხვეოდნენ ლენინგრადს. სისხლის მდინარეები უერთდებოდა ნევას.**

27 იანვარს სტალინმა ბრძანება გასცა, საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვს გამარჯვების სალუტით აღენიშნა ლენინგრადის განთავისუფლება გერმანელი დამპყრობლებისაგან.

ასე ბრწყინვალედ დასრულდა მსოფლიოს ისტორიაში 10 სტალინურ დარტყმად წოდებული ომის ერთ-ერთი ეტაპი — Lლენინგრადი ათი სტალინური დარტყმიდან პირველი იყო.

(გაგრძელება იქნება)



# საქართველოსა და არგენტინას შორის უვიზო მიმოსვლა ამოქმედდა



**საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 5 სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოსა და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობებს შორის სავიზო მოთხოვნის გაუქმების შეთანხმება.** ამიერიდან ორივე ქვეყნის ორდინარული პასპორტის მქონე მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, უვიზოდ გაემგზავრონ და 90 დღის განმავლობაში დაჰყონ ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას ხელი 2015 წლის ივნისში მოეწერა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის წყალობით მრავალი ქვეყანა მოიცვა კონფლიქტებმა, რომელთაც საბრძოლო მოქმედებები ახლავს. ათასობით არალეგალი გარბის სირიიდან, ერაყიდან და ავღანეთიდან.**

# მიგრანტებმა ევროკავშირი წალეკეს

**მიგრაციული პრობლემა სულ უფრო მეტად აქცევს მარწუხებში ევროკავშირს, უკვე გაუკოჭა ხელ-ფეხი. 2015 წლის დასაწყისიდან ევროკავშირის ტერიტორიაზე 340 ათასი მიგრანტი ჩავიდა და უმეტესობამ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში თავშესაფარი მოითხოვა.**



ეს გასაკვირი არცაა. აშშ-ის წყალობით მრავალი ქვეყანა მოიცვა კონფლიქტებმა, რომელთაც საბრძოლო მოქმედებები ახლავს. ათასობით არალეგალი გარბის სირიიდან, ერაყიდან და ავღანეთიდან. რამდენიმე დღის წინათ მათ პოლიციის კორდონის გაარღვიეს საბერძნეთის ტერიტორიიდან მაკედონიაში შეღწევა მოახერხეს.

ეს მხოლოდ დასაწყისია. პროტესტს გამოხატავენ არა მხოლოდ აგილობრივი მცხოვრებლები, არამედ მიგრანტებიც, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ამგვარი ცივი დახვედრით.

„ნათელისა და ბნელის“ (ვინ ვინაა, თავად განსაზღვრეთ) შერკინების მთავარი მოედანი გერმანიაა. რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანული ქალაქი ჰაიდენაუ რადიკალებსა და პოლიციელებს შორის ბრძოლის არენად იქცა.

მაგრამ მხოლოდ პოლიციელები როდი აღმოჩნდნენ სახალხო უკმაყოფილების ეპიცენტრში. დაახლოებით სამასი დემონსტრანტი რადიკალურ სლოგანებსა და მერკელის მიმართ შეურაცხმყოფელ ფრაზებს გაჰყვიროდა იმის გამო, რომ გერმანიის კანცლერტმა დევნილების თავშესაფარის მონახულება გადაწყვიტა. ამასთანავე, მან „ხალხის მტრის“ წოდებაც მიიღო.

კიდევ იოლად გადარჩა. შეიძლებოდა, ყველაფერი უფრო უარესად დამთავრებულიყო, თუმცა... ეს ხომ ჯერ არ არის დასასრული. გაურკვეველია, რა იქნება შემდგომ, განრისხებულმა ხალხმა უკვე დაიწყო დევნილების თავშესაფრების გადაწვა.

რა გახდა სახალხო უკმაყოფილების ესოდენ მკვეთრი ამოფრქვევის მიზეზი?

პირველ რიგში, მიგრანტები საფრთხის წინაშე აყენებენ შენგენის შეთანხმების ჩაშლას, ეს კი ევროზონის ტურისტულ ძარღვზე დარტყმას ნიშნავს.



მეორე მიზეზი ჰუმანური პოლიტიკაა. **უმუშევრები და დევნილები გერმანიაში უფრო მეტს იღებენ, ვიდრე ისინი, ვინც მუშაობენ, მაგრამ დაკავებულნი არიან არაკვალიფიციურ სამსახურში, ასეთი კი, როგორც წესი, ბევრია. თუკი ვინმეს პოლიტიკურ დევნილად აღიარებენ გერმანიაში, ის თვეში გარანტირებულად მიიღებს 400 ევროს, უფასო საცხოვრებელს და სამედიცინო მომსახურებას.**

ამგვარი ზომები აზარალებს ხალხს, რაც განაპირობებს კიდეც უკმაყოფილების ტალღას. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობაზე უარის თქმა ხელისუფლებას არ შეუძლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დევნილების ნაკადები მხოლოდ გაიზრდება. ტემპერატურე, შესაძლოა, გაზარდოს საბერძნეთისა და უკრაინის არჩევნებმაც, რომლებიც ხელს შეუწყობენ ევროპული კრიზისის განვითარებას. მაშინ კი დიდი ხნით მიადგება ჩრდილი ევროკავშირს.

ევროპელი ლიდერების ჰუმანიზმმა და ტოლერანტობამ სალი აზრი დაჩრდილა და აიძულა „ლურჯი საყელოები“, მაშხალები აენთოთ და მიგრანტების წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბიუროკრატიულმა აბდაუბდამ და პრობლემაზე დაგვიანებულმა რეაგირებამ მხოლოდ გაამწვავა სიტუაცია, რომელიც სულ უფრო სწრაფად ხდება უკონტროლო. ვნახოთ, რა სვლას გააკეთებს ბრიუსელი სიტუაციის განსამუხტავად საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის დამძიმების გარეშე.

თუმცა, ეს მაინც ჩიხია და ევროკავშირს ისღა დარჩენია, ელოდოს, თუ რომელი მხრიდან მიაყენებენ დარტყმას, რომლის შემდეგაც ევროპული საზოგადოება კრიზისებში ჩაიძირება.

cont.ws

# პრეზიდენტ ერდოღანის ამბიციებმა თურქეთი სამოქალაქო ომის პირას მიიყვანა

**თურქეთი სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური კოლაფსის პირასაა, მისი მომავალი კი დამოკიდებულია ქვეყნის პრეზიდენტის — რეჯეპ ტაიპ ერდოღანის უზომო ამბიციაზე.**

ნეოოსმალური დიდების (მისი აღორძინების იდეოლოგია ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ამჟამად კი პრემიერ-მინისტრი აჰმედ დავუთოღლუ) მანიით შეპყრობილი ერდოღანი, როგორც ბევრი მიიჩნევს, საკუთარი ხალიფატის შექმნისკენ მიისწრაფვის, მაგრამ მის განზრახვას ივლისის არჩევნებზე ქურთების სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ ხელი შეუშალა.

**ქურთების პარტიამ პირველად დაძლია 10-პროცენტიანი საარჩევნო ზღვარი და ხმათა 13 პროცენტის შეგროვებით თურქეთის პარლამენტში 80 ადგილი მოიპოვა.**

სამართლიანობისა და განვითარების საპრეზიდენტო პარტიას 550 ადგილიდან აბსოლუტური უმრავლესობა ესაჭიროება, რათა შეცვალოს კონსტიტუცია და განამტკიცოს თავისი სრული აღმასრულებელი ხელისუფლება. 258 ადგილით უმრავლესობის შემცირების გამო, სამართლიანობისა და განვითარების პარტია იძულებული შეიქნა, მოლაპარაკებები ეწარმოებინა რესპუბლიკურ სახალხო პარტიასთან კოალიციის ჩამოყალიბების მიზნით, მაგრამ განლაგება შეიცვლა — სამართლიანობისა და განვითარების პარტიის დელეგაციის მეთაური ერდოღანის დანიშნული იყო და მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ახლა ნოემბერში ახალი არჩევნებისკენ გზა ხსნილია, სამართლიანობისა და განვითარების პარტია კი ამ არჩევნებზე აბსოლუტური უმრავლესობის დაბრუნებას იმედოვნებს.

თავის დროზე ქურთების საკითხში ერდოღანმა საოცარი შემობრუნება მოახდინა. 2005 წელს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქურთულ დედაქალაქ დიარბაკირში წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ერდოღანმა, თურქ ლიდერებს შორის პირველმა, აღიარა ქურთების პრობლემის არსებობა, მოგვიანებით კი ოსლოში ჩატარდა საიდუმლო მოლაპარაკებები თურქეთის ნაციონალურ დაზვერვასა და აკრძალულ ქურთისტანის მუშათა პარტიას შორის.

**მშვიდობიან პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა შეთანხმება, რომელსაც დოლმაბახჩეში მოაწერეს ხელი და რომელიც მოიცავდა ათპუნქტიან გეგმას ქურთების საკითხის გადასაწყვეტად.** ამის შესახებ თებერვლის ბოლოს გამოაცხადეს. ამიტომ



**ქვეყანაში ძალადობის ესკალაციის ფონზე ობამას მოწოდება, როგორც ჩანს, არავის გაუგია. ამასთანავე, პრეზიდენტი ერდოღანი წარმატებით დაიმალა ახალ მდიდრულ სასახლეში რომის იმპერატორ ნერონის მსგავსად, რომელიც ხანძრის ალში გახვეულ რომში ვიოლინოზე უკრავდა**

სრულიად მოულოდნელი იყო, როდესაც მარტის შუა რიცხვებში ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთში არასდროს უარსებია ქურთული პრობლემას; მოგვიანებით კი, ივლისში, არჩევნების დასრულებისთანავე, უარი განაცხადა ზემოსხენებულ შეთანხმებაზეც.

ერდოღანი იმედოვნებდა, რომ საკონსტიტუციო რეფორმების გატარებისას ქურთები მხარს დაუჭერდნენ, მაგრამ მშვიდობიანი პროცესი დასრულდა, როდესაც სახალხო-დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარემ სალახატინ დემირტაშმა მარტის შუა რიცხვებში ერდოღანს განუცხადა: „ჩვენ არ მოგცემთ უფლებას, პრეზიდენტი გახდეთ“. ერდოღანმა დაბრუნების შემდგომ განაცხადა: „არ შეიძლება არსებობდეს რაიმე შეთანხმება პოლიტიკურ პარტიასთან, რომელსაც მხარს უჭერს ტერორისტული ორგანიზაცია“.

მაშინვე დაიწყო ზომების მიღება, რომ ქურთების წარმომადგენლებისთვის უარი ეთქვათ სადეპუტატო ხელშეუხებლობის ძალით სასამართლო დევნის თავიდან აცილებაზე ტერორისტებთან მათი სავარაუდო კავშირების გამო.

აშშ-თან თურქეთის შეთანხმება, რომელიც ამერიკულ თვითმფრინავებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ავიადარტყმების განსახორციელებლად სამხრეთ თურქეთში მდებარე ინჯირლიკის ავიაბაზის გამოყენების საშუალებას აძლევდა, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის დროებითი ხელისუფლების მიერ განიხილებოდა, როგორც კარტ-ბლანში ჩრდილოეთ ერაყსა და თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში ქურთების მუშათა პარტიის ბაზებისთვის საჰაერო დარტყმების მისაყენებლად თურქ სამხედროებსა და პოლიციაზე თავდასხმის საპასუხოდ.

ამან შეაშფოთა აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელმაც თურქეთის ხელისუფლებას შეახსენა: „შეთანხმება, რომელზეც ვმუშაობთ, დაკავშირებულია საკითხთან, თუ როგორ შეგვიძლია თურქეთ-სირიის საზღვრის ჩაკეტვა უცხოელი ბოევიკებისთვის. ყველაფერი, რის გაკეთებასაც ვაპირებთ, ამას ემყარება“.

ქვეყანაში ძალადობის ესკალაციის ფონზე ობამას მოწოდება, როგორც ჩანს, არავის გაუგია. ამასთანავე, პრეზიდენტი ერდოღანი წარმატებით დაიმალა ახალ მდიდრულ სასახლეში რომის იმპერატორ ნერონის მსგავსად, რომელიც ხანძრის ალში გახვეულ რომში ვიოლინოზე უკრავდა.

independent.co.uk

ევროკავშირი, რომელიც მიმართულია ხალხთა ინტეგრაციისა და საზღვრების მოშლისკენ, ნელ-ნელა ემსგავსება განსაკუთრებულ კლუბს, რომელიც მდიდრების ინტერესებს იცავს. ბერლინის კედლის დამხობიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ კონტინენტი კვლავაც აღმართავს კედლებს თავის საზღვრებზე.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირი მდიდრების ინტერესებს იცავს



**ევროკავშირის ისტორიიდან ნათელია, რომ ეს გაერთიანება აგებულია გაფართოების საფუძველზე. უკვე ნახევარი საუკუნეა, კავშირის ფეხზე დგომას ახალი ქვეყნების შემოერთება და კავშირის სახელმწიფოთა ინტეგრაცია განაპირობებს. ევროპულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ, რომელიც 1957 წელს იტალიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა შექმნეს, „გაფართოების შემოტევა“ პირველად მაშინ განიცადა, როდესაც კავშირის წევრობის სურვილი დიდმა ბრიტანეთმა გამოთქვა.**



მიუხედავად იმისა, რომ 1963 და 1967 წლებში საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი ბრიტანეთის მიღების წინააღმდეგ გამოვიდა, 1973 წელს ეს ქვეყანა, მასთან ერთად კი ირლანდია და დანია მაინც გახდნენ ევროპის კავშირის წევრები. გაფართოების მეორე ტალღამ ცივი ომის ბოლო პერიოდი მოიცვა, 1981 წელს კავშირს შეუერთდა საბერძნეთი, 1986-ში კი — იტალია და პორტუგალია.

1980-იან წლებში კავშირის საფიქრალი იყო ის, როგორ აემაღლებინა ცხოვრების დონე ხმელთაშუა ზღვის ღარიბი ქვეყნებისთვის ჩრდილოეთის მდიდარი ქვეყნების დონემდე. ბერლინის კედლის დამხობისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავშირს შეუერთდა ავსტრია, შვედეთი და ფინეთი — ქვეყნები, რომლებიც ცივი ომის პერიოდში შედარებით ნეიტრალურ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ. შემდგომ, როდესაც ევროკავშირის წევრი გახდა აღმოსავლური ბლოკის პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო, „რკინის ფარდა“, რომელიც 1945 წლის შემდგომ კონტინენტს პრაქტიკულად ორ ნაწილად ყოფდა, საბოლოოდ აიწია.

## ეგზისტენციალური კრიზისი

ამჟამად ევროკავშირში 28 სახელმწიფო შედის. საუბარია გაერთიანებაზე, რომელიც განფენილია გიბრალტარიდან ფინეთის ჩრდილოეთით ლაპლანდიამდე, კვიპროსიდან — ჩრდილოეთ ირლანდიამდე. გაფართოების შეწყვეტით, რომელიც ევროკავშირის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, ევროპა ეგზისტენციალურ კრიზისს შეეჩეხა. ევროკავშირი შეიძლება ველოსიპედს შევადაროთ. იმისათვის, რომ ველოსიპედი არ წაიქცეს, საჭიროა, მუდმივად ტრიალებდეს მისი ბორბლები და მოძრაობდეს. თუკი ველოსიპედზე მჯდომი 28 სახელმწიფო ერთმანეთთან კამათს გააბამს და ბორბლების ტრიალს შეწყვეტს, ყველა ერთად წაიქცევა. გაფართოება, საზღვრების მოშლა, ხალხთა ინტეგრაციის უზრუნველყოფა — ეს ევროკავშირის არსია.

## ერთადერთი გზა – ევროპაში მიგრაცია

ველოსიპედი სადაცაა შეჩერდება. ეს სამი მიზეზით შეიძლება აიხსნას: ზოგს ველოსიპედზე დაჯდომა სურს, ზოგს — ჩამოხტომა, ზოგსაც — მისი გადაბრუნება.

**ადამიანები, რომლებიც სამშობლოდან სამოქალაქო ომებს, სიღატაკეს, ეკოლოგიურ კატასტროფებს გაურბიან, ევროპაში გადასახლებას სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთ გზად მიიჩნევენ**

ვისაც ველოსიპედზე დაჯდომა სურს, მათ ავანგარდში დემოგრაფიული, ეკონომიკური და გეოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ დიდი ქვეყნები დგანან, ისეთები, როგორიც თურქეთი და უკრაინაა. ეს სახელმწიფოები, ერთი მხრივ, დაკავებულნი არიან შიგა ეთნიკური და დემოკრატიული პრობლემებით, მეორე მხრივ — ცდილობენ, ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთში კრიზისებს ებრძოლონ. იმის ნაცვლად, რომ ამ პრობლემების გადაჭრა შესთავაზოს, ევროკავშირი, განსაკუთრებით ბოლო წლებში, განზე დგომას და დამკვირვებლის როლს ამჯობინებს, მაგრამ ეს შეუძლებელია. **ადამიანები, რომლებიც სამშობლოდან სამოქალაქო ომებს, სიღატაკეს, ეკოლოგიურ კატასტროფებს გაურბიან, ევროპაში გადასახლებას სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთ გზად მიიჩნევენ.** 1945 წლის შემდგომ პერიოდში ევროპა დევნილების უდიდეს კრიზისს განიცდის.

ამ კონტინენტს მიაწყდა მილიონობით ადამიანი. 2015 წელს მხოლოდ გერმანიაში ჩასული დევნილების რაოდენობა 800 000-ს შეადგენს. მაგრამ ევროკავშირმა არ იცის, როგორ გაუმკლავდეს ამ კრიზისს. ამ მომენტში კავშირი იმას ჯერდება, რომ საკუთარ საზღვრებზე კედლებს აშენებს და მდუმარედ აკვირდება, როგორ იხრჩობა ხმელთაშუა ზღვაში ათასობით ადამიანი. გარდა ამისა, ვიდრე ავღანეთში, ერაყში, სირიაში კონფლიქტები გრძელდება, დევნილების რაოდენობის შემცირებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

## გამოეყოფა თუ არა დიდი ბრიტანეთი?

დევნილების შემოტევისა და იმ ეკონომიკური კრიზისების ფონზე, რომლებიც არყევს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს და პირველ რიგში საბერძნეთს, ევროკავშირის პრობლემების გადაჭრა უფრო რთულდება. ამ ფონზე იმატა ისეთთა რაოდენობამ, რომლებსაც გადარჩენის იმედი ველოსიპედიდან გადახტომის გზით აქვთ. დიდ ბრიტანეთში, სადაც მიგრანტების მიმართ მტრული განწყობა ძალზე მაღალია, განიხილავენ საკითხს ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე: იქ საამისოდ სპეციალური ტერმინიც კი მოიფიქრეს — Brexit. ბრიტანული გაზეთები პირველ გვერდებზე აქვეყნებენ შეთავაზებას, მიმართონ შეიარაღებულ ძალებს და დაარბიონ დევნილთა ბანაკები, რომლებიც საფრანგეთის ტერიტორიაზეა შექმნილი და საიდანაც ლა-მანშის ქვეშ მდებარე გვირაბით ათასობით ადამიანს სურს დიდ ბრიტანეთში შეღწევა. „თუკი ევროკავშირი იშლება, გავიქცეთ და თავს ვუშველოთ“.

## მემარჯვენეები ძალებს იკრებენ

არიან ველოსიპედის გადაბრუნების მსურველებიც. ესენი არიან ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ულტრამემარჯვენე პარტიები საფრანგეთიდან ფინეთამდე. ულტრამემარჯვენე პოლიტიკა, რომელიც ღარიბი სამხრეთევროპელი ხალხების მიმართ მტრულ და ქსენოფობიურ დამოკიდებულებას ეფუძნება, სახიფათოდ ძლიერდება. საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკვლევები აჩვენებს, რომ სოციალური დემოკრატიის ისეთ აკვანში, როგორიც შვედეთია, პირველ ადგილზე გავიდა ულტრამემარჯვენე პარტია „შვედი დემოკრატები“. წლევანდელ არჩევნებზე კი მეზობელ ფინეთში ულტრამემარჯვენე პარტიამ ხმათა 18% მოაგროვა და პარლამენტში მეორე ადგილი დაიკავა.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც კეთილდღეობის მაღალი დონით გამოირჩევიან, პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზებზე საუბრობენ, მაგრამ მათი გეგმები განუხორციელებელია. ევროკავშირმა იტალიაში, რომელიც ეკონომიკურ პრობლემებს ებრძვის, მხარი დაუჭირა ხელისუფლებაში ტექნოკრატების მოსვლას, მაგრამ თვალი დახუჭა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ბერძენმა ხალხმა მიიღო რეფერენდუმზე. **ევროკავშირი, რომელიც მიმართულია ხალხთა ინტეგრაციისა და საზღვრების მოშლისკენ, ნელ-ნელა ემსგავსება განსაკუთრებულ კლუბს, რომელიც მდიდრების ინტერესებს იცავს. ბერლინის კედლის დამხობიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ კონტინენტი კვლავაც აღმართავს კედლებს თავის საზღვრებზე.** როგორც ჩანს, ასეთია ისტორიის უცნაური ცვალებადობა...

**BIRGUN**

# «არაბული გაზაფხული» და ევრომაიდანი — მიგრაციის წყაროები

**„მზად უნდა ვიყოთ, მსხვერპლად გავიღოთ ჩვენი თავისუფლებების რაღაც ნაწილი ტერორიზმთან ბრძოლისთვის“, — აღნიშნა ბელგიის პრემიერმა და ამით პერიფრაზირება გაუკეთა აშშ-ის ერთ-ერთი დამაარსებლის — ბენჟამენ ფრანკლინის ციტატას: „ისინი, ვინც მზად არიან, ცოტაოდენი ძირითადი თავისუფლებები ცოტაოდენ უსაფრთხოებაზე გაცვალონ, არც თავისუფლებას იმსახურებენ და არც უსაფრთხოებას“.**



ტერორისტული საფრთხის წინაშე მდგარმა ევროკავშირმა შესაძლოა, განაახლოს კონტროლი საზღვრებზე და ბარგის კონტროლის საკითხებში შენგენის ნორმებსაც გადახედოს. ამის თაობაზე ბელგიის პრემიერმა შარლ მიშელმა ტელეარხ RTL-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ამსტერდამი-ბრიუსელი-პარიზის მატარებელზე ტერაქტის განხორციელების მცდელობის შემდეგ განაცხადა.

„შენგენის შეთანხმება მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისთვის, მაგრამ ტერორისტული საფრთხის წინაშე ჩვენ, შესაძლოა, მისი გადახედვა მოგვიხდეს პიროვნების იდენტიფიკაციისა და ბარგის კონტროლის საკითხებში“, — განაცხადა შარლ მიშელმა და აღნიშნა, რომ მან ეს საკითხი განიხილა საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან სატელეფონო საუბრისას და რომ ეს დისკუსია ბრიუსელში სხვადასხვა დონეზე გაგრძელდება.

ბოლო დღეების განმავლობაში ბელგიაში უკვე გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები ვაგზლებზე, შემოღებულია ბარგის შერჩევითი კონტროლი, Thalys-ის საერთაშორისო მატარებლებში ერთობლივად პატრულირებენ ფრანგი და ბელგიელი პოლიციელები.

**ტერორიზმის გარდა, ევროკავშირი მიგრანტების ტალღების გამოწვევის წინაშეც დგას. ეს კი ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა „არაბულმა გაზაფხულმა“ და „ევრომეიდანმა“ განაპირობა.** ამ ტალღების დარტყმას საკუთარ თავზე იღებენ ახლომდებარე ქვეყნები, განსაკუთრებით იტალია. მაგრამ მათ არ სურთ, მთელი ხარჯი საკუთარ თავზე აიღონ და საერთოევროპულ სოლიდარობას ითხოვენ, მაგრამ ამგვარი რამ ჰორიზონტზეც კი არ ჩანს. ვერ იღებენ რა სათანადო მხარდაჭერას, ხსნიან ზღუდეებს და მიგრანტების ბრბოებს ევროპის სიღრმეში უშვებენ.

საუბარიც აღარაა ევროკავშირის, სადაც ეკონომიკურად განვითარებული გერმანია და დეგრადირებული ბულგარეთი ორი სხვადასხვა სამყაროა, შიგა დისბალანსის ფუნდამენტურ გამოწვევაზე. **იმპერია (ევროკავშირი კი უდავოდ იმპერიაა), რომელმაც შიგა ინტეგრაციის გაღრმავებისა და გაფართოების კურსი დეზინტეგრაციაზე შეცვალა, ნამდვილად არ არის ყველაზე მდგრადი კონსტრუქცია.**

**cont.ws**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად ლოს-ანჯელესისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე დაახლოებით 700 დამნაშავეობრივი დაჯგუფება მოქმედებს. მაგალითად, მხოლოდ 1992 წელს ქალაქში 1092 ადამიანი მოკლეს.**

# აშშ — ძალადობის სახელმწიფო



**აშშ-ში ერთ-ერთ დღესასწაულს მადლიერების დღე ჰქვია. მოხდა ისე, რომ ამერიკის კონტინენტზე გადამსხდარი პირველი გადასახლებულების ნაწილი პირველივე ზამთარს შიმშილისაგან დაიხოცა, დანარჩენებს კი გადარჩენაში დაეხმარნენ ინდიელები, რომლებმაც მათ საჩუქრად ინდაურები მიუტანეს და ევროპიდან ჩასულებს უჩვეულო პირობებში საკვების მოპოვება ასწავლეს. მომდევნო შემოდგომაზე, აიღეს რა დიდი მოსავალი, პლიმუტის კოლონიის პირველმა მოსახლეებმა ინდიელებთან ერობლივი სადილით აღნიშნეს სიკვდილისაგან თავის დაღწევა.**
**უკვე 60 წლის შემდეგ კი ამ დასახლების შემოგარენში მცხოვრები 13 ათასი ინდიელისგან მხოლოდ 400 ადამიანიღა იყო ცოცხალი. დანარჩენები განადგურებულ იქნენ ინგლისელი ჩასახლებულების მიერ ახლანდელი მასაჩუსეტსის შტატის ტერიტორიის დასაკუთრებისთვის გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ომში. ეს პირველი ეპიზოდი არ არის აშშ-ის ძალადობათა ისტორიაში, მაგრამ ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ აგვარებდა პრობლემებს იარაღის ძალით ჯერ კიდევ ჩანასახოვანი ამერიკული საზოგადოება.**

ქვეყნის შექმნისას ძალადობა იშვიათი მოვლენა არ არის, მაგრამ, როგორც წესი, დროთა განმავლობაში ახალი სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს მოქალაქეების დაცვის ფუნქციას, ასევე, დამნაშავეების დევნისა და დასჯის ფუნქციასაც. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა: **ახალი მიწების მიტაცების აუცილებლობამ და უკვე ათვისებულ ტერიტორიებზე შეიარაღებული ბანდების პარპაშმა ამერიკელებს ასწავლა, ჯერ ესროლათ, ხოლო შემდეგ გაერკვიათ, ვინ მოკლა ამ გასროლამ.**

ეს ყველაფერი დაემატა აშშ-სთვის ურყევ წესს, რომელიც გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციის სპეციალური შესწორებით: ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, იქონიოს იარაღი და გამოიყენოს აუცილებლობის შემთხვევაში. ამასთანავე, აშშ არის მსოფლიოდან ჩასული იმიგრანტების სახელმწიფო, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ჩვეულებრივ ნაციონალური კვარტლების, ქალაქების, დასახლებების სახით არიან განლაგებულნი. მეხსიერებაში ყველას აქვს მრავალრიცხოვანი „ჩაინა-თაუნი“, ნიუ იორკის ბრაიტონი, რომელიც უპირატესად რუსულენოვანი ებრაელებითაა დასახლებული, ჰარლემი და ბრუკლინი მათი შავკანიანი მოსახლეობით.

აშშ-ის საზოგადოებრივი პირობები ნამდვილ სამოთხედ იქცა ეთნიკური ორგანიზებული დამნაშავეობის გაჩენისათვის. **დღეს ქალაქების ეთნიკურ კვარტლებში დამნაშავეობრივი დაჯგუფებების პოზიციები ისე მტკიცეა, რომ იქ მოხვედრილი უცხოელების არა მხოლოდ ჯანმრთელობა, არამედ სიცოცხლეც კი საფრთხეშია. განსაკუთრებით ეს ეხება შავკანიანი მოსახლეობის კვარტალებსა და რაიონებს, რომელთაგან ზოგიერთში შესვლას პოლიციაც კი უფრთხის.**

ეთნიკურ დამნაშვეობაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდის ავლა ქუჩური ბანდებისთვის, რომლებიც უკვე დიდი ხანია, ნამდვილ უბედურებად იქცა აშშ-ისთვის. ლოს-ანჯელესის უმსხვილესი ბანდებიდან (აფროამერიკული Crips, Bloods, Pirus და ლათინოამერიკული Mara Salvatrucha, 18th Street gang, Latin Kings) თითოეული ათიათასობით აქტიურ წევრს ითვლის. ისინი სპეციალიზდებიან ნარკოტიკებით ვაჭრობაზე, მკვლელობებზე, მათ შორის — შეკვეთილ მკვლელობებზეც, გამოძალვაზე, ადამიანებით ვაჭრობაზე, ბინებისა და ავტომანქანების ძარცვაზე, ქურდობაზე, იარაღით ვაჭრობასა და სხვა დანაშაულებზე. მრავალმა მათგანმა, უკვე დიდი ხანია, გადააბიჯა არა მხოლოდ ქალაქის ზღვარს, არამედ აშშ-ის საზღვრებსაც. მაგალითად, მეგაბანდა Mara Salvatrucha, რომელიც უპირატესად სალვადორული წარმომავლობის წევრებისაგან შედგება, პრაქტიკულად მთლიანად იმორჩილებს ამ სახელმწიფოს დამნაშავეებსა და ციხეებს, თავის საქმიანობას მექსიკაში, ჰონდურასსა და გვატემალაშიც ახერხებს.

**ამჟამად ლოს-ანჯელესისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე დაახლოებით 700 დამნაშავეობრივი დაჯგუფება მოქმედებს. მხოლოდ 1992 წელს ქალაქში 1092 ადამიანი მოკლეს. მომდევნო წელს ლოს-ანჯელესის ოლქში 2040 მკვლელობა მოხდა,** მათგან 803 ბანდების მოქმედებებთან იყო დაკავშირებული, გაქურდვის შემთხვევათა რაოდენობამ კი 40 ათასს მიაღწია.

ამჟამად „ანგელოზების ქალაქში“ ბანდიტური დაჯგუფებების მონაწილეთა რაოდენობა და მათი აქტივობა გარკვეულწილად შემცირდა, მაგრამ ქალაქის შემოგარენის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც სახიფათოა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, ბანდიტური საზოგადოება Crips-ი დღეს 50-დან 65 ათასამდე ადამიანს აერთიანებს. სხვადასხვა მონაცემით, Mara Salvatrucha-ს რიცხოვნება 50-დან 300-ათასამდე მერყეობს, მათ შორის 10-დან 40-ათასამდე — აშშ-ში.

ამერიკული საზოგადოება მხოლოდ ქუჩის ბანდებისგან როდი იტანჯება. ალაბამის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის **პროფესორმა ადამ ლენკფორდმა შეისწავლა 171 ქვეყნის მონაცემები — მასობრივი დაცხრილვის ყველა შემთხვევა, როდესაც მსხვერპლთა რაოდენობა არანაკლებ ოთხი ადამიანი იყო, და ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აშშ, იემენი, შვეიცარია, ფინეთი და სერბეთი პირველ ხუთ ადგილს იკავებენ იმ სახელმწიფოთა სიაში, რომლებშიც მოსახლეობის ერთ სულზე ცეცხლსასროლი იარაღის ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის.** ხუთივე ხსენებული სახელმწიფო შედის მსოფლიოს 15 ქვეყნის ჯგუფში, სადაც ყველაზე მეტია მასობრივი მკვლელობების რაოდენობა. ლენკფორდის ანგარიშში, რომელიც ამერიკული სოციალისტური ასოციაციისთვის მომზადდა და რომელიც ნიუ იორკის გამოძიების ფედერალური ბიუროს ანგარიშებსა და საერთაშორისო სტატისტიკას ემყარება, აღნიშნულია, რომ აშშ-ის წილი მსოფლიოში რეგისტრირებული მასობრივი დაცხრილვების 31%-ს შეადგენს (აშშ-ის მოსახლეობა კი მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 5%-ია). მკვლევარმა აღნიშნა, რომ ეს სულაც არ არის გასაკვირი იმ 200 მილიონი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღის გათვალისწინებით, რომლებიც ამერიკელებს ხელზე აქვთ, ასევე, „დეპრესიის, შიზოფრენიის, პარანოიისა და ნარცისიზმის ნაზავის“ გათვალისწინებით, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მასობრივ მკვლელებს ახასიათებთ.

„ჩვენთან ძალზე იოლად ხელმისაწვდომია იარაღი, ინსტრუმენტები, რომლებსაც ადამიანისთვის სიცოცხლის წართმევა შეუძლია... ზოგიერთ ადგილას პისტოლეტს უფრო იოლად იყიდი, ვიდრე ახალ ბოსტნეულს“, — ამბობს ამერიკული ორგანიზაცია Human Rights Network-ის აღმასრულებელი დირექტორი ეჯიმ დაიკი. ასე მოახდინეს რეაგირება ამერიკელმა უფლებადამცველებმა მთელ რიგ არადამაკმაყოფილებელ შეფასებაზე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მხრიდან, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს იარაღის გამოყენებით ძალადობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შეუსრულებლობის გამო მისცეს.

**მოსახლეობაში გაბნეული იარაღის უდიდესი რაოდენობა ნამდვილ ტრაგედიებს განაპირობებს, როდესაც ეს იარაღი ბავშვების ხელში ხვდება.** Johns Hopkins Center for Gun Policy and Research-ს თანადირექტორის — ჯონ ვერნიკის მონაცემებით, 2002 წელს შემთხვევითი გასროლების და მათგან გამოწვეული ტრამვებისა და ინფექციების შედეგად 15 წლამდე 60 ბავშვი დაიღუპა. კიდევ უფრო საზარელი სიტუაციაა ბავშვების მასობრივ დახვრეტასთან დაკავშირებით ამერიკულ სკოლებში, რომლებსაც არა მხოლოდ ფსიქოპათი დამნაშავეები სჩადიან, არამედ მოსწავლეებიც, რომლებიც ერთმანეთთან ან მასწავლებლებთან ურთიერთობების გასარკვევად ანგარიშსწორებისთვის ტყვიებს ირჩევენ. ორგანიზაცია Everytown for Gun Safety-ის მონაცემებით, 2012 წლის დეკემბრიდან 2014 წლის თებერვლამდე დარეგისტრირებულია, სულ მცირე, 44 შემთხვევა, როდესაც ამერიკულ სკოლებში ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს. ეს უკვე საერთო ნაციონალურ პრობლემად იქცა.




**დღეს ქალაქების ეთნიკურ კვარტლებში დამნაშავეობრივი დაჯგუფებების პოზიციები ისე მტკიცეა, რომ იქ მოხვედრილი უცხოელების არა მხოლოდ ჯანმრთელობა, არამედ სიცოცხლეც კი საფრთხეშია. განსაკუთრებით ეს ეხება შავკანიანი მოსახლეობის კვარტალებსა და რაიონებს, რომელთაგან ზოგიერთში შესვლას პოლიციაც კი უფრთხის**



**თუკი ვინმეს ეხება წესი — «ჯერ ისროლე, შემდეგ გაარკვიე, ვინ მოკალი» — ეს პოლიციაა!**

**„ამერიკა. ოდესღაც ჩვენ ვიყავით დიადნი, გამომგონებლები და მოხერხებულნი, მუდამ უშიშრად მივიწევდით წინ პროგრესის სახელით, მაგრამ ახლა? ჩვენ აქოშინებული, შინ გამოკეტილი ლუზერებისა და უმაქნისი რეგვნების ნაცია ვართ. უნდა გვრცხვენოდეს!“**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შეიარაღებული ძალადობის კიდევ ერთი თავისებურება აშშ-ში: მის წყაროდ ხშირად გამოდიან ისინი, ვისი მოვალეობაც ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაა. კერძოდ, ამერიკული პოლიცია, რომელიც გამანადგურებელი ცეცხლის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უფართოეს დერეფანს ფლობს. **თუკი ვინმეს ეხება წესი — „ჯერ ისროლე, შემდეგ გაარკვიე, ვინ მოკალი“ — ეს პოლიციაა!** ყველა ამერიკელს ახსოვს ქალაქ ფერგიუსონში მომხდარი მასობრივი არეულობები, რომლებიც 18 წლის მაიკლ ბრაუნის მკვლელობამ განაპირობა. პოლიციელმა შეუიარაღებელ ახალგაზრდას თავის არეში ესროლა დაუმორჩილებლობისთვის. დიდმა ჟიურიმ კი გაამართლა იმ ადამიანის მკვლელობა, რომელიც პოლიციელის სიცოცხლისთვის რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

მაიკლ ბრაუნთან დაკავშირებული შემთხვევა სულაც არაა ყველაზე საარაკო. მთელმა მსოფლიომ იხილა მუქკანიანი ქალის ჩაცხრილვის კადრები, როდესაც მან საფოსტო ფურგონი ვერ დაიმორჩილა და თეთრი სახლის ღობე დააზიანა. ქსელში უამრავი ვიდეორგოლია, რომლებზეც ასახულია პოლიციელთა ანგარიშსწორებები ინვალიდების, მოხუცებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ჯერ კიდევ შოკში მყოფ მსხვერპლთა მიმართაც კი.

პოლიციის მხრიდან ძალადობამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ბალტიმორის მოსახლეობამ 2015 წლის აგვისტოში ვაშინგტონის წინააღმდეგ საპროტესტო მარში მოაწყო. მარშის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ბრენდონ სკოტმა, ყვებოდა რა ქალაქში კონფლიქტების მოსაგვარებლად მოხალისეთა მუშაობაზე, პირდაპირ განაცხადა: „როდესაც მიკრორაიონში ვართ, პოლიციას ვთხოვთ, რომ იქ არ იყოს, რათა შევძლოთ იმის გაკეთება, რაც გვჭირდება“.

Baltimore Sun-ის მონაცემებით, 2015 წლის დასაწყისიდან ქალაქში 238 მკვლელობა მოხდა. პროტესტების ნამდვილი ამოფრქვევა ბალტიმორმა მიმდინარე წლის აპრილში განიცადა, 25 წლის აფროამერიკელ ფრედი გრეის ზურგის ტვინის ტრამვით გარდაცვალების შემდეგ, რომელიც პოლიციაში დაკავების დროს მიიღო. სწორედ ამ შემთხვევამ განუმტკიცა ბალტიმორის მკვიდრთ აზრი, რომ პოლიცია არის ძალადობის ზრდის ნამდვილი მიზეზი. ამის გამო ამერიკის ამ ქალაქში, რომლის მოსახლეობა ქალაქის შემოგარენის ჩათვლით ორ-ნახევარი მილიონია, ადამიანები ამჯობინებენ, საკუთარი პრობლემები პოლიციის დაუხმარებლად მოაგვარონ.

**შეიარაღებული ძალადობის ტრადიცია ამერიკულ საზოგადოებაში ასეულობით წლის წინათ ჩაიდო, ის ვითარდებოდა და ძლიერდებოდა აშშ-ის განვითარებასთან ერთად. სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს ქვეყანაში, სადაც გაბატონებული პრინციპია „გადარჩება ძლიერი“ — ის, ვინც საქმით დაამტკიცებს, რომ მზადაა დიდი ძალადობისთვის.**

fondsk.ru

# «ჩვენ ვართ ლუზერებისა და რეგვნების ერი»




**ჰაკერების მიერ ამერიკული რესურსის მორიგმა გატეხვამ საზოგადოებაში ვნებათაღელვა გამოიწვია. ამჯერად თაღლითების ყურადღება მიიქცია ერთმა საკმაოდ საინტერესო საიტმა, რომელზეც მხოლოდ სამოქალაქო პირები არ „გამობრწყინებულან“.**



ჰაკერებისთვის ცნობილი გახდა ცოლქმრული ღალატების რესურსის — Ashley Madison-ის მომხმარებელთა მონაცემები. საიტი ეკუთვნის კანადურ კომპანია Avid Life Media-ს, რომელიც სპეციალურად იმისთვის შეიქმნა, რომ ადამიანებს მეუღლეთა ღალატში დაეხმაროს. პოპულარული ამერიკელი რომანისტის — ჯენიფერ უაინერის აზრით, ეს საქმე ამერიკული ნაციის უსუსურობაზე მეტყველებს.

**„ამერიკა. ოდესღაც ჩვენ ვიყავით დიადნი, გამომგონებლები და მოხერხებულნი, მუდამ უშიშრად მივიწევდით წინ პროგრესის სახელით, მაგრამ ახლა? ჩვენ აქოშინებული, შინ გამოკეტილი ლუზერებისა და უმაქნისი რეგვნების ნაცია ვართ. უნდა გვრცხვენოდეს!“** — წერს იგი.

Washington Examiner-ი აცხადებს, რომ საიტის მომსახურებით სარგებლობდნენ აშშ-ის ათასობით სამხედრო მოსამსახურე და თეთრი სახლის წარმომადგენლები (საუბარია 44 პირზე, რომლებიც რესურსზე საფოსტო სერვერ White House.gov-ით დარეგისტრირდნენ). დამთხვევაა?

ვაშინგტონური გამოცემა Hill-ის მონაცემებით, კანადური ფირმა Ashley Madison-ის მომსახურებას მიმართა 15 ათასზე მეტმა მომხმარებელმა სამხედრო პირებისა და სამთავრობო უწყებების კუთვნილი კომპიუტერებიდან.

აღნიშნული საიტის აუდიტორია 48 ქვეყნის 35 მილიონზე მეტ მომხმარებელს მოიცავს, მაგრამ ყურადღების ცენტრში მოხვედრა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახერხა. ცნობილი გახდა, რომ ჰაკერებმა ინტერნეტში გამოაქვეყნეს მილიონობით მომხმარებლის პირადი მონაცემები, მათ შორის ამერიკელი და ბრიტანელი მაღალჩინოსნების, აგრეთვე, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კომერციული კომპანიების ხელმძღვანელების.

საიტზე დარეგისტრირებული იყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 33 თანამშრომელი, ვეტერანთა საქმეების სამინისტროს 104 თანამშრომელი, ციხეების ფედერალური ბიუროდან — 88, ამერიკის საფოსტო სამსახურიდან — 52, ეროვნული უშიშროების სამინისტროდან — 45 ადამიანი.

ცხადია, დიდია ალბათობა, რომ ელექტრონული ფოსტების მისამართებიდან ზოგიერთი არასწორია, მაგრამ ყველა ხომ ასეთი არ იქნება. პორტალის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მონაცემები, რომელთა ქსელში გამოქვეყნებაც მოესწრო (სახელები, გვარები, საკრედიტო ბარათების ნომრები, საიტზე დახარჯული ფულის რაოდენობა და მიმოწერათა ფრაგმენტები) ნამდვილია.

საიტი ჰაკერებმა ჯერ კიდევ ივლისში გატეხეს, მაგრამ მაშინ რესურსის მფლობელებს სთავაზობდნენ არჩევანს: მონაცემებს არ გამოაქვეყნებდნენ ინტერნეტში, თუკი საიტს დახურავდნენ, მაგრამ, რესურსმა არსებობა განაგრძო. აცნობებდნენ თუ არა ამის შესახებ მომხმარებლებს დაუყოვნებლივ, საეჭვოა.

„ჰაკერულმა შეტევამ 32 მილიონი განსაცვიფრებლად გარყვნილის სახელი გაგვიმჟღავნა, თანაც მათი უმეტესობა შტერი აღმოჩნდა, რომ გარყვნილებისთვის სამუშაო ფოსტა გამოიყენა, — მსჯელობს უაინერი. — მაგრამ ის, რაც მართლაც გამოააშკარავეს, არის არა საიტის ან ჩვენი მეგობრების, მეზობლებისა თუ მაღალჩინოსნების ნაკლოვანებები, არამედ ის, რომ მაღალჩინოსნებს, ჩვენი მეგობრებისა და მეზობლებისგან განსხვავებით, ჩვენვე ვუხდით ფულს“.

გამოძიების ფედერალური ბიურო განაგრძობს „მუშაობას“. მაგრამ უცნაურია, რომ ვაშინგტონმა უმალ არ „გამოავლინა“ დამნაშავე.

„გამოძიების ფედერალური ბიურო გამოძიებას ახორციელებს. ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია რაიმე დეტალების მოწოდება“, — ნათქვამია ბიუროს წარმომადგენლის განცხადებაში.

საიტის დევიზია „ცხოვრება ხანმოკლეა. გააბი რომანი“. როგორც ჩანს, თეთრი სახლის წარმომადგენლებმა ჯერაც ვერ ისწავლეს ცხოვრების ყველა ხიბლის მაქსიმალურად გამოყენება.

მარტოობა ნაძირალაა... ყველამ ერთად თანავუგრძნოთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, ასეთი მძიმე ცხოვრება აქვთ. არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ ოჯახშიც სრული არეულობაა...

საბრალონი.

cont.ws

# 20 ოქტომბერს, შესაძლოა, დოლარის შემცვლელის თაობაზე გამოცხადდეს



**საერთაშორისო სავალუტო ფონდი მსოფლიოში ყველაზე დახურული და გავლენიანი ორგანიზაციაა. ის თვალს ადევნებს 185-ზე მეტი ქვეყნის ფინანსურ სიჯანსაღეს, ადგენს გლობალურ მონეტარულ წესებს და უწყვეტს დახმარებებს გაკოტრებულ ქვეყნებს. როგორც მოსალოდნელია, მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამერიკული დოლარის ალტერნატივის სახით ახალი სარეზერვო ვალუტის შესახებ გამოაცხადებს და ამით ზუსტად ერთ საათში აიძულებს გადაადგილებას ასობით მილიარდ დოლარს, რომელიც მსოფლიოში მოძრაობს.**

ჯორჯ ბუშის პერიოდში ფინანსთა სამინისტროში მომუშავე ხუან სარატეს თქმით, „როგორც კი დოლარის ალტერნატივა გაჩნდება, უმალ შეიცვლება თამაშის წესებიც“.

ცნობილი სავალუტო ექსპერტი დოქტორი სტივ სიუგერუდი აცხადებს: „მე ბაზარზე ვარ უკვე ორ ათწლეულზე მეტია... მაგრამ არასდროს მინახავს ისეთირამ, რომელიც ესოდენ სწრაფად გადაადგილებას აიძულებდა დიდძალ ფულს. ამგვარი განცხადების შემდეგ ასობით მილიარდმა დოლარმა, შესაძლოა, ერთ დღეში შეიცვალოს პატრონი“.

**„განცხადება აამოქმედებს დომინოს ეფექტს, რაც ალბათ იმის განმსაზღვრელი გახდება, ვინ გამდიდრდება ამერიკაში უახლოეს პერიოდში და ვინ იბრძოლებს გადარჩენისთვის“.**

დოქტორი სიუგერუდი ამბობს, რომ, თუკი აშშ-ში რაიმე აქტივებს ფლობთ — აქციებს, ობლიგაციებს, უძრავ ქონებას ან ფულს ბანკში, უნდა იცოდეთ, თუ რა უნდა მოხდეს და როგორ მოემზადოთ ამისთვის.

ექსპერტები ამბობენ, რომ 20 ოქტომბერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოსალოდნელმა განცხადებამ, შესაძლოა, ყველაფერი თავდაყირა დააყენოს.

thecrux.com

მოკლედ

# ერდოღანმა დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბა

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბა. მთავრობაში ორი პოლიტიკოსი ქურთების მხარდამჭერი პარტიიდანაა.** ვადამდელ არჩევნებამდე, რომელიც ნოემბერში უნდა ჩატარდეს, დროებით მთავრობას აჰმედ დავუთოღლუ ჩაუდგება სათავეში. ვადამდელი საპრეზიდენტო არჩენების დანიშვნის შესახებ ერდოღანმა გასულ კვირას განაცხადა, ვინაიდან პრემიერმინისტრმააჰმედ დავთოღლუმ კოალიციური მთავრობა ვერ ჩამოაყალიბა. ივნისში ჩატარებული არჩევნების შედეგად დავუთოღლუს მმართველმა პარტიამ უმრავლესობა ვეღარ მოიპოვა, თუმცა არჩევნები განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა ქურთების მხარდამჭერი პარტიისთვის. კოალიციური მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით კი მოლაპარაკებები მთავარ ოპოზიციურ პარტიებთან მარცხით დასრულდა. როგორც მოსალოდნელია, ვადამდელი არჩევნები 1 ნოემბერს გაიმართება.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში ისე უნდა წარიმართოს პოლიტიკური პროცესები, რომ კაცობრიობას აიცილონ ისეთი უბედურება, როგორიც იქნება მესამე მსოფლიო ომი ატომურ ეპოქაში. საჭიროა, დღის წესრიგში დადგეს გაეროს რეფორმირების საკითხი. ეს ორგანიზაცია უნდა გახდეს უფრო ქმედითი, ავტორიტეტული, სათანადოდ აღჭურვილი პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით.**

# მესამე მსოფლიო ომის საფრთხე



**კაცობრიობის ისტორიაში XX საუკუნე ორი მსოფლიო ომით გამოირჩევა — პირველი და მეორე მსოფლიო ომებით. თავისი გრანდიოზულობითა და მსხვერპლით განსაკუთრებით შთამბეჭდავია მეორე მსოფლი ომი. წლეულს, 2 სექტემბერს, მსოფლიო საზოგადოებამ ამ ომის დამთავრებიდან 70-ე წლისთავი აღნიშნა.**

მეორე მსოფლიო ომის კერა 1933-35 წლებში ევროპის ცენტრში აღმოცენდა — გერმანიაში. გერმანიის მესვეურები — სამხედრო წრეები, გენერალიტეტი, მრეწველები, ფინანსური მაგნატები ვერ ურიგდებოდნენ გერმანიის დამარცხებას პირველ მსოფლიო ომში და ვერსალის ხელშეკრულების პირობებს, რომლის მიხედვით, გერმანიამ თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. ამ ხელშეკრულების პირობებით გერმანიას ესპობოდა ეკონომიკური და სამრეწველო პოტენციალის გაზრდის ყოველგვარი პერსპექტივა. **გერმანიის მესვეურები ფიქრობდნენ რევანშზე და ეძებდნენ ძალას, რომელიც შეძლებდა რევანშის აღებას. ასეთ ძალად მათ აღიარეს გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური დაჯგუფებები: ფაშისტური ძალები ლიუდენდორფის, ჰიტლერის, რემისა და სხვათა სახით.**

ამ დაჯგუფებებს შორის პოლიტიკურ ბრძოლაში გაიმარჯვეს ჰიტლერის მომხრეებმა.

1933 წელს, მოვიდა რა ხელისუფლებაში, პირველივე გამოსვლაში ვერმახტის გენერლების წინაშე ჰიტლერმა გამოაცხადა თავისი ფაშისტური პროგრამა:

***საშინაო პოლიტიკაში** — ყოველგვარი დემოკრატიულობის მოსპობა, ახალგაზრდობის აღზრდა საომარი სულისკვეთებით;

***საგარეო პოლიტიკაში** — მოქმედება ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ, ერთა ლიგის წევრებში მოკავშირეთა შეძენა.

სახელმწიფოს ძირითად ქვაკუთხედად ცხადდებოდა არმიის მშენებლობა, როგორც ძირითადი წყარო პოლიტიკური ძალაუფლების დასამყარებლად.

**ფაშისტთა ლიდერის მიერ წარმოდგენილი პროგრამა სრულად უთავსდებოდა გერმანიის მესვეურთა გეგმებს და მათ რევანშისტულ იდეებს, კერძოდ, გერმანიის ბატონობას ევროპაში.** გერმანიის ვერმახტის წინაშე ფაშისტთა ლიდერის მიერ წარმოდგენილ პროგრამას მძლავრი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდებოდა, რომელიც უზრუნველყვეს გერმანიის მსხვილმა მაგნატებმა და კონცერნებმა: **ი. გ. ფარბენინდრუსტიმ, ტისენმა, კრუპმა, სიმენსმა და სხვებმა. გარდა ამისა, ფინანსები მათ სხვა უცხოური ბანკებიდანაც მიიზიდეს.**

შედეგად გერმანიაში შეიქმნა რევანშიზმის ერთიანი ბლოკი — ფაშისტური პარტია, გენერალიტეტი, მრეწველები.

ევროპაში ომის ახალი კერა აღმოცენდა, ამიტომ მსოფლიოს დემოკრატიული ძალები დაუპირისპირდნენ ევროპის რევანშისტულ ძალებს და მშვიდობის დაცვის მიზნით გამოვიდნენ პაციფისტური ლოზუნგებით ომის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. ამავე მიზნით, 1933 წელს განიარაღების მსოფლიო კონფერენციაზე განისაზღვრა აგრესორი სახელმწიფოს სტატუსი. იზრდებოდა დემოკრატიული მოძრაობა მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა თავისი დემოკრატიული პროგრამით ცნობილმა დემოკრატმა **ფრანკლინ დელანო რუზველტმა.**

დემოკრატიული ძალების მცდელობას, არ დაეშვათ გერმანიის რევანშისტული ძალების გაერთიანება და მათი მხრიდან აგრესია, რეალური შედეგი ვერ მოიტანა.

ვერსალის ხელშეკრულება იგნორირებული იქნა. გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი საკმაოდ გაძლიერდა.

1939 წლის 31 აგვისტოს საღამოსა და მეორე დღის, 1 სექტემბრის დილით გაზეთებმა გამოაქვეყნეს სენსაციური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პოლონელი პარტიზანები სასაზღვრო ქალაქ გლეივიცში თავს დაესხნენ გერმანიის რადიოსადგურს. ფაქტობრივად, ეს იყო პირადად ჰიტლერის ბრძანებით განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, რომელიც შეასრულა გერმანიის სამხედრო დაზვერვის სამსახურმა, რომ შექმნილიყო ომის დაწყების საბაბი.



**ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, დედამიწის მოსახლეობის 80%. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებული იყო 110 მლნ ადამიანი. სამხედრო ხარჯები და მიყენებული ზარალი 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა. ომში დაიღუპა 50 მლნ ადამიანი**



**მეორე მსოფლიო ომმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკურ მოწყობაში**

იმავე წლის 1 სექტემბერს გერმანიის სამხედრო გემმა „შლეზვიგ ჰოლდშტეინმა" ცეცხლი გაუხსნა პოლონეთის ქალაქ გდანსკს. გერმანიის სამხედრო ნაწილები გადავიდნენ პოლონეთის საზღვარზე. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

1942 წლის 1 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში ხელი მოეწერა დეკლარაციას ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის შესახებ, მიმართულს გერმანია-იტალია-იაპონიის სამმხრივი ღერძის წინააღმდეგ. ანტიფაშისტური კოალიციის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, არ მოეწერათ ხელი სეპარატისტულ ხელშეკრულებაზე გერმანიასთან ომის დამთავრებამდე. ასე გაფორმდა ანტიჰიტლერული კოალიცია.

დიდმა სამამულო ომმა 1941-45 წლებში საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ანტიჰიტლერულ მოძრაობას და ხელი შეუწყო პროგრესული ძალების გაერთიანებას დემოკრატიული მომავლისათვის ბრძოლაში. ამ პროცესში გაერთიანდა მთელი პროგრესული საზოგადოება. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის მთავარი შემოქმედი კი გენერალისიმუსი იოსებ სტალინი იყო. **სამამულო ომის მთავარი ეპიზოდები, რომელთა დროს განხორციელდა უძლეველი არმიის მითის მქონე გერმანიის სამხედრო ძალების კრახი, შემდეგია:**

*ბრძოლები მოსკოვთან, სადაც გერმანელთა ჯარებმა განიცადეს პირველი მარცხი.

*ბრძოლები სტალინგრადთან და გერმანიის მეექვსე არმიის დატყვევება.

*ბრძოლები კავკასიაში.

*ბრძოლები კურსკის რკალთან.

* ბერლინის შტურმი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში კოალიციის ლიდერები რეგულარულად იკრიბებოდნენ საკოორდინაციო შეხვედრებზე და იხილავდნენ ერთობლივი მოქმედების სტრატეგიულ გეგმებს.

პირველი ასეთი შეხვედრა შედგა 1943 წლის 28 ნოემბერი — 1 დეკემბერს თეირანში, სადაც მსოფლი- ▶

---



## თურქულ მედიაჰოლდინგში სპეცოპერაცია ჩაატარეს

**თურქეთში პოლიციამ თავისუფალი მედიის ერთ-ერთ ძლიერ მედიაჰოლდინგში, იფეკჰოლდინგში, სპეცოპერაცია ჩაატარა. ჰოლდინგში ოთხი გაზეთი, ორი ტელევიზია და ჟურნალებია გაერთიანებული.** სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია მას შემდეგ ჩაატარეს, რაც ამ ჰოლდინგის შემადგენელმა ერთ-ერთმა გავლენიანმა ყველდღიურმა გაზეთმა „ბუგუნ"-მა ფოტოებთან ერთად სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. ინფორმაცია დაიბეჭდა სათაურით „საბრძოლო მასალები „ისლამური სახელმწიფოსთვის" აკჩაკალეს გამშვებ პუნქტზე". თავისუფალ მედიაზე განხორციელმა ამ ქმედებამ დიდი რეზონანსი გამოწვია თურქულ და დასავლურ მედიაში. სპეცოპერაცია მკაცრად გააკრიტიკეს ჟურნალისტებმა, ოპოზიციურმა პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.



**70 წელი გავიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან და დღეს მსოფლიოში, სამწუხაროდ, კვლავ გაჩნდა მესამე მსოფლიო ომის საშიშროება. * მსოფლიო პოლიტიკაში გაისმის ხმები გავლენის სფეროების გადანაწილებაზე, წიაღისეული და ენერგეტიკული რესურსების ძალისმიერი გზით დაუფლებაზე. * გახშირდა ტერორიზმის, სეპარატიზმის ფაქტები. გაფართოვდა იარაღით ვაჭრობა და ნარკობიზნესი; არის მცდელობა, ახალგაზრდობას თავს მოახვიონ ანტისაზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებანი.**

## ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




ოს უძლიერეს სახელმწიფოთა ლიდერები სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი შეთანხმდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობლივ მოქმედებაზე და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების ჩაბმაზე ამ ბრძოლაში.

თეირანში დიდმა სამეულმა, მიუხედავად იდეოლოგიური დაპირისპირებისა, შეძლო მსოფლიოს დემოკრატიული ძალების მობილიზება საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიოს მოწყობის საკითხი განიხილებოდა ჯერ კიდევ თეირანის კონფერენციაზე, შემდგომ გაგრძელდა იალტაში — სამი დიდი სახელმწიფოს ლიდერთა შეხვედრაზე.

**1944 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, დუმბარტონ-ოქსში, ანტიჰიტლერული კოალიციის წარმომადგენლების მიერ შემუშავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატუსი. ამ ორგანიზაციის წესდება დამტკიცდა 1945 წელს, შეერთებულ შტატებში საერთაშორისო კონფერენციაზე სან-ფრანცისკოში.**

გეგმავდა რა აგრესიას აღმოსავლეთში, ჰიტლერმა იტალიასა და იაპონიასთან გააფორმა სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც „ანტიკომუნისტური პაქტის" სახელწოდებითაა ცნობილი. ამ პაქტს შეუერთდნენ უნგრეთი, რუმინეთი და სლოვაკეთი.

ჰიტლერის მითითებით, გერმანიის გენერალურ შტაბში დამუშავდა სსრ კავშირზე თავდასხმისა და საომარი მოქმედებების წარმოების გეგმა, კოდური დასახელწოდებით „ბარბაროსა".

რაიხსკანცლერ ჰიტლერის 1940 წლის 18 დეკემბერს №21 დირექტივით გეგმა დამტკიცდა.

გეგმაში ჩადებული იყო ორი იდეა:

*რუსეთის იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალის განადგურება;

*სტრატეგიული ამოცანა — „ელვისებური ომის" წარმოება.

გერმანიამ საომრად პოლონეთის ტერიტორიაზე სსრ კავშირთან საზღვრებზე თავი მოუყარა 153 დივიზიას, ხოლო სატელიტებთან ერთად — 190 დივიზიას. ეს იყო უზარმაზარი სამხედრო ძალა — 5-მილიონიანი არმია 4300 ერთეული ტანკით, 4980 მოიერიშე ავიაციით, 192 საბრძოლო ხომალდით. ჰიტლერის წინასწარი გათვლით ომი უნდა დამთავრებულიყო ხუთ თვეში, რუსეთში ცივი ზამთრის დადგომამდე.

ფაშისტურმა გერმანიამ რუსეთზე თავდასხმა განახორციელა 1941 წლის 22 ივნისს ომის გამოუცხადებლად. მხოლოდ ექვსი საათის შემდეგ ეწვია გერმანიის **ელჩი ფონ შულენბერგი** საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ **მოლოტოვს** და აცნობა, რომ გერმანია იმყოფება საომარ მდგომარეობაში რუსეთთან.

ფაშისტთა მიერ დამყარებული „ახალი წესრიგი" ევროპაში აერთიანებდა რიგი სახელმწიფოების მმართველ წრეებს გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1941 წლის 12 ივლისს ამერიკელებმა და ინგლისელებმა ხელი მოააწერეს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულებას გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ხელშეკრულებას მოსკოვში ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა — **სტაფორდ კრიპსმა** და ლორდმა **ბივერბრუკმა.**

1945 წლის 8 მაისს პოსტდამში ხელი მოეწერა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის აქტს. დიდი სამამულო ომი დამთავრდა.

თანახმად ანტიფაშისტური კოალიციის შეთანხმებისა, საბჭოთა კავშირი ჩაება იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ ომში.

გამარჯვებისათვის მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები ჩაატარეს ანტიფაშისტური კოალიციის სხვა წევრებმაც. ამ მხრივ აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ჯარების წარმატებული ბრძოლები აფრიკაში, მოკავშირეების სადესანტო ოპერაცია ნორმანდიაში (მეორე ფრონტი) 1944 წლის 6 ივნისს. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. აქვე უნდა აღინიშნოს ის დიდი დახმარება, რაც გაუწიეს მოკავშირეებმა საბჭოთა კავშირს ფრონტის უზრუნველსაყოფად სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალით, საჭურვლითა და სურსათით.

მარტო ქალაქ მურმანსკის ნავსადგურში მოკავშირეებმა 1941-45 წლებში შემოიტანეს 4 მლნ ტონაზე მეტი სამხედრო ტვირთი.

ამ ოპერაციების ჩატარებისას მტრის თავდასხმის შედეგად ჩაიძირა 99 გემი, დაიღუპა 2773 მეზღვაური.

1985 წლის მაისში ამერიკის ელჩი საბჭოთა კავშირში არტურ ჰარტმანი ეწვია მურმანსკს და ტრადიციისამებრ გვირგვინით აღნიშნა დაღუპულ მეზღვაურთა ხსოვნა.

1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალებმა განახორციელეს იაპონიის ქალაქების — ჰიროსიმას და ნაგასაკის ატომური დაბომბვა, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია.

ისტორიკოსები და საზოგადოება ამ სამხედრო ოპერაციის აუცილებლობას სადავოდ მიიჩნევს მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე.

**1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ მოაწერა ხელი უსიტყვო კაპიტულაციას. დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი.**

შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა მოახდინა კაცობრიობის განვითარებაზე. მასზე უამრავი ნაშრომი, მემუარული ნაწარმოები დაიწერა და სამეცნიერო კვლევა ჩატარდა.

ამ მოვლენაში ყურადღებას იპყრობს მისი მასშტაბები.

ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, დედამიწის მოსახლეობის 80%.

**შეიარაღებულ ძალებში მობილიზებული იყო 110 მლნ ადამიანი. სამხედრო ხარჯები და მიყენებული ზარალი 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.**

ომში დაიღუპა 50 მლნ ადამიანი.

მეორე მსოფლიო ომმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკურ მოწყობაში.

მეორე მსოფლიო ომის პროცესში დიდი სამამულო ომი იყო ძირითადი ომი, რომელმაც განაპირობა გამარჯვება, საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიული პროგრესის გზას მსოფლიოში.

70 წელი გავიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან და დღეს მსოფლიოში, სამწუხაროდ, კვლავ გაჩნდა მესამე მსოფლიო ომის საშიშროება.

*მსოფლიო პოლიტიკაში გაისმის ხმები გავლენის სფეროების გადანაწილებაზე, წიაღისეული და ენერგეტიკული რესურსების ძალისმიერი გზით დაუფლებაზე.

*გახშირდა ტერორიზმის, სეპარატიზმის ფაქტები. გაფართოვდა იარაღით ვაჭრობა და ნარკობიზნესი; არის მცდელობა, ახალგაზრდობას თავს მოახვიონ ანტისაზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებანი.

აღნიშნული მოვლენები შეიძლება გახდეს მესამე მსოფლიო ომის პროვოცირების მიზეზი.

აქვე უნდა აღინიშნოს გაეროსა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უეფექტო სანქციები ამ საშიში მოვლენების აღსაკვეთად.

ასეთ ვითარებაში მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების ლიდერებს მართებთ, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდონ აღნიშნული მოვლენების განვითარებას.

მათ უნდა გაითვალისწინონ წინა ომების შედეგები და გაიზიარონ წინამორბედთა გამოცდილება აგრესორთა მცდელობის აღკვეთის საქმეში.

მსოფლიოში ისე უნდა წარიმართოს პოლიტიკური პროცესები, რომ კაცობრიობას აცილონ ისეთი უბედურება, როგორიც იქნება მესამე მსოფლიო ომი ატომურ ეპოქაში.

საჭიროა, დღის წესრიგში დადგეს გაეროს რეფორმირების საკითხი. ეს ორგანიზაცია უნდა გახდეს უფრო ქმედითი, ავტორიტეტული, სათანადოდ აღჭურვილი პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით.

**რევაზ ნაცვლიშვილი,**
**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, პოლკოვნიკი;**

**ზურამ გვეტაძე,**
**კავშირის ბიუროს წევრი;**

**მამია დოლიძე,**
**საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე**

# გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

**ვარ ომის ვეტერანებთან გათანაბრებული II ჯგუფის ინვალიდი, დაბადებული 1932 წელს, ვცხოვრობ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა №373-ში, ისმაილ კონცელიძე.**

ვეხმაურები ბატონ ვახტანგ დოლიძის წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ფურცლებზე მიმდინარე წლის 29 ივლისის ნომერში სათაურით „ვეტერანი ითხოვს პასუხს". მივესალმები მის მოთხოვნას. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როცა ჩვენმა წინაპრებმა დაამარცხეს ფაშიზმი, ვიცავდით და ვიცავთ ჩვენს სამშობლოს. რამდენი ომი და უბედურება გამოვიარეთ, ათასობით რიგითი და ოფიცერი დავკარგეთ, რათა შეგვენარჩუნებინა წინაპართა მიერ მოპოვებული გამარჯვებები. რა თქმა უნდა, ეს გამარჯვებები ადვილად არ მოდიოდა, იგი მოითხოვდა დიდ მსხვერპლს, რომელიც ჩვენ გავიღეთ. განა ადვილია, 20-25 წლის ბიჭმა დაკარგოს ხელი, ფეხი, თვალი?.. მაგრამ ჩვენ ვიბრძოდით რწმენით.

დღეს მთავრობის ზოგიერთ ვაიწარმომადგენელს რომ ჰკითხო, ასე გიპასუხებს — რუსულ ჯარში მსახურობდი და რუსის სამშობლოს იცავდიო. დიდი ბოდიში, მაგრამ მაშინ ის იყო ჩვენი სამშობლო და ვიცავდით მის ინტერესებს. მთავრობისგან ყურადღებას მოვითხოვთ. შეადარონ პენსია ჩვენი და სხვა ქვეყნების ვეტერანებისა, რომლებიც ომში დასახიჩრდნენ, და ჩვენი პენსია გაათანაბრონ მასთან. ამით ეროვნულ ვალუტას ზიანი არ მიადგება, რადგან არც ისე ბევრი დავრჩით. ჩვენ, სამხედრო პენსიონერებმა, ეს დავიმსახურეთ.

1953 წელს რეპრესიიდან დაბრუნებული ჯარში გამიწვიეს, დავამთავრე ავტომექანიკოსის ერთწლიანი კურსები და ვმუშაობდი ერთ-ერთი ბატალიონის უფროს მექანიკოსად, სერჟანტის ჩინით. დემობილიზაცია მეკუთვნოდა 1956 წლის სექტემბერში, მაგრამ ვინაიდან მოხდა უნგრეთის აჯანყება, 20 დღე დაგვიმატეს სამსახური. დაიგეგმა 5-დღიანი „მანევრირება" — წვრთნა, რომლის დროსაც ავტოავარიაში მოვყევი — ავტომობილი გადაბრუნდა და ფეხზე დამეცა. გამიკეთეს ორი ოპერაცია და მომკვეთეს ფეხი. შინ ცალი ფეხით დავბრუნდი — გაკომისიებული და დემობილიზებული. საბჭოთა წყობის დროს მიღებული მაქვს 3 ავტომანქანა „ზაპოროჟეცი" და I ხარისხის ორდენი, ამ ორდენით ჯილდოვდებოდნენ ის პირები, რომლებმაც სამშობლოსთვის სისხლი დაღვარეს. ამჟამინდელმა მთავრობამ ფეხის პროთეზი რომ გამიკეთა, 90%-ით დამაფინანსა, დანარჩენი თანხის, 120 ლარის, დამატება მე მომიწია. ეს არ უქნია არც ერთ მთავრობას, პროთეზს ყოველთვის უფასოდ მიკეთებდნენ.

აფერუმ „ოცნებას", მალე მოვა არჩევნები!

**ისმაილ კონცელიძე,**
**II ჯგუფის ინვალიდი, 83 წლის**

# «ისლამურმა სახელმწიფომ» სირიის ისტორიული სამარხები გაანადგურა

**„ისლამურმა სახელმწიფომ" სირიის უძველეს ქალაქ პალმირაში ისტორიული სამარხები გაანადგურა.**

გავრცელებული ცნობით, განადგურებულია 44-103 წლებში აგებული სამი უძველესი სამარხის კოშკი. ექსტრემისტებმა პალმირაზე კონტროლი მაისში დაამყარეს. მას შემდეგ კი იქ არაერთი ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობა გაანადგურეს. პალმირა უძველესი არამეული ქალაქია, რომელიც სირიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი ცნობილია 2 000 წლის წინათ აგებული ნაგებობებითა და ტაძრებით. მას ასევე სტრატეგიული ადგილი უკავია და დედაქალაქ დამასკოსა და ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციებს ერთმანეთთან აკავშირებს.



## მოკლედ




# დევნილთათვის ეგვიპტელი მილიარდერი კუნძულის ყიდვას აპირებს

**ეგვიპტელი მილიარდერი ნაგიბ სავირისი აპირებს, რომ მიგრანტების კრიზისის აღმოსაფხვრელად ხმელთაშუა ზღვაში შეიძინოს კუნძული, რომელზეც დევნილებს დროებით თავშესაფრებს მისცემს, სანამ პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრის გზა მოიძებნება.** სავირისი აპირებს საბერძნეთისა და იტალიის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას კუნძულის შეძენასთან დაკავშირებით, რათა დაეხმაროს მიგრანტებს, რომლებიც კონფლიქტის ზონებიდან გამორბიან. „ძალიან ბევრი კუნძულია დაუსახლებელი და შესაძლებელია, იქ ათასობით და ათიათასობით დევნილისთვის დროებითი თავშესაფრების მოწყობა. შემდეგ მათი დასაქმებაც მოხდება. თუ სიტუაცია გამოსწორდება, ისინიც დაუბრუნდებიან მშობლიურ მიწას. საჭიროა მათ, როგორც ადამიანებს, ისე მოვექცეთ, როგორც მათ ახლა ეპყრობიან, ეს არაადამიანური მოპყრობაა, ასე ექცევიან ცხოველებს", — განაცხადა სავირისმა.



პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2012 წელს აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი, 2005 წელთან შედარებით, 20-ჯერ გაიზარდა და 3 მლრდ დოლარს მიაღწია. ამჟამად კი აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი 4,2 მლრდ დოლარს შეადგენს.**

# 5 რუსული იარაღი, რომლებისაც უნდა ეშინოდეთ ამერიკელებს

**ამერიკულმა გამოცემა The National Interest-მა გამოაქვეყნა მასალა იმ 5 რუსული იარაღის შესახებ, რომლებსაც ამერიკელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. მასალა ასეა დასათაურებული: „რუსული იარაღის 5 სახეობა, რომლებისაც აშშ-ს უნდა ეშინოდეს“.**


СУ-35

ამერიკული გამოცემის ჩამონათვალში პირველია მრავალმიზნიანი **გამანადგურებელი СУ-35** (ნატოს კლასიფიკაციით Flankler-E+). ეს არის Су-27-ის მოდიფიცირებული ვერსია, რომელსაც აქვს მაღალი მანევრულობა, დიდი სიჩქარით დაფრინავს დიდ სიმაღლეზე, სწრაფად შეუძლია მტრის საფრენი აპარატის აღმოჩენა, მისთვის გზის გადაჭრა და მიაქვს ბევრი საბრძოლო მასალა.

**უატომო წყალქვეშა ნავს — „ამურს“** ამერიკელებმა მეორე ადგილი მიაკუთვნეს. მიუხედავად იმისა, რომ არაატომური წყალქვეშა ნავის ძრავის ავტონომიურობა გაცილებით დაბალია ატომურ სუბმარინებთან შედარებით, არაატომური წყალქვეშა ნავები ჩუმად დაცურავენ და დიდ საფრთხეს უქმნიან საზღვაო ხომალდებს. „ამურზე“ აგრეგატები დამონტაჟებულია ამორტიზატორებზე, რაც ამცირებს ვიბრაციას. 4 სატორპედე და 10 გემსაწინააღმდეგო დანადგარი კი საკმარისია რამდენიმე საზღვაო ხომალდის ჩასაძირავად.

სიაში შემდეგია **ტანკი T-90**, რომელსაც შეუძლია მძლავრი ცეცხლის გახსნა და, ამასთანავე, საიმედო ჯავშნით არის აღჭურვილი. აღსანიშნავია, რომ T-90 ამერიკულ ტანკებთან შედარებით გაცილებით იაფია.

მეოთხე პოზიციაზეა **უნივერსალური ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა П-800 „ონიქსი“,** რომლის ბაზაზეც რუსეთმა და ინდოეთმა შექმნეს ზებგერითი რაკეტა „ბრამოსი“. ამ რაკეტის გაშვება შეიძლება ხომალდებიდან და თვითმფრინავებიდან და გაცილებით სჯობს მის ამერიკულ ანალოგს — „ჰარპუნს“.

მეხუთეა 50 წლის წინათ შექმნილი **ტორპედო — 53-65,** რომელსაც აქვს თვითდამიზნების მოწყობილობა და დიდი სიზუსტით ხვდება მიზანში. განსაკუთრებული ალგორითმის გამო კი ტორპედოების საწინააღმდეგო თანამედროვე საშუალებები მის მომართ უძლურია.


T-90

# რა იარაღს აწარმოებენ სომხეთი და აზერბაიჯანი

**ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფომ — საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა — გადაიტანეს ომები. ვითარება მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ამჟამადაც დაძაბულია... მკითხველისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, როგორ არიან შეიარაღებულნი და რა იარაღს აწარმოებენ ეს ქვეყნები.**


„ისტიგლალი“

## აზერბაიჯანი

აზერბაიჯანს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარჩა ორი ათეული ქარხანა და საკონსტრუქტორო ბიუროები, რომლებიც აწარმოებდნენ მოწყობილობებს სამხედრო ავიაციისთვის, გემთმშენებლობისა და რაკეტმშენებლობისთვის, კავშირგაბმულობის სისტემებისთვის, აგრეთვე, სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილებს.

1991 წელს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მთიან ყარაბაღში დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი (1991-94). იბრძოდნენ იარაღით, რომელიც საბჭოეთის მე-4 არმიისგან წამოიღეს.

ფრონტზე დაზიანებულ ტექნიკას შეაკეთებდნენ ბაქოს ხელსაწყოთმშენებელ ქარხანაში. ეს საწარმო დღესაც მუშაობს და ძველი საბჭოთა ჯავშანტექნიკის აღდგენითა და ლიზენცირებული ჯავშანტრანსპორტირების — Makauder-ისა და Matador-ის გამოშვებით არის დაკავებული. და ეს არ არის გამონაკლისი. 1981 წელს დაარსებული ქარხანა „ტელემექანიკა“ ოფიციალურად სანავთობე მრეწველობაზე მუშაობდა, მაგრამ უშვებდა „სპეციალური დანიშნულების“ პროდუქციასაც. როგორც ჩანს, **ამ სპეციალიზაციამ შეაძლებინა ქარხანას, 2008 წელს აეთვისებინა სნაიპერის მსხვილკალიბრიანი შაშხანის — „ისტიგლალის“ გამოშვება.**

ნავთობის მოპოვებამ აზერბაიჯანის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს საშუალება მისცა, 1990-იან წლები ასე თუ ისე გადაეტანა. **2005 წელს ქვეყანაში შეიქმნა თავდაცვის მრეწველობის სამინისტრო; 2012 წელს აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი, 2005 წელთან შედარებით, 20-ჯერ გაიზარდა და 3 მლრდ დოლარს მიაღწია. ამჟამად კი აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი 4,2 მლრდ დოლარს შეადგენს.** ამ ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ყველაზე პერსპექტიული დარგია ცეცხლსასროლი და საარტილერიო იარაღებისთვის საბრძოლო მასალების დამზადება როგორც რუსული, ისე ნატოს სტანდარტების მიხედვით. ეს წარმოება უკვე აკმაყოფილებს ნაციონალური არმიის მოთხოვნებს.


სომხური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი

ისრაელი კი, რომელიც აზერბაიჯანული ნავთობის ძირითადი შემსყიდველია, ბაქოს უპილოტო საფრენი აპარატების საწარმოებლად ტექნოლოგიებს აძლევს.

აზერბაიჯანი თვითონაც აწარმოებს იარაღს. ეს არის ავტომატური იარაღი **„ხაზარი“** (AK-74-ის ბაზაზე) და ზემოაღნიშნული სნაიპერის მსხვილკალიბრიანი შაშხანა **„ისტიგლალი“.** ეს 14,5 მმ კალიბრის შაშხანა ნახევრადავტომატური „გადატენვის“ სქემის მიხედვით არის შექმნილი. მისი დანიშნულებაა დიდი ობიექტების განადგურება 3 კმ-ის სიშორეზე: ავტომობილების, მსუბუქად დაჯავშნილი ტექნიკის, თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების. შაშხანას უკეთდება 10-ვაზნიანი მჭიდი, იწონის 30 კგ-ს. დაშლილი შაშხანის გადატანა ზურგჩანთებით ორ ადამიანს თავისუფლად შეუძლია.

2014 წელს თავდაცვის პროდუქციის ექსპორტით აზერბაიჯანმა 100 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

## სომხეთი

სომხეთს ისევე, როგორც აზერბაიჯანს, სსრკ-ის სამხედრო კომპლექსიდან დაახლოებით 30 ქარხანა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დარჩა, რომლებიც ძირითადად აწარმოებდა რადიოაპარატურას, აგრეთვე, პროდუქციას წყალქვეშა ნავებისა და რაკეტებისთვის. სომხეთი ერთადერთი რესპუბლიკა იყო ამიერკავკასიაში, რომელიც აწარმოებდა სერიულ **რადიოლოკაციურ სადგურს** (РЛС П-18 — „რაზდანმაში“). სომხეთში არ იყო დიდი სამხედრო საწარმო, რის გამოც პრობლემა შეექმნა, როდესაც მთიან ყარაბაღში კონფლიქტი დაიწყო.

სომხეთის თავდაცვის სამინისტრო ამაყობს, რომ სამხედრო ტექნიკა არასოდეს გაუგზავნია შესაკეთებლად უცხოეთში. სატრანსპორტო ბლოკადის გამო სამხედრო ტექნიკის გატანა საჰაერო გზით უნდა მომხდარიყო, რაც ამ ტექნიკას ძალიან აძვირებდა, ამიტომ **ჩარენცავანის ჩარხმშენებელი ქარხნის თანამშრომლები იძულებულნი შეიქნენ, სასწრაფოდ შეესწავლათ დაჯავშნილი ტექნიკის შეკეთება.**

ცეცხლსასროლი იარაღის დეფიციტის გამო 1991-92 წლებში სომხეთში შეიმუშავეს და დაიწყეს სერიული წარმოება იაფი და მარტივი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისა К6-92 (სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „გარნი-ლერ“), რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი პრიმიტიულმექანიზმიანი იარაღის ანალოგია.

სომხეთმა 2001 წელს შეიმუშავა სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკა: ტექნიკის ბრძოლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მისი მოდერნიზება და თავდაცვის საკუთარი მრეწველობის განვითარება. მას შემდეგ სომხეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია საკმაოდ მწირი სამხედრო ბიუჯეტით — 2014 წელს ახალი იარაღის შესაქმნელად 3,6 მლნ გამოიყო.

**ამჟამად სომხეთს აქვს თავისი უპილოტო თვითმფრინავები, ავტომატური იარაღი და შაშხანები, საბრძოლო მასალები ცეცხლსასროლი იარაღისა და საარტილერიო სისტემებისთვის, ხელყუმბარები. პოლონეთთან ერთად მონაწილეობს პროექტში, რომელიც ტანკ T-72-ის მოდერნიზებას ითვალისწინებს.**

## ლეგენდარული იარაღი
# კალაშნიკოვის ავტომატური იარაღი — AK-47

**რუსი კონსტრუქტორის — მიხეილ კალაშნიკოვის მიერ 1947 წელს შექმნილი იარაღი, რომლითაც სსრკ-ის არმია 1949 წელს აღიჭურვა, ყველა დროის საუკეთესო იარაღად ითვლება.**

AK და მისი მოდიფიცკაციები მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული იარაღია. ბოლო 60 წლის განმავლობაში 100 მილიონამდე ასეთი იარაღი დამზადდა. კალაშნიკოვის ავტომატური იარაღით აღჭურვილია მსოფლიოს 50 ქვეყნის არმიები. AK-ს მთავარი კონკურენტით — ამერიკული ავტომატური შაშხანა M-16-ით, რომელიც დაახლოებით 10 მლნ ერთეულია გამოშვებული, 27 ქვეყნის არმიებია შეიარაღებული.

AK-47-ის ბაზაზე შეიქმნა სხვადასხვა კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი — AKM და AK74, მათი მოდიფიკაციები, კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევი, კარაბინები, გლუვლულიანი თოფი „საიგა“ და სხვ.



აღსანიშნავია, რომ კალაშნიკოვის ავტომატური იარაღი გამოსახულია მოზამბიკის სახელმწიფო დროშასა და გერბზე.

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95






# დანია — ჰამლეტის, ანდერსენისა და ქალთევზას ქვეყანა

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

დანია (ოფიციალურად — დანიის სამეფო) ევროპის ჩრდილოეთში მდებარე სახელმწიფოა, რომელშიც, აგრეთვე, შედის კუნძული გრენლანდია ჩრდილოეთ ამერიკაში და ფარერის კუნძულები ატლანტის ოკეანეში. ამ კუნძულებს აქვთ თავიანთი თვითმმართველობები და, პრაქტიკულად, დამოუკიდებლები არიან. დანია მდებარეობს შვედეთისა და ნორვეგიის სამხრეთით. აქვს სანაპირო ზოლი ბალტიისა და ჩრდილოეთ ზღვებში. ერთადერთი სახელმწიფო, რომელთანაც მას სახმელეთო საზღვარი აქვს, არის გერმანია. დანიის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მდებარეობს იუტლანდიის ნახევარკუნძულსა და 409 კუნძულზე, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ზელანდია, ფიენი, ვენსიუსელ-ტი, ლოლანი, ფალსტერი და ბერნჰოლმი.

სიტყვა „დანიის“ ეტიმოლოგია ზუსტად ცნობილი არ არის. V-VI საუკუნეების წყაროებში მოხსენიებული არიან დანების ტომები, რომლებიც იუტლანდიის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ. მე-19 საუკუნეში კარლოს დიდის იმპერიის საზღვრისპირა მიწაზე შეიქმნა Danmark — „დანიური მარკა“ (მარკა — ძვ. გერმანულად სასაზღვრო მიწას ნიშნავს), რომელიც შემდეგ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

**კლიმატი.** დანიაში კლიმატი ზომიერია, საკმაოდ რბილი, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებების გარეშე. იანვარში საშუალო ტემპერატურა 0-7 გრადუსია, ივლისში — პლუს 15-16 გრადუსი.

**ფლორა.** დანიის ტერიტორიის 11% ტყით არის დაფარული. ძირითადად, ხარობს ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, ლარიქსი, მუხა, წიფელი.

**ფაუნა.** ცხოველთა სამყარო ადამიანის ჩარევის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა. სრულიად გადაშენდა თახვი, განადგურდა მგელი, მნიშვნელოვნად შემცირდა ირმისა და შვლის რაოდენობა. სამაგიეროდ, გამრავლდა იხვი, მერცხალი, შაშვი, თეთრი ყარყატი და სხვ.

დანიის **ყველაზე მაღალი წერტილია იდინგ სკოვჰოი** (173 მ).

ყველაზე **დიდი მდინარე — გუდენო** (176 კმ).

**მოსახლეობა.** 2012 წლის აღწერის მიხედვით, **დანიაში 5,6 მლნ კაცი ცხოვრობს (110-ე მსოფლიოში).**

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სკანდინავია: 96% — დანიელი, 2% — გერმანელი, ფარერის კუნძულის წარმომადგენლები, შვედები, ინუიტები (გრენლანდიელები), ფრიზები. მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 78 წელია, ქალების — 86 წელი.

**დედაქალაქი: კოპენჰაგენი — 1 მლნ გარეუბნებით.**

**უდიდესი ქალაქები: კოპენჰაგენი, ორჰუსი (310 ათასი), ოდენსე (197 ათასი).**

**ოფიციალური ენა: დანიური.**


კოპენჰაგენი


ანდერსენის ძეგლი ოდენსეში


ორჰუსი

## მმართველობის ფორმა და რელიგია

დანია კონსტიტუციური მონარქიაა. 1953 წლის კონსტიტუციის მიხედვით, დანიის სახელმწიფოს მეთაური არის მეფე. 1972 წლიდან დანიის სამეფოს მართავს დედოფალი **მარგარეტ II.** მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი **ლარს ლიოკე რასმუსენი.**

საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი — ფოლკეტინგი, რომელიც საყოველთაო არჩევნების შედეგების მიხედვით 4 წლით ირჩევა; შედგება 179 წევრისგან, მათგან 135 პროპორციული სისტემით აირჩევა.

2007 წლის 1 იანვრიდან დანიის ტერიტორია დაყოფილია 14 ადმინისტრაციულ ერთეულად — ამატებად.

**რელიგია.** ოფიციალური მონაცემებით, დანიის მოსახლეობის 88,3% წევრია დანიის სახალხო ეკლესიისა, რომელიც ლუთერანიზმის პრინციპებს აღიარებს.

მათ გარდა ქვეყანაში ცხოვრობენ კათოლიკები, ადვენტისტები, ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, მუსლიმანები (დაახლოებით 3%).

## ეკონომიკა

დანია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოში პირველ ადგილზეა საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობით მოსახლეობის ერთ სულზე. ძირითადი საექსპერტო საქონელია: მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძის პროდუქტები, თევზი, მედიკამენტები, ავეჯი.

წამყვანი დარგები: მანქანათმშენებლობა (განსაკუთრებით — ელექტროტექნიკური და რადიოელექტრონული), კვების, ქიმიური, მსუბუქი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობები. სოფლის მეურნეობაში წამყვან პოზიციაზეა მეცხოველეობა. დანია მსოფლიოში მე-7 ადგილზეა ღორის ხორცის რაოდენობის მიხედვით (25 მლნ სული), რომელთა 87% საექსპორტოდ გააქვთ.

1972 წლიდან ჩრდილოეთის ზღვაში მოიპოვებს ნავთობსა და გაზს. **ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს 200,7 მლრ დოლარს (50-ე), მოსახლეობის ერთ სულზე — 36,3 ათას დოლარს.**

**ვალუტა.** მიუხედავად იმისა, რომ დანია 1973 წლიდან არის ევროკავშირის წევრია, ეს ქვეყანა უარს ამბობს ევროზონაში შესვლაზე. დანიის ეროვნული ვალუტაა **დანიური კრონი, რომელიც ამჟამად 0,15 აშშ დოლარის ტოლია.**

**ინტერნეტდომენი: dk.**

**სატელეფონო კოდი: +45.**

**საათობრივი სარტყელი: UTC+1; ზაფხულში UTC+2.**

## კულტურა

დანიის ტერიტორიაზე შეიძლება მოინახულოთ 600-ზე მეტი ციხესიმაგრე, სასახლე, ტაძარი და კოშკი.

უძველესი ლიტერატურული ძეგლებია „ბეოვულფი“ (XII საუკუნე) დანიელები არიან მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები **ჰანს კრისტიან ანდერსენი** და **მარტინ ანდერსენ-ნექსე;** ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ნილს ბორი;** რეჟისორები: **ლარს ფონ ტრიერი** და **სუზანა ბიერი;** ფილოსოფოსი **სიორენ კიერკეგორი;** პოპულარული ლუდსახარში ფირმა „კარლსბერგის“ დამაარსებელი **იაკობ იაკობსონი;** არქიტექტორი, სიდნეის ოპერის შემქმნელი **იორნ უტზონი** და სხვ.

**ღირსშესანიშნაობები.** კოპენჰაგენში — ვიკინგთა ხომალდების მუზეუმი, მრგვალი ეკლესიები (კუნძული ბორნჰოლმი), იარაღის, ავეჯისა და დანიის სამეფო კარის ძვირფასეულობის მუზეუმი, ტივოლის პარკი, ქალთევზას ქანდაკება. ჰელსინგორში (ელსინორი) ციხესიმაგრე, სადაც ვითარდება შექსპირის პოემა „ჰამლეტის“ სიუჟეტი; ოდენსეში — ჰანს კრისტიან ანდერსენის სახლ-მუზეუმი, კოლდინგში — მეფის სასახლე, კოშკი ბასტრუპი; კუნძულ ზელანდიაზე — სებორგის კოშკი.

## სამზარეულო

დანიური ნაციონალური სამზარეულოს კერძებში ჭარბობს ხორცი და თევზეული, კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ლობიო, სოკო. ძალიან პოპულარულია სალათები და ბუტერბროდები.


ქალთევზა კოპენჰაგენის პორტში

### სალათა „კოპენჰაგენური“

**ინგრედიენტები:**

* თევზის (ორაგული, ვირთევზა) ფილე — 300 გრ.
* ხახვი — 1 თავი
* ვაშლი (მჟავე) — 1 ცალი
* კიტრი (მწნილი) — 3 ცალი
* მაიონეზი — 1/2 ჭიქა
* პომიდორი — 2 ცალი (საშუალო ზომის)
* შავი პილპილი (დაფქული) — გემოვნებით
* მდოგვი — 1 სუფრის კოვზი
* მარილი — გემოვნებით.



**მომზადება:**

**1. გააცხელეთ ტაფა, ჩაასხით მასში წყალი ისე, რომ დონე ფსკერიდან 2-3 სმ-ზე იყოს (თევზის ფილეს ნაჭრები რომ დაფაროს). გადაიტანეთ თევზის ფილე და საშუალო ცეცხლზე 15 წთ-ის განმავლობაში დატოვეთ. შემდეგ ფილე გააცივეთ და პატარა ნაჭრებად დაჭერით.**

**2. კიტრი, პომიდორი, ვაშლი (კანგაცლილი) და ხახვი პატარა კუბებად დაჭერით.**

**3. სასალათეში ერთმანეთში აურიეთ თევზის, ბოსტნეულის, აგრეთვე, ვაშლის ნაჭრები. მოასხით მაიონეზი და კიდევ აურიეთ. მოაყარეთ მარილი, შავი პილპილი და მოასხით მდოგვი. შემდეგ კიდევ ერთხელ აურიეთ და სალათაც მზად არის. სუფრაზე მიტანამდე შეგიძლიათ მორთოთ წვრილად დაჭრილი ქინძითა და ოხრახუშით.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტყუპის მშობლები, ბავშვების ინტერესების შესაბამისად, მათ განაცალკევებას უნდა ეცადონ: ატარონ სხვადასხვა სპორტულ სექციასა თუ საგნის შემსწავლელ წრეზე, გამოუყონ თითოეულს ინდივიდუალური სივრცე და სათამაშოები, დაეხმარონ მეგობრების შეძენაში, დაუნაწილონ საოჯახო საქმე და მოვალეობები, ჩააცვან განსხვავებულად.**

# ზოგი რამ ტყუპებზე

**თუკი ორსულის მუცლის გარშემოწერილობა გადამეტებულად იზრდება, ნაყოფის მოძრაობა სხვადასხვა ადგილას შეიგრძნობა, გულის მკაფიო ტონები სხვადასხვა ადგილას ისმის და მათ შორის განსხვავება 10 და მეტი დარტყმაა, იცოდეთ, ქვეყანას კიდევ ერთი სასწაული ელის — მალე ტყუპი გაჩნდება. ტყუპს უწოდებენ მათ, ვინც მრავალნაყოფიანი ორსულობის შედეგად იბადება. ტყუპი, ანუ ორი ბავშვი ერთად ახალშობილთა 3%-ს შეადგენს, ხოლო სამი ერთად — 2%-ს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 70 მილიონი წყვილი ტყუპი ცხოვრობს. ყველაზე იშვიათად ტყუპები ჩინეთში იბადებიან; აღმოჩნდა, რომ სამის ერთად დაბადება უმეტეს შემთხვევაში უნაყოფობის წინააღმდეგ გამოყენებული მკურნალობის შედეგია.**






ოჯახისთვის ტყუპის დაბადება ყოველთვის მოულოდნელობაა, ვინაიდან ამას წინასწარ ვერავინ გეგმავს. სირთულეების მიუხედავად, ტყუპის დაბადება გამორჩეულად სასიხარულოა. ორსულობა რომ მეტად საპასუხისმგებლო მდგომარეობაა, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ გაცილებით უფრო რთული და საპასუხისმგებლოა მრავალნაყოფიანი ორსულობა.

მრავალნაყოფიანი ორსულობისას გართულებები გაცილებით ხშირია, ვიდრე ერთნაყოფიანი ორსულობის დროს, მას პათოლოგიურ ორსულობათა რიცხვსაც მიაკუთვნებენ.

**მრავალნაყოფიანი ორსულობა დედის ორგანიზმისთვის დიდი დატვირთვაა: ჩვეულებრივზე გაცილებით ინტენსიურად მუშაობს ორსულის გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ფილტვები, კუჭნაწლავი, ღვიძლი, თირკმელები, შარდის ბუშტი და სხვა ორგანოები, ამიტომ მრავალნაყოფიან ორსულობას ხშირად გართულებები სდევს თან.**

ტყუპი ნაყოფის გრძივი მდებარეობისას წინამდებარე ნაწილი შესაძლოა ერთი და იგივე იყოს — თავი ან მენჯი. შესაძლებელია სხვა ვარიანტიც: ერთი ტყუპისცალის წინამდებარე ნაწილი თავია, ხოლო მეორისა — მენჯი. შედარებით იშვიათია ერთი ნაყოფის გრძივი, ხოლო მეორის გარდიგარდმო მდებარეობა, კიდევ უფრო იშვიათი — ორივე ტყუპისცალის გარდიგარდმო მდებარეობა.

არსებობენ ორი ტიპის ტყუპები: დიზიგოტური, ანუ არაიდენტური ტყუპები იბადებიან ერთზე მეტი განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან. ამასთანავე, ორი ან რამდენიმე კვერცხუჯრედის ერთდროული მომწიფება ხდება ერთ ან ორივე საკვერცხეში. შესაძლოა, დიზიგოტური ტყუპების განვითარების კიდევ ერთი ვარიანტი: ერთ ფოლიკულაში მომწიფებული ორი ან რამდენიმე კვერცხუჯრედის განაყოფიერება. საინტერესოა, რომ დიზიგოტური ტყუპების ჩასახვას შორის სხვაობა შეიძლება იყოს რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე. არაიდენტური ტყუპები ერთმანეთს იმაზე მეტად არ ჰგვანან, ვიდრე ჩვეულებრივი დები ან ძმები. ასეთი ტყუპები თანაბარი სიხშირით არიან ერთნაირი ან განსხვავებული სქესისანი.

მონოზიგოტური, ანუ იდენტური ტყუპები ერთი კვერცხუჯრედიდან ვითარდებიან. ზიგოტა იწყებს გაყოფას, როგორც წესია, მაგრამ საინტერესო თავისებურებით. გაყოფის პროცესში წარმოიშობა ორი დამოუკიდებელი ემბრიონი. ამ პროცესის განვითარების მიზეზები ბოლომდე არ აქვს მეცნიერებას გარკვეული უჯრედების დაყოფის ბიოქიმიური პროცესების სირთულის გამო. ასეთი ტყუპები ერთმანეთის ასლები არიან, თუმცა, როგორც წესი, უმნიშვნელო განსხვავებები მაინც არსებობს ხოლმე, რამეთუ საწყის ეტაპზე იდენტურ დნმში შესაძლოა მოხდეს აბსოლუტურად განსხვავებული მუტაციები და ცვლილებები. მონოზიგოტური ტყუპები 5-ჯერ უფრო იშვიათია, ვიდრე დიზიგოტური.

ერთი კვერცხუჯრედიდან გაჩენილი ტყუპისცალებიც კი ზოგჯერ არათანაბრად ვითარდებიან. ეს იმის ბრალია, რომ საერთო პლაცენტა საკვებ ნივთიერებებს მათ არათანაბრად აწვდის. ასეთ დროს ერთ-ერთი ტყუპისცალი კარგად ვითარდება, ხოლო მეორე ჩამორჩება. თუ დარღვევა უმნიშვნელოა, ორსულობა გრძელდება, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მეორე ნაყოფის სისხლის მიმოქცევა იმდენად მცირდება, რომ ის შეიძლება დაიღუპოს კიდეც (ასეთი რამ, ჩვეულებრივ, მესამედან მეექვსე თვემდე ხდება). პირველი ნაყოფი ამ დროს ზრდა-განვითარებას ჩვეულებრივ განაგრძობს. მკვდარი ნაყოფი საშვილოსნოშივე რჩება, მისი ქსოვილების სითხე გაიწოვება, პლაცენტა რეგრესს განიცდის, ნაყოფი მუმიფიცირდება და მშობიარობისას მომყოლითურთ გამოძევდება საშვილოსნოდან. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია მძიმე გართულებები, ამიტომ ექიმები ასეთ ტაქტიკას მიმართავენ: თუ ერთ-ერთი ნაყოფი ორსულობის 28-ე კვირამდე დაიღუპა, ორსულობა ხელოვნურად უნდა შეწყდეს; თუ ტყუპისცალი ორსულობის 28-ე კვირის შემდეგ დაიღუპა, ორსულობა შენარჩუნდება, დედის ჯანმრთელობაზე ხორციელდება დინამიკური კლინიკურ-ლაბორატორიული დაკვირვება, ხოლო მშობიარობა ნაადრევად ხდება.

**მრავალნაყოფიანი ორსულობისას ქალს ისეთივე კვება და რეჟიმი სჭირდება, როგორიც ერთნაყოფიანის შემთხვევაში. ის უნდა იკვებებოდეს ხშირად (დღეში 4-5-ჯერ) და მცირე ულუფებით.** რაციონი უნდა შეიცავდეს საკმარისი ოდენობის ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მინერალურ მარილებსა და წყალს. ცილები ძირითადად ნაყოფის ქსოვილების ჩამოყალიბებას ხმარდება. მათი დღიური ნორმა 6,5 გრამია. სასურველია, ცილები ორსულმა უმთავრესად ცხოველური პროდუქტის (ხორცი, თევზი, რძე, მაწონი, ხაჭო, კეფირი, კვერცხი, ყველი და სხვ.) მეშვეობით მიიღოს. ცხიმები ორგანიზმის ენერგეტიკული მარაგია. მათი დღიური ნორმაა 85-100 გრამი. შასურველია, ორსულმა მიიღოს როგორც მცენარეული (მზესუმზირის, სიმინდის, ზეთისხილის), ისე ცხოველური (ნაღების კარაქი, არაჟანი) საკვებიდან. რეკომენდებული არ არის ღორისა და ცხვრის ქონი, მარგარინი.

**ორსულის დღიური რაციონი 350-400გ ნახშირწყლებს უნდა შეიცავდეს. ისინი ბევრია პურ-მარცვლეულში, ხილში, კენკრაში, ბოსტნეულში, წვენებში და ა.შ.** ორსულობის პირველ ნახევარში სითხის დღიური ულუფა არ იზრდება (გახსოვდეთ: სითხეს ვიღებთ წყლის, წვენების, მაწვნის, კომპოტის, სუპის სახით), მეორე ნახევარში კი მცირდება კიდეც: ჯერ 1,0-1,2 ლიტრამდე, ხოლო მშობიარობამდე ორი კვირით ადრე — 700-800 მლ-მდე დღეში.

**ორსულობის ბოლოს არ შეიძლება შემწვარ-მოხრაკული, მარილიანი, შებოლილი, კონსერვირებული საკვები, ძეხვეული; უნდა შევზღუდოთ ცომეული და ტკბილეული; სასურველია მოხარშული მჭლე ხორცი და ზღვის თევზი.**

ფიზიკური აქტივობა ნორმალურად მიმდინარე ორსულობისას, არათუ დასაშვები, აუცილებელიც კია, თუმცა მრავალნაყოფიანი ორსულობისას ვარჯიში აკრძალულია.

**გახსოვდეთ: მრავალნაყოფიანი ორსულობის დადასტურებისთანავე აუცილებელია ექიმის განსაკუთრებული მეთვალყურეობა. ქალთა კონსულტაციას მეორე ტრიმესტრიდან ორ კვირაში ერთხელ, ხოლო მესამე ტრიმესტრიდან კვირაში ერთხელ მიაკითხეთ.**

ყურადღება მიაქციეთ სხეულის წონას. ერთნაყოფიანი ორსულობისას სხეულის წონის დასაშვები ნამატი 9,0-12 კგ-ია, მრავალნაყოფიანი ორსულობისას კი წონის ნამატი ერთნაყოფიანი ორსულობის დასაშვებ ზღვარს 50%-ით არ უნდა აღემატებოდეს.

**ერიდეთ დიდხანს ფეხზე დგომას და ზურგზე წოლას. ორსული დღეში 4-5 საათის განმავლობაში უნდა იწვეს გვერდზე, უმჯობესია, მარცხენა მხარეს, რათა არ მოხდეს საშვილოსნოს ზეწოლა მაგისტრალურ სისხლძარღვებსა და შარდსაწვეთზე.**

ორსულობის მეორე ნახევრიდან სისტემატურად იკონტროლეთ არტერიული წნევა, აიწონეთ, ჩააბარეთ ანალიზები. ისეთი სიმპტომების გაჩენისთანავე, როგორიც არის თავის ტკივილი, თვალებში გაორება, სახისა და სხეულის შეშუპება, არტერიული წნევის მომატება, დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს.

**ტყუპი ახალშობილის წონა და სიგრძე მომწიფებული ახალშობილის საშუალო წონასა და სიგრძეზე ნაკლებია. ახალშობილთა წონას შორის განსხვავება შეიძლება 200-300 გრამიდან 1 კგ-მდე და მეტადაც მერყეობდეს.** ერთ-ერთი თავისებურებაა ნაყოფის ფუნქციური უმწიფრობა, ეს უფრო ხშირია სამი, ოთხი და მეტი ნაყოფის დაბადებისას.

**ტყუპი ახალშობილის წონა და სიგრძე მომწიფებული ახალშობილის საშუალო წონასა და სიგრძეზე ნაკლებია. ახალშობილთა წონას შორის განსხვავება შეიძლება 200-300 გრამიდან 1 კგ-მდე და მეტადაც მერყეობდეს**




მშობლები ხშირად ხელს უწყობენ ტყუპის მსგავსებას: ერთნაირად მოსავენ, ყიდულობენ ერთნაირ სათამაშოებსა და სხვა საჭირო ნივთებს, დაჰყავთ ერთსა და იმავე საბავშვო ბაღში, სკოლასა თუ კლასში. მხოლოდ მაშინ იწყებენ ტყუპის განცალკევებას, თუ მათ მკვეთრად განსხვავებული ხასიათი, ნიჭი და უნარ-ჩვევები აღმოაჩნდათ.

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ტყუპმა ფსიქოლოგიური განვითარების პროცესში უნდა გადალახოს ძლიერი დაპირისპირებისა და ზღვარგადასული მიჯაჭვულობის შინაგანი კონფლიქტი. იმისთვის, რომ ამ სირთულის დაძლევაში დავეხმაროთ, უნდა ვასწავლოთ მათ ურთიერთთანხმობით, მაგრამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცხოვრება. ეს ყველაფერი თითქოს ურთიერთგამომრიცხავია, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც მეტად დამოუკიდებელნი არიან ისინი, მით მეტი თანხმობით ცხოვრობენ. ამიტომაც არის საჭირო, მათ ისე მოვეპყროთ, როგორც ორ დამოუკიდებელ, განსხვავებულ ადამიანს. ეს აუცილებელია მათი ინდივიდუალური მიდრეკილებებისა თუ ინტერესების განვითარებისთვის. **ტყუპის მშობლები, ბავშვების ინტერესების შესაბამისად, მათ განაცალკევებას უნდა ეცადონ: ატარონ სხვადასხვა სპორტულ სექციასა თუ საგნის შემსწავლელ წრეზე, გამოუყონ თითოეულს ინდივიდუალური სივრცე და სათამაშოები, დაეხმარონ მეგობრების შეძენაში, დაუნაწილონ საოჯახო საქმე და მოვალეობები, ჩააცვან განსხვავებულად.** გამუდმებით აღ- ▶



**თუ ჯერ კიდევ თვლით, რომ ტყუპის ყოლის ალბათობა მხოლოდ და მხოლოდ გენეტიკაზეა დამოკიდებული, ძალიან ცდებით. ჩატარებული კვლევების თანახმად, ყველაზე ხშირად ტყუპი ჰყავთ 30 წელს გადაცილებულ ქალებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს მათი პირველი ორსულობაა.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნიშნონ მათი ინდივიდუალურობა. მშობელთა ასეთი ძალისხმევა ტყუპისცალებს ერთმანეთის დამოკიდებულებისგან გაათავისუფლებს, დაეხმარება მათ ფსიქოლოგიურ მომწიფებაში და ასწავლის ერთმანეთთან ურთიერთობით სიამოვნების მიღებას, არა იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან, არამედ იმის გამო, რომ თითოეული ცალ-ცალკე საინტერესო და უნიკალურია.

## სიამის ტყუპი

ცალკე ფენომენს წარმოადგენს სიამის ტყუპი. სხეულის სხვადასხვა ნაწილებით შეერთებულ ტყუპს „სიამისა“ მაშინ უწოდეს, როცა სიამში (ტაილანდი), მეკლონგის რაიონში, 1811 წლის 11 მაისს მკერდის მიდამოთი შეერთებული ტყუპები — ჩანგ და ენგ ბუნკერები დაიბადნენ. მათ იქორწინეს ამერიკელ დებზე სარა და ადელაიდა იეტსებზე და შესაბამისად 10 და 12 შვილი ეყოლათ. 1874 წელს ჯერ ჩანგი გარდაიცვალა, სამი საათის შემდეგ კი — ენგი. სიამის ტყუპების ყველაზე უკიდურესი (უარესი) ფორმაა ორთავა, ოთხხელა და ორფეხა ადამიანური არსება. ამ ტიპის ერთადერთი რეგისტრირებული შემთხვევა — მაშა და დაშა კრივოშლიაპოვები, 1950 წელს დაიბადნენ საბჭოთა კავშირში. სიამის ტყუპების დაშორების პირველი წარმატებული ოპერაცია 1952 წლის 14 დეკემბერს ჩაატარა დოქტორმა ჟაკ ს. გელერმა აშშ-ის ქალაქ კლივლენდის (ოჰაიოს შტატი) მაუნტ-სინაის საავადმყოფოში.

მას შემდეგ არაერთი ოპერაცია ჩატარდა ტყუპების განსაცალკავებლად. ქირურგიული ჩარევის შემთხვევაშიც კი არცთუ დიდი შანსია მათი გადარჩენისა. ოპერაციის შემდგომ კი მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს ცალ-ცალკე 10-15 წელზე მეტს.

**ახლახან საუდის არაბეთში მეფე აბდულაზიზის სახელობის სამედიცინო ცენტრში სიამის ტყუპების განცალკევების ცხრა საათიანმა ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ამ რთული სამედიცინო პროცედურის ჩასატარებლად ქირურგების გუნდს ქვეყნის ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი, ექიმი აბდულა ალ რაბია ხელმძღვანელობდა.**

ტყუპი ძმები — აბდულა და აბდულრამანი — წარმოშობით იემენის რესპუბლიკიდან არიან. მათ საერთო შინაგანი ორგანოები და საჭმლის მომნელებელი სისტემა ჰქონდათ.

თავდაპირველად, ექიმების ვარაუდით, ტყუპების გადარჩენის შანსი 60-70 პროცენტს შეადგენდა. ამჟამად ბიჭების მდგომარეობა გაუმჯობესდა და ორივეს გადარჩენას უწინასწარმეტყველებენ.

**საუდის არაბეთი ცნობილია საუკეთესო სპეციალისტებით სიამის ტყუპების განცალკევების სფეროში და 1990 წლიდან იქ 18-ზე მეტი ქვეყნიდან ჩამოსულ 35 სიამის ტყუპს ჩაუტარდა ოპერაცია.**

ცოტა ხნით ადრე ამგვარი ოპერაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 თვის სიამის ტყუპებს, ნატალი ჰოუპსა და ადელინ ფეის მატას, ჩაუტარდათ.

გოგონებს საერთო გულმკერდის კედელი, ფილტვები, პერიკარდი (გულის გარსი), დიაფრაგმა, ღვიძლი, ნაწლავები და მენჯი ჰქონდათ. ოპერაცია 26 საათს გაგრძელდა და წარმატებით დასრულდა.

ექიმების გუნდი 26 მედიკოსისგან შედგებოდა. მათ შორის 12 ქირურგი, 6 ანესთეზიოლოგი და 6 ქირურგიის ექთანი იყო.

ამგვარი სირთულის წარმატებული ქირურგიული ჩარევა უპრეცედენტოა სამედიცინო პრაქტიკის ისტორიაში.

**თუ თქვენ ჯერ კიდევ თვლით, რომ ტყუპის ყოლის ალბათობა მხოლოდ და მხოლოდ გენეტიკაზეა დამოკიდებული, ძალიან ცდებით. ჩატარებული კვლევების თანახმად, ყველაზე ხშირად ტყუპი ჰყავთ 30 წელს გადაცილებულ ქალებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს მათი პირველი ორსულობაა.**

მე-20 საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით ახლა 75%-ით უფრო მეტი ტყუპი იბადება. ეს ოფიციალური სტატისტიკა არამხოლოდ 80-იანი, არამედ წინა ასწლეულის ზოგად შედეგებსაც მოიცავს.

**ტყუპისცალების გარჩევა ხშირად ძალიან რთულია, მაგრამ მათი გარჩევის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ერთ-ერთია ტყუპისცალების ანაბეჭდების შედარება, რომლებიც ნამდვილად განსხვავდება ერთმანეთისგან, რასაც ვერ ვიტყვით მათი დნმ-ის სტრუქტურაზე, ისინი ერთნაირია.**

სტატისტიკის თანახმად, ნიგერიაში ყოველი 20 მშობიარობიდან ერთი ტყუპის დაბადებით სრულდება.

გაირკვა, რომ რაც უფრო უარესია ეკოლოგიური მდგომარეობა რეგიონში, მით მეტია ტყუპების გაჩენის ალბათობა. ასეთი დასკვნა გამოიტანეს გერმანელმა მეცნიერებმა. ისინი პროფესიული და ეკოლოგიური მედიცინის სფეროში ატარებენ გამოკვლევებს და დაადგინეს, რომ უნაყოფობა უფრო ხშირად ეკოლოგიურად კეთილსაიმედო რეგიონებში მცხოვრებ ქალებს აწუხებთ.

**ყველაზე დღეგრძელი ტყუპი** 1803 წლის 14 თებერვალს აშშ-ის ქალაქ ეფინგტონში (ვირჯინიის შტატი) დაიბადნენ ილაი შადრაკ და ჯონ მეშაკ ფიპსები. პირველად 108 წლის ილაი გარდაიცვალა. ეს 1911 წლის 23 თებერვალს მოხდა.

სიამის ტყუპი ფეიტ, ჰოუპ და ჩარიტი კარდუელები 1899 წლის 18 მაისს დაიბადნენ აშშ-ის ქალაქ ელ-მოტში (ტეხასის შტატი). პირველი 1994 წლის 2 ოქტომბერს 95 წლის ასაკში ფეიტი გარდაიცვალა.

**ყველაზე დღეგრძელი ოთხი ტყუპი** ადოლფ, ანა-მარია, ემა და ელიზაბეტ ოტმანები 1912 წლის 5 მაისს დაიბადნენ გერმანიის ქალაქ მიუნხენში. პირველი 79 წლის ასაკში 1992 წლის 17 მარტს ადოლფი გარდაიცვალა.

**დოქტორი ჯენარდო მონტანინო** (რომი, იტალია) ამტკიცებს, რომ 1971 წლის ივლისში ოცდათხუთმეტი წლის ქალს, რომელიც ოთხი თვის ორსული იყო, საშვილოსნოდან ამოუყვანა 10 გოგონასა და 5 ვაჟის ემბრიონი. ეს უნიკალური შემთხვევა უშვილობის სამკურნალო პრეპარატების მიღების შედეგი იყო.

9 შვილი შვა **ჯერალდინ ბროდრიკმა** 1971 წლის 13 ივნისს სიდნეიში (ავსტრალია). დაიბადა 5 ბიჭუნა და 4 გოგონა. ორი ბიჭი მკვდრადშობილი გაჩნდა, ხოლო დარჩენილთაგან ექვს დღეზე მეტი არც



**ტყუპისცალების გარჩევა ხშირად ძალიან რთულია, მაგრამ მათი გარჩევის სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ერთ-ერთია ანაბეჭდების შედარება, რომლებიც ნამდვილად განსხვავდება ერთმანეთისგან, რასაც ვერ ვიტყვით მათი დნმ-ის სტრუქტურაზე, ისინი ერთნაირია**



ერთს არ უცოცხლია. 10 ტყუპის დაბადება აღრიცხულია ესპანეთში (1924 წელი), ჩინეთსა (1936 წელი) და ბრაზილიაში (1946 წელი). არსებობს ცნობები იმის შესახებაც, რომ 1971 წლის 29 მაისს ფილადელფიაში (აშშ, პენსილვანიის შტატი) და 1977 წლის მაისში ქალაქ ბაგარჰატში (ბანგლადეში) 11 ტყუპი დაიბადა. არც ერთი ბავშვი ცოცხალი არ გადარჩენილა.

1839 წელს დაბადებულ იტალიელ **მადლენ გრანატს** 15-ჯერ გაუჩნდა სამი ტყუპი.

**მშობიარობის ყველაზე ხანგრძლივი ინტერვალი** მრავალნაყოფიანი ორსულობისას დარეგისტრირდა აშშ-ის შტატ პენსილვანიის ქალაქ ჰანტინგტონში. პეგი ლინმა 1995 წლის 11 ნოემბერს შვა გოგონა ჰანა, ხოლო 84 დღის შემდეგ მეორე ტყუპისცალი — ბიჭუნა ერიკი.

რა მოხდება, თუ იდენტური ტყუპისცალები გაშვილების შედეგად სხვადასხვა ოჯახში გაიზრდებიან? პროფესორმა ტომ ბუჩარდმა გადაწყვიტა ამ კითხვისთვის პასუხი გაეცა. მან ტესტი ჩაუტარა 100 ტყუპს, რომლებიც სხვადასხვა ოჯახში გაიზარდნენ და მათ ცხოვრების ყველა დეტალი გამოჰკითხა. წყვილების უმრავლესობა იდენტური აღმოჩნდა, მათ ჰქონდათ ერთნაირი IQ, ჯანმრთელობის ერთნაირი პრობლემები, იგივე ჰობი, შეხედულებები და სხვ. რამდენიმე ტყუპი ერთნაირი ტანსაცმლით ჩავიდა შეხვედრის ადგილას, ერთნაირი სამკაულები ეკეთათ. ჯერი და მარკი ლევიები პირველად 30 წლისა შეხვდნენ და აღმოაჩინეს, რომ ორივე მეხანძრეები იყვნენ, ერთნაირ ლუდს სვამდნენ და ორივე 80 კილოგრამს იწონიდა.

**მარგარეტ რიჩარდსონსა** და **ტერი კონელს** ერთნაირი გემოვნება აქვთ, ორივეს 4-4 შვილი ჰყავს და ორივე ერთსა და იმავე დღეს დაქორწინდა. ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან, სანამ 30-ის არ გახდებოდნენ, სანამ მათი შვილები არ დაიბადებოდნენ.

ყველაზე დაუჯერებელი ამბავი **ჯიმ სპრინგერისა** და **ჯიმ ლიუისზეა**, ისინი არიან ტყუპები ოჰაიოდან. მათი დედა ღარიბი ემიგრანტი იყო, რომელმაც ბავშვები გააშვილა. პირველი დამთხვევა, რომელიც მათ ცხოვრებაში მოხდა, ის იყო, რომ ახალმა ოჯახებმა ორივეს ჯიმი დაარქვეს. ორივე გაიზარდა ძმასთან — ლარისთან ერთად. ბავშვობაში ორივეს ჰყავდა სათამაშო ძაღლი სახელად თოი. ორივე ჯიმი განქორწინებული და მეორედ დაქორწინებულია. ორივეს პირველ ცოლს ლინდა ერქვა, ხოლო მეორეს — ბეტი. ორივეს ჰყავდა პირველი ვაჟი სახელად ჯეიმს ალანი. სიმაღლეში ორივე 1 მეტრი 84 სანტიმეტრი იყო და იწონიდნენ 83 კილოგრამს. ორივეს უყვარდა მოტოციკლებით რბოლა და ვერ იტანდნენ ბეისბოლს. ჰქონდათ ერთნაირი კალიგრაფია და სახის გამომეტყველება. არდადეგებს ორივე ფლორიდას სანაპიროზე ატარებდა ყოველ წელს. მათი სახლები და ბაღები ერთმანეთის მსგავსი იყო. 2002 წელს ორივე ჯიმი გარდაიცვალა ერთი და იმავე სნეულებით ერთსა და იმავე დღეს.

და პროფესორმა ბუჩარდმა გამაოგნებელი დასკვნა გამოიტანა. ტყუპები, რომლებიც ერთად იზრდებიან, ნაკლებად ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე ისინი, რომლებიც ცალ-ცალკე იზრდებიან.

„ტყუპების ქალაქი“ — სწორედ ასე მოიხსენიებენ ბრაზილიის ქალაქ კანდიდო გოდოის, სადაც არნახულად ბევრი ტყუპი ცხოვრობს და დღემდეც ტყუპის რეკორდული რაოდენობა იბადება. ქალაქის შესასვლელში ამ უცნაურობის შესახებ შესაბამისი წარწერა იუწყება: „სტუმარი მოულოდნელობისგან არ შეშინდეს, ჰალუცინაციები ხომ არ დამეწყოო“. კანდიდო გოდოიში ტყუპების მუზეუმიც მოქმედებს, რომელიც ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილად არის მიჩნეული და „ტყუპების სახლი“ ჰქვია.

„ტყუპიანობა“ იქ მას შემდეგ დაიწყო, როცა ქალაქს თავი ნაცისტმა ექიმმა იოზეფ მენგელემ შეაფარა. სამედიცინო განათლება მენგელემ ვენის, მიუნხენისა და ბონის უნივერსიტეტებში მიიღო და მისი სადოქტორო დისერტაციის თემა რასებს შორის ქვედა ყბის ფორმების განსხვავებას ეხებოდა. 1938 წელს ექიმი მენგელი ნაცისტურ პარტიასთან თანამშრომლობდა. მოგვიანებით ფრონტზეც წავიდა, როგორც რეზერვისტი ექიმი, დაიჭრა და იმის გამო, რომ მოქმედ არმიაში სამსახურს ველარ განაგრძობდა, ოსვენციმში „ბოშათა ბანაკად“ წოდებულ საკონცენტრაციო ბანაკში ექიმად გაამწესეს. სხვათა შორის, ნაცისტებმა ეს ბანაკი მალევე დახურეს და ყველა ტყვე გაზის კამერებში ამოხოცეს.

**მენგელემა ოსვენციმის ტყვეთა ბანაკებში 21 თვე იმუშავა და სისასტიკით განთქმულ ექიმს დამსახურებულად შეარქვეს „სიკვდილის ანგელოზი“. მენგელის განსაკუთრებულ ინტერესს ტყუპები იწვევდნენ. თვითმხილველთა მონაყოლით, ნაცისტი ექიმი ტყვეთა შორის ტყუპებს არჩევდა და სხვებისგან განცალკევებულ ბარაკებში აცხოვრებდა. მისი საცდელი 3000 ტყუპიდან ცოცხალი მხოლოდ სამასი გადარჩა.**

ომის დამთავრების შემდეგ მენგელემა ლათინურ ამერიკას შეაფარა თავი, რადგან იცოდა, რომ სამხედრო ტრიბუნალი არ ასცდებოდა. კანდიდო გოდოის მხცოვანი მცხოვრებლები იხსენებენ, რომ სწორედ იმ დროს გამოჩნდა მათ ქალაქში გერმანელი ექიმი, სახელად რუდოლფ ვაისი, რომელიც ხალხსაც კურნავდა, ვეტერინარიც იყო და პირუტყვის ხელოვნურ განაყოფიერებასაც კი ახდენდა.

არგენტინელი ისტორიკოსი ხორხე კამარასა ფიქრობს, რომ ნაცისტმა ექიმმა არა მხოლოდ თავშესაფარი იპოვა კანდიდო გოდოიში, არამედ ქალაქი ერთგვარ ლაბორატორიად აქცია. ფაშისტების ჩანაფიქრში შობადობის გაზრდა და არიული რასის გამრავლება შედიოდა, სწორედ ამას ემსახურებოდა მენგელის „სამეცნიერო შრომებიც“. არგენტინელი ისტორიკოსის დაკვირვებით, ტყუპებთან დაკავშირებული უცნაურობა კანდიდი გოდოიში მენგელეს შემდეგ დაიწყო. მაგალითად, თუ მთელ მსოფლიოში ტყუპების დაბადების ალბათობა 80 შემთხვევიდან მხოლოდ ერთია, კანდიდო გოდოიში ყოველი მეხუთე ქალი ტყუპს აჩენს. კიდევ უფრო უცნაური ის არის, რომ ბრაზილიელი ტყუპების უმრავლესობა ქერა და ცისფერთვალებაა...

მსოფლიოს არაერთ ქვეყანასა თუ ქალაქში ყოველწლიურად ტარდება ტყუპების ადგილობრივი ან საერთაშორისო ფესტივალი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ლამაზი და ძვირად ღირებული ქვა მსოფლიოში

**სამხრეთ ავსტრალიაში გათხრებისას აღმოაჩინეს ფერადი ოპალი, რომელსაც „ქალწული ცისარტყელა“ ეწოდება და რომელიც მიჩნეულია, როგორც ყველაზე ლამაზი ქვა პლანეტაზე.** მისი ღირებულება მილიონ დოლარს აჭარბებს. „ქალწული ცისარტყელა“ მილიონი წლის წინათ დინოზავრების გაქვავებული ოპალისგან ჩამოყალიბდა. ოპალი მაშინ ფორმირდება, როდესაც წყალი და კვარცი ერთმანეთს ერწყმის. პირველად ქვას საჯაროდ სამხრეთ ავსტრალიის მუზეუმში, ადელაიდაში, სექტემბერში გამოიტანენ, როგორც გამოფენის საგანძურს. აღსანიშნავია, რომ ოპალი ღამით ანათებს — რაც უფრო ბნელა, მით მეტ ფერს ასხივებს.





# 10 ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ოსაკას ცაზე

**იაპონიაში, ქალაქ ოსაკას ცაზე, ერთბაშად ათი ამოუცნობი მფრინავი ობიექტი შენიშნეს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ინტერნეტში ელვის სისწრაფით გავრცელდა. ესაა თეთრი მფრინავი ობიექტები, რომლებიც ოსაკას ერთ-ერთი ქარხნის მილების თავზე დაფრინავენ. ხომალდები ერთმანეთს ეჯახებიან, მაგრამ ფრენას მაინც აგრძელებენ.**

უცნაური კადრების ხილვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: ერთი ნაწილი თვლის, რომ ოპერატორმა ჰაერში მოფარფატე პოლიეთილენის პაკეტები გადაიღო; მეორე ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ ეს მეტეოზონდებია; უმეტესობა მიიჩნევს, რომ თეთრ ობიექტებს უცხოპლანეტური წარმომავლობა აქვთ.



# პლანეტა მერკური მოკვდება

**ამერიკელი მეცნიერები თვლიან, რომ ხუთ მილიარდ წელიწადში მზის სისტემის განლაგება რადიკალურად შეიცვლება — მერკური მზეს ან ვენერას შეეჯახება. ჰავაის უნივერსიტეტის ასტრონომმა რიჩარდ ზეებემ ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგად დაასკვნა, რომ მზის სისტემის არასტაბილურობა უახლოეს ხუთ მილიარდ წელიწადში მერკურის მზეზე დაცემას გამოიწვევს.**

მერიკურის მსხვერპლი გახდება არა დედამიწა, როგორც აქამდე ფიქრობდნენ ასტრონომები, არამედ მზე ან ვენერა, რომელთაგან ერთ-ერთს ის საკუთარი ორბიტის დესტაბილიზაციის შედეგად შეეჯახება. როგორც ზეებე განმარტავს, ამის შანსი არც ისე დიდია, მაგრამ საფრთხე მაინც არსებობს.

მეორე მხრივ, **დედამიწასა და მზის სისტემის სხვა პლანეტებს საფრთხე არ ემუქრებათ და ჩვენი პლანეტა თავის ადგილას მას შემდეგაც დარჩება,** როცა მისი ზედაპირი ვეღარ შეძლებს სიცოცხლის საზრდოობას მზის მომატებული სიკაშკაშისა და რესურსების ამოწურვის გამო.



# ქალი, რომელიც არ ბერდება

**ვერაფრით მიხვდებით, რამდენი წლისაა კენდი ლო — ჩინელი მსახიობი და მოდელი სამი შვილის დედა.** კენდი ნამდვილ სენსაციად იქცა თავის ფოტოწიგნის გამოქვეყნების შემდეგ, რომელსაც „დროის მიღმა“ ჰქვია.

ამ ქალმა ბიოლოგიური ასაკი მოატყუა. სინამდვილეში კენდი ლო 50 წლისაა. კენდის იდეალური კანი აქვს, რომელზეც ერთ ნაოჭსაც ვერ აღმოაჩენთ.

# ხმელთაშუა ზღვა 130 მილიონ ადამიანს იმსხვერპლებს?

**2004 წელს დიდი ტალღები დაატყდა თავს ინდონეზიასა და ტაილანდს, 2011 წელს კი — იაპონიას. როგორც იტალიელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, ხმელთაშუა ზღვას გიგანტური ცუნამი ემუქრება. მოდელირება, რომელიც დოქტორმა აქილევს სამარასმა ბოლონიის უნივერსიტეტში გააკეთა, გვიჩვენებს 7-8-ბალიან მიწისძვრას, რომელიც სიცილიასა და კუნძულ კრეტაზე მოხდება და აუცილებლად გამოიწვევს ცუნამის.**






ტალღები მთელ ზღვას გადალახავს 600 კმ/სთ სიჩქარით. მათი სიმაღლე ოც მეტრს მიაწევს. რეალურად არსებობს საფრთხე, რომ წყალმა ქალაქები წაიღოს. როგორც გამოთვლები აჩვენებს, შესაძლოა, სანაპირო რაიონებში კატასტროფას 130 მილიონი ადამიანი ემსხვერპლოს.

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ცუნამი ხმელთაშუა ზღვაში ას წელიწადში ერთხელ ხდება. თანაც, ხაზს უსვამენ, რომ მორიგი კატაკლიზმის დრო დგება. წინა ცუნამი 1908 წელს მოხდა. მაშინ მესინის რაიონში ათასობით ადამიანი დაიღუპა.

არსებობს თავის დაზღვევის გზები. მეცნიერები ცდილობენ, ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველას შეატყობინონ მოსალოდნელი ცუნამის შესახებ. რასაკვირველია, ეს განადგურებას თავიდან არ აგვარიდებს, მაგრამ ადამიანებს ექნებათ შანსი, თავი გადაირჩინონ.

# ნაყინი, რომელიც არ ლღვება



**დიდ ბრიტანეთში გამოიგონეს ნაყინი, რომელიც არ ლღვება. ახალი, უნიკალური ნაყინი გასართობ პარკ „ალტონ თაუერში“ გაიყიდება, სტაფორდშირის საგრაფოში.**

ნაყინის რეცეპტი გასაიდუმლოებულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ნაყინი ტემპერატურულ დამუშავებას გადის, რომლის შედეგადაც ვანილის კრემი დიდხანს ინარჩუნებს ფორმას. ტკბილეული „ინოვაციურ სამზარეულოში“ შეიქმნა. ბლიუმენტალი ცნობილია იმით, რომ უყვარს თავის რესტორნის „ცხიმიანი სამზარეულოს“ მომხმარებლების უჩვეულო კერძებით განებივრება. მაგალითად, მენიუში სხვადასხვა დროს იყო ლოკოკინების ფაფა, ბეკონის ნაყინი, შავი ხიზილალა თეთრი შოკოლადით და, აგრეთვე, ნამცხვარი ყავითა და ხახვით. 2013 წელს ჰარვარდელმა ინჟინერმა დევიდ ედვარდსმა შექმნა ნაყინი, რომელიც რვა საათის განმავლობაში არ ლღვებოდა. ეს შესაძლებელი გახდა შიგთავსის ქოქოსით, თხილით და მიწის თხილით შეჯერების შედეგად. ინოვაციურ სამზარეულოში საჭმლის მომზადებისას სხვადასხვა სამეცნიერო ტექნოლოგია გამოიყენება.

# სამგზავრო ბარათებზე პორნოვარსკვლავის ფოტოები დაიბეჭდება



**ტაივანში გამოუშვებენ „ანგელოზურ“ და „სატანურ“ სატრანსპორტო ბარათებს, რომლებზეც იაპონელი პორნოვარსკვლავი იუი ჰატანო იქნება გამოსახული. საზოგადოება კი პროექტის გაუქმებას მოითხოვდა.**



ბარათების საქველმოქმედო სერია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია მეტროთი მგზავრობა და მინიმარკეტებში პროდუქტების შეძენა, შეზღუდული რაოდენობით გამოვა.

როგორც კომპანია „იზიქარდში“ აცხადებენ, როგორც დაგეგმილი იყო, ისინი „სატანურ“ ვარიანტს 1 სექტემბერს გამოუშვებენ. „ანგელოზური“ ვერსიის გამოშვება სექტემბრის შუა რიცხვებშია ჩაფიქრებული, მას შემდეგ, რაც დიზაინს შეცვლიან.

თავიდან „იზიქარდი“ აცხადებდა, რომ საზოგადოების ნეგატიური რეაქციის გამო ბარათების წარმოებას შეაჩერებდა. საზოგადოება აზიაში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია, თუმცა კონსერვატორული განწყობა უფროს თაობას და რელიგიურ ადამიანებს ახასიათებთ. რაც შეეხება პორნოვარსკვლავს, რომლის ფოტოებიც დაამშვენებს ბარათებს, ცოტა ხნის წინათ აზიელი პორნოვარსკვლავების სარეიტინგო სიაში მეცხრე ადგილზეა.



## ხაჭაპური ცხოვრებაში ერთხელ მაინც გასასინჯი კერძების სიაში მოხვდა

**საიტზე Quora.com ჩატარდა გამოკითხვა, მომხმარებლებს უსვამდნენ კითხვას: რომ გქონდეთ საშუალება, გასინჯოთ კერძი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რომელ კერძს აირჩევდით?** მომხმარებლებს მხოლოდ ერთი კერძის დასახელება შეეძლოთ.

შედეგად მიიღეს სია, სადაც წარმოდგენილია 35 ქვეყნის 35 აუცილებლად გასასინჯი კერძი. სიაში საქართველო ხაჭაპურით მოხვდა, ხაჭაპურის ფოტოზე კი წერია: „მადის აღმძვრელი თხელი ცომი ყველის ან კვერცხის შიგთავსით“.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე საშიში ტყეები

**მსოფლიო ფოლკლორი სავსეა ისტორიებით ტყეში მომხდარ მისტიკურ ამბებზე. ამ ტენდენციას რეალური მიზეზებიც აქვს. დედამიწაზე არსებობს რამდენიმე ისეთი ტყე, რომლებიც შიშსა და ძრწოლას ბადებს ადამიანებში.**



იაპონიაში არსებობს სულისშემძვრელი ადგილი — **აოკიგაჰარა.** ტყე ფუძის მთის ქვეშ, იაპონიის მთავარ კუნძულ ჰონსიუზე მდებარეობს და, უკვე ნახევარი საუკუნეა, პოპულარობით სარგებლობს თვითმკვლელებს შორის. 1970 წლიდან პოლიცია რეგულარულად ამოწმებს ტყეს და წელიწადში საშუალოდ 70-დან 100-მდე გვამს პოულობს.

**ტყე ჰოია-ბაჩიუ** (რუმინეთი) ცნობილია, როგორც პარანორმალური ზონა. ადგილობრივები და რამდენიმე უცხოელი მეცნიერი ამბობს, რომ იქ ამოუცნობი მფრინავი ობიექტები შენიშნეს, ესმოდათ ხმები, ხედავდნენ გაურკვეველ ფიგურებსა და სხეულებს. ხალხმა ტყეს ბერმუდის სამკუთხედი დაარქვა და ცდილობენ, არასოდეს მოხვდნენ იქ. ვინც მის ტერიტორიაზე შევა, შემდეგ თავის ტკივილებს, თავბრუსხვევას, გულისრევასა და სხვა სიმპტომებს უჩივის.



ინგლისში, კენტის საგრაფოში არის **მყვირალა ტყე**, რომელიც მოჩვენებების საცხოვრებლად ითვლება. ლეგენდის მიხედვით, მეჩვიდმეტე საუკუნეში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოკლეს ყაჩაღი, რომლის სული დღემდე დაძრწის ტყეში და შურისძიებაზე ოცნებობს. ამბობენ, რომ იქ პოლტერგეისტები სახლობენ. ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ დილაობით ტყიდან კივილის ხმა ისმის.

ამერიკაში, მასაჩუსეტსის შტატში არსებობს ტყე, რომელიც ცნობილია **ფრითაუნ-ფოლ-რივერის** ნაკრძალის სახელით და სატანისტების, თვითმკვლელებისა და ქურდების ადგილად ითვლება. ლეგენდის თანახმად, იქ ხშირად ატარებდნენ საკულტო რიტუალებს, სწირავდნენ მსხვერპლს და კლავდნენ ცხოველებს. თქმულებების მიხედვით, ეს ადგილი დაწყევლილია ინდიელების მიერ. ტყეში დარჩენილია მათი სამარხები.



# ალჟირელი უჩივის ცოლს, რომელიც პირველად ნახა მაკიაჟის გარეშე

**მამაკაცი ცოლს, რომელიც მაკიაჟის გარეშე პირველად დაინახა, სასამართლოში უჩივის მორალური ზიანის მიყენებისთვის, რადგან მაკიაჟის გარეშე ცოლის ნახვამ შოკში ჩააგდო.**

წყვილი ალჟირში დაქორწინდა. ღამე ერთად გაატარა, დილით გაღვიძებულმა ქმარმა მეუღლე პირველად იხილა უმაკიაჟოდ. ელდანაკრავმა მამაკაცმა განაცხადა, რომ ეს მისი ცოლი არ იყო, მაგრამ, როდესაც მიხვდა, რომ ეს სწორედ ის ქალი იყო, ვისზეც იქორწინა, ქალს თაღლითობისთვის სასამართლოში უჩივლა და ფსიქოლოგიური ზარალის ანაზღაურება მოითხოვა — 13 000 გირვანქა სტერლინგის გადახდა.

# საიდუმლოებით მოცული ისტორიული ობიექტები

**დედამიწაზე უამრავი ადგილია, რომელთა ისტორია საიდუმლოებითაა მოცული. წლების განმავლობაში მუშაობენ მეცნიერები, რათა მათი წარმომავლობის ისტორია გაარკვიონ. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.**

**კარნაკის ქვები.** ეს 4000-მდე ქვისგან შემდგარი მეგალითების ერთგვარი კოლექციაა, რომელიც საფრანგეთში, ბრეტანში, ქალაქ კარნაკის სიახლოვესაა განლაგებული. არქეოლოგების ვარაუდით, ქვები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4500-3300 წლებში აღმართეს. ქვების შესახებ უამრავი მოსაზრება არსებობს. მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ქვებს კავშირი აქვთ ასტრონომიასთან და ერთგვარ ობსერვატორიას წარმოადგენდა. სხვა მოსაზრებების თანახმად, ქვებს, როგორც პრიმიტიულ სეისმოგრაფს, ისე მოიხმარდნენ.

**მოაი.** ეს არის დაპრესილი ვულკანური ფერფლისგან დამზადებული ქვის ქანდაკებები აღდგომის კუნძულზე. მოაის ყველა ქანდაკება მონოლითურია, ანუ ქვის ერთი ნატეხისგან არის დამზადებული. მათი წონა ზოგჯერ 20 ტონასაც აღწევს, სიმაღლე კი — 6 მეტრს. კუნძულზე მდებარე რანო-რარაკუს კრატერის ფერდობზე ნაპოვნია 20 მეტრამდე სიმაღლისა და 270 ტონა სიმძიმის დაუსრულებელი ქანდაკება. აღდგომის კუნძულზე სულ 887 ასეთი ძეგლია. ყველა მოაი, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, კუნძულის სიღრმისკენ იმზირება და არა ოკეანისკენ. ისტორიკოსები და არქეოლოგები ამ დრომდე ვერ ხსნიან, რა მიზნით დადგეს ქანდაკებები და რატომ არ დაასრულეს ისინი.


კარნაკის ქვები

**კუკულკანის პირამიდა** — ფრთოსანი გველის პირამიდა მექსიკაში, მაიას ცივილიზაციის ძველი დედაქალაქის — ჩიჩენ-იცას ნანგრევებში მდებარეობს. მაიას ტომის ქურუმები ღვთაების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ადამიანთა მფეთქავ გულებს სწირავდნენ მას. ქალაქის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა უამრავი არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის სახელგანთქმული მაიას პირამიდები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია კუკულკანის ტაძარი — 24 მეტრი სიმაღლის ცხრასაფეხურიანი პირამიდა. გასაოცარია, რომ შემოდგომისა და გაზაფხულის ბუნიობის დროს მზის სხივები ისეთნაირად ანათებს პირამიდის კიბეს, რომ წარმოიქმნება შვიდი სამკუთხედი, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის 37-მეტრიან გველს. გველი მზის სხივების გადანაცვლებასთან ერთად პირამიდის წვეროსკენ „მიცოცავს“. საკურთხეველი ერთი გრადუსით მაინც რომ იყოს გადახრილი, მსგავსი რამ არასდროს მოხდებოდა.


მოაი


კუკულკანის პირამიდა

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაიმახსოვრეთ: მოხვევის მაჩვენებელი ავტომატურად ითიშება, როდესაც საჭე საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება.**

# როგორ დავიწყოთ ავტომობილის დამოუკიდებლად მართვა

## ჩაჯდომა ავტომობილში

პირველი, რაც უნდა შეისწავლოთ — ავტომობილში სწორად ჩაჯდომაა. ერთი შეხედვით, ეს ძალიან მარტივია: გააღებ კარს და ჩაჯდები სავარძელში, მაგრამ არის რამდენიმე გარემოება, რომლებიც დამწყებმა მძღოლებმა არ იციან.

**ავტომობილთან უნდა მიხვიდეთ მძღოლის კარის მხრიდან, რომელიც მარცხენა ხელით უნდა გააღოთ.** თუ კარის გაღებას მარჯვენა ხელით შეეცდებით, ავტომობილში, უბრალოდ, ვერ დაჯდებით, უფრო ზუსტად — ამისათვის ზედმეტი მოძრაობის გაკეთება დაგჭირდებათ.

მაგალითად, ზოგიერთი მანქანაში ჩაჯდომისას სალონში ჯერ თავს ან ზურგს შერგავს, შემდეგ სხეულის დანარჩენ ნაწილებს, რის გამოც მობრუნებას და ნორმალური პოზის მიღებას ვერ ახერხებს.

სწორად კი ასე უნდა ჩაჯდეთ ავტომობილში: **გააღეთ კარი, მარჯვენა ფეხი „გაზის“ პედალთან ახლოს დადგით და ჩაჯექით სავარძელში, შემდეგ კარი მჭიდროდ დახურეთ.**



სავარძელი ისე მოირგეთ, რომ საჭესთან თავს კომფორტულად გრძნობდეთ.

გახსოვდეთ: **საჭესთან არასწორად ჯდომა იწვევს დაღლილობას, რომელმაც შეიძლება ავტოავარია გამოიწვიოს.**

საზოგადოდ, მძღოლის საჭესთან ჯდომის სწორი პოზა ასეთია:

*ზურგი მჭიდროდ, თითქმის ვერტიკალურად არის მიყრდნობილი სავარძლის საზურგეს.

* ხელები ოდნავ მოხრილია იდაყვებში, ცერა თითები მაგრად არის ჩაჭიდებული საჭეს.

*ფეხები წინ არის გაწეული და პედალზე დაჭერისას საჭეს არ ეხება.

***უკან ხედვის სარკეები ისე უნდა იყოს რეგულირებული, რომ მძღოლი თავის მოუბრუნებლად ხედავდეს სივრცეს ავტომობილის უკან და მარცხნივ.**

## სავარჯიშოები გამორთულძრავიან ავტომობილზე

სავარჯიშოების შესრულების წინ შეამოწმეთ, რომ ხელის მუხრუჭი ამოწეულია, ანუ მანქანა დამუხრუჭებულია.

**მძღოლის სავარძელში ადგილის დაკავების შემდეგ ხელები დააწყვეთ საჭეზე, ფეხები — პედლებზე. საჭე გადაატრიალეთ მარჯვნივ-მარცხნივ, დაასიგნალეთ. გადაატრიალეთ საჭე ბოლომდე ერთ მხარეს, შემდეგ გადმოდით მანქანიდან და დააკვირდით ბორბლების მდგომარეობას.** ანალოგიური რამ გააკეთეთ საპირისპირო მხარეს. სხვათა შორის, საჭის დატრიალება თითოეულ მხარეს შეიძლება ერთნახევარი ბრუნით, ანუ 360 გრადუსს პლუს 180 გრადუსით.

შემდეგ თანამიმდევრობით დააჭირეთ ფეხი თითოეულ პედალს — „იგრძენით“ ისინი.

მარცხენა ფეხით უნდა იმუშაოთ გადაცემის პედალზე, მარჯვენათი — მუხრუჭისა და აქსელერატორის („გაზი“). გაითვალისწინეთ, რომ დაუქოქავ ძრავაზე პედლების მუშაობა გაძნელებულია, აგრეთვე, საჭის, რადგან ჰიდროგამაძლიერებელი მხოლოდ ჩართულ ძრავაზე მუშაობს.

გაივარჯიშეთ **მოხვევის მაჩვენებლებზე.** გადაატრიალეთ გასაღები და მოისმენთ და დაინახავთ, როგორ მუშაობს ეს მაჩვენებლები — ხელსაწყოების პანელზე აციმციმდება ინდიკატორი და გაიგონებთ შესაბამის ხმებს.

**დაიმახსოვრეთ: მოხვევის მაჩვენებელი ავტომატურად ითიშება, როდესაც საჭე საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება.**

შემდეგ წაიმუშავეთ **გაბარიტების ნათურებზე,** აგრეთვე, **ფარების შორ და ახლო ნათებაზე.** ამის შემდეგ კი შეისწავლეთ **გადაცემის კოლოფი.** რიგრიგობით გადასწიეთ ბერკეტი თითოეული გადაცემის შესაბამის მდგომარეობაში, ეს სავარჯიშოები თავდაპირველად პედლის დაუხმარებლად გააკეთეთ. პირველ სიჩქარეზე გადართვისას ბერკეტი ჯერ მარცხნივ უნდა გადაადგილოთ, შემდეგ — წინ; მეორე სიჩქარეზე გადართვისას — ჯერ მარცხნივ, შემდეგ უკან.

**უკუსვლის გადაცემა** სხვადასხვა ავტომობილს სხვადასხვანაირი აქვს, ამიტომ ავტომობილის ექსპლუატაციის ინსტრუქცია უნდა წაიკითხოთ.

როდესაც აითვისებთ გადაცემათა კოლოფს, შემდეგ ეს პედლის დახმარებით გააკეთეთ.

გახსოვდეთ: **ეს მოძრაობები ავტომატიზმამდე უნდა დაიყვანოთ. და კიდევ — უკან სვლისას, თუ მარჯვნივ გინდათ მოძრაობა, საჭეც მარჯვნივ უნდა გადაატრიალოთ, მარცხნივ მოძრაობისას — მარცხნივ.**

## ადგილიდან დაძვრა

პირველ რიგში, უნდა დარწმუნდეთ, რომ გადაცემათა კოლოფის ბერკეტი ე.წ. ნეიტრალურ მდგომარეობაშია. შემდეგ მიიღეთ მოხერხებული პოზა და დარწმუნდით, რომ უკან ხედვის სარკეები მაქსიმალურად უზრუნველყოფს უკანა სივრცის ხედვას. ამოწიეთ ხელის მუხრუჭი და დაქოქეთ ავტომობილი. როგორც კი ძრავა ამუშავდება, გათიშეთ სტარტერი.

ავტომობილის დაძვრამდე აუცილებლად გაიხედეთ წინ, გვერდით და უკან, რათა დარწმუნდეთ, რომ რაიმე წინაღობა ხელს არ გიშლით. შემდეგ ჩართეთ მარცხნივ მოხვევის მაჩვენებელი და პირველი სიჩქარე. ჩასწიეთ ხელის მუხრუჭი და დაიწყეთ მოძრაობა „გაზის“ პედალზე ფეხის დაჭერით (გადაცემის პედლიდან კი ფეხი ასწიეთ). გაჩერებისას ჯერ მარჯვნივ მოხვევის ნათურა უნდა ჩართოთ, ფეხი აუშვით აქსელერატორს და დააჭირეთ მუხრუჭის პედალს, შემდეგ ფეხი გადაცემის პედალს დააჭირეთ და გადაცემათა კოლოფის ბერკეტი ნეიტრალურ მდგომარეობაში გადართეთ. ბოლოს კი გადაცემის პედალი გაათავისუფლეთ და დააწექით მუხრუჭის პედალს საბოლოო გაჩერებამდე.

**გახსოვდეთ: ყოველი გაჩერებისას იყურეთ უკან ხედვის სარკეებში.**

# როგორი პიროვნება ხართ?

ტესტი

**კარგად დააკვირდთი ქვემოთ მოცემულ 9 ნახატს და აირჩიეთ ერთი. შემდეგ კი ამ ნახატის შესაბამისი პიროვნების დამახასიათებელი ტექსტი წაიკითხეთ.**




### №1. მიმნდობი

თქვენ მიეკუთვნებით ტიპს ადამიანებისა, რომლებსაც ყველაფერი გულთან მიაქვთ. თვლით, რომ ზოგჯერ სჯობს, გარისკოთ და მიიღოთ სულიერი ტრავმა, ვიდრე ადამიანებს უარი უთხრათ და თავიდან მოიშოროთ. თვლით, რომ პრობლემები თვითონ უნდა გადაჭრათ. ცდილობთ, დაეხმაროთ ადამიანებს, ისეთებსაც კი, რომლებიც ამას არ იმსახურებენ.

### №2. პედანტური

თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც ყოველთვის ცდილობს, კარგი შთაბეჭდილება დატოვოს და სწორად მოიქცეს. ფიქრობთ, რომ თქვენი საქციელი სხვებისთვისაც მნიშვნელოვანია. ცდილობთ, არასოდეს გამოამჟღავნოთ შეშფოთება და ყოველთვის საუკეთესო იყოთ — ამის კეთება თქვენთვის სიხარულის მომგვრელია.

### №3. მსხვერპლი

ცდილობთ, იპოვოთ თქვენი ადგილი ამ არეულ და მშფოთვარე სამყაროში. ბევრი რამ გადაიტანეთ, მაგრამ ადამიანებს უმალავთ თქვენს განცდებს. შეიძლება ითქვას, რომ დაცემის შემდეგ ფენიქსივით ფერფლიდან აღდგენის ოსტატი ხართ.

### №4. მოაზროვნე

თქვენ ხართ პიროვნება, რომელიც მოქმედებს პრინციპით: ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი. გიყვართ მოვლენებსა და საგნებში ღრმად ჩაწვდომა. შეგიძლიათ, ყველაფერი ზუსტად გააანალიზოთ, თუმცა თვალსაზრისის სისწორეში სრულად დარწმუნებული არ ხართ. ცხოვრება წარმოგიდგენიათ როგორც თავსატეხი, ვიდრე მას არ ამოხსნით, ვერ მოისვენებთ.

### №5. იდუმალი

საკუთარი თავისთვისაც კი გამოუცნობი პიროვნება ხართ. ხშირად გეცვლებათ გუნებაგანწყობილება. როგორც კი მიზანს მიაღწევთ, მყისვე ახლის ძიებას იწყებთ. შეგიძლიათ, თავგზა აუბნიოთ სხვებსაც და საკუთარ თავსაც. ხშირად დუმილს ამჯობინებთ, ლაპარაკობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენი თვალსაზრისის სისწორეში დარწმუნებული ხართ.

### №6. მგრძნობიარე

იმ ადამიანებს მიეკუთვნებით, რომლებიც ყველაფერს ამჩნევენ და არაფერს ივიწყებენ. ძალიან მგრძნობიარე ხართ და უმნიშვნელო მოვლენამაც კი შეიძლება აგაფორიაქოთ. გაქვთ ძლიერი ინტუიცია და უნარი, ბევრი რამ განჭვრიტოთ, რაც შეიძლება მომავალში მოხდეს.

### №7. ენერგიული

ყოველთვის ენერგიული, აქტიური ხართ ან... შეყვარებული — ან გიყვართ, ან გძულთ. ნებისმიერ საგანზე ან მოვლენაზე რამდენიმე თვალსაზრისი გაქვთ და სწრაფად მოქმედებთ. ენერგიის ხარჯვას ბევრი ნერვიულობაც მოჰყვება ხოლმე. ზოგჯერ ცდილობთ, დრამატული სცენები გაითამაშოთ.

### №8. ექსცენტრიკული

იმ ადამიანების კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებსაც უჩვეულო ინტერესები და მიდრეკილებები აქვთ. არ გიყვართ წესები, ხშირად მოქმედებთ პრინციპით „რაც მსურს, იმას ვაკეთებ, დაე, მოსახდენი მოხდეს!“. გეცინებათ იმ ადამიანებზე, რომლებიც თქვენს შეცვლას ცდილობენ. არ გიყვართ ადამიანების ნაცრისფერი მასის ნაწილად ყოფნა.

### №9. ინტუიციური

თქვენ ხართ პიროვნება, რომელსაც კარგად შეუძლია სამყაროსა და ადამიანების შეცნობა. ხმის ტემბრისა და სახის გამომეტყველების მიხედვით ბევრი რამ შეგიძლიათ თქვათ ადამიანზე. ადვილად ხვდებით, როცა თქვენს მოტყუებას ცდილობენ. შეგიძლიათ სხვების მართვა-მანიპულირება, თუმცა ამისგან თავს იკავებთ.

# იცით თუ არა, რომ...

***„ანდების დედოფალი“ — გიგანტური მცენარე პუია რაიმონდა,** რომლის სიმაღლე 10 მეტრს აღწევს მხოლოდ ერთხელ ყვავის — მაშინ, როცა 80-150 წელს მიაღწევს. ეს მცენარე პერუსა და ბოლივიაში 4800 მ სიმაღლეზე ხარობს და, როცა აყვავდება, 8 ათასზე მეტი მოთეთრო-მომწვანო ყვავილი გამოაქვს.





**13 სექტემბერს მზის დაბნელება და ახალმთვარეობაა. რთული პერიოდია მგრძნობიარე ადამიანებისთვის. რეკომენდებული არ არის ახალი საქმის დაწყება. წარმატებას მიაღწევენ ის ადამიანები, რომლებიც სულიერი ფასეულობების დასაცავად მატერიალურ კეთილდღეობას შეელევიან.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**9 - 15 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

ბევრი მიზანი გაქვთ დასახული, მაგრამ მათთან მისაღწევად გაბედული მოქმედება საჭირო, რადგან თქვენი მონაწილეობის გარეშე არც ერთი საქმე სასიკეთოდ არ დასრულდება. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი ფინანსური შემოსავალი, რომელიც ახლა ძალიან გჭირდებათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას შეეცადეთ, მოთოკოთ ემოციები და მისი მოთხოვნები გაითვალისწინოთ.

ამ პერიოდში დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ წინასწარ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 12 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 სექტემბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

ახლა თქვენ წინაშე დგას კონკრეტული მიზანი — მიაღწიოთ სტაბილურობას ცხოვრებასა და ურთიერთობაში. უკვე წარმოდგენილი გაქვთ, რა უნდა გააკეთოთ ამისთვის, მაგრამ შესაძლოა, თავდაჯერებულობა არ გეყოთ გეგმების განსახორციელებლად. ახლობლებისგან მორალურ მხარდაჭერას მიიღებთ, მაგრამ ყველაფრის კეთება თქვენ მოგიწევთ.

თუ გსურთ ურთიერთობის შენარჩუნება საყვარელ ადამიანთან, მოთმინებით უნდა შეასრულოთ მისი მოთხოვნები და მხოლოდ საკუთარ თავზე არ იფიქროთ.

შესაძლოა, შეგექმნათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემა, ამიტომ მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 9 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 სექტემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

გაგიჩნდებათ იმ გეგმის განხორციელების შანსი, რომელიც ახლო წარსულში შეიმუშავეთ. თუ დაუფიქრებლად და ქაოსურად არ იმოქმედებთ, თქვენი შრომის შედეგებს მალე დაინახავთ.

დაოჯახებულ ტყუპებს საყვარელ ადამიანთან შეიძლება ურთიერთობა დაეძაბოთ თავქარიანული საქციელით გამოწვეული ეჭვიანობის გამო.

კარგი პერიოდია მავნე ნივთიერებისგან ორგანიზმის გასაწმენდად. იმუნიტეტის ასამაღლებლად მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 9 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 12 სექტემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

სტაბილურობის მოსაპოვებლად და მდგომარეობის გასამყარებლად აუცილებელია ცვლილებები — ამისთვის კი ძირფესვიანად უნდა შეცვალოთ თვალსაზრისი თუ ცხოვრებაზე არა, იმ ვითარებაზე მაინც, რომელშიც აღმოჩნდით. თავი შეიკავეთ უძრავი ქონების გაყიდვისგან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა არასტაბილურად წარიმართება — გრძნობის ნაზ გამომჟღავნებას ეჭვიანობის ტალღა შეცვლის და პირიქით.

კარგი იქნება, თუ შვებულებას აიღებთ და დასასვენებლად გაემგზავრებით.

**დადებითი დღე: 9 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 სექტემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

მნიშვნელოვანი ცვლილების პერიოდია. აღივსებით ახალი ენერგიითა და ემოციებით, რომლებიც გაიძულებთ, სხვა თვალით შეხედოთ ცხოვრებას.

სამსახურში შეიძლება ურთიერთობა გაგიმწვავდეთ კოლეგებთან, მაგრამ, თუ დიპლომატიურობას გამოიჩენთ, უთანხმოებას იოლად მოაგვარებთ.

თუ გსურთ, საყვარელი ადამიანი არ გაგინაწყენდეთ, თავი დაანებეთ უსაფუძვლო ეჭვიანობას და მის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ.

დაიცავით კვების რეჟიმი — რაციონში შეიტანეთ მეტი ბოსტნეული და ხილი.

**დადებითი დღე: 10 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 სექტემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

ბევრი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ. თუ კოლეგებთან არ შეათანხმებთ გადაწყვეტილებებს, დასახული მიზნების მიღწევა გაგიჭირდებათ. ყველა საკითხი კარგად გააანალიზეთ, გაბედულად იმოქმედეთ და წარმატება არ დააყოვნებს.

თუ მეტ მზრუნველობას გამოიჩენთ ახლობელი ადამიანების მიმართ, თქვენს ოჯახში სასიამოვნო ატმოსფერო შეიქმნება.

თავი აარიდეთ ფიზიკურ დატვირთვებს — დიდია ფეხების დაზიანების ალბათობა.

**დადებითი დღე: 15 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 სექტემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

სასწორები, რომლებიც იურიდიულ, საფინანსო ან ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწეობენ, შეძლებენ დამატებითი ფინანსური შემოსავლების მიღებას და ვალების გასტუმრებას.

შესაძლოა, დაამყაროთ ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებიც კარიერაში წინსვლაში დაგეხმარებიან. დაქორწინებულმა სასწორებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ოჯახის უფროს წევრებს, მარტოხელა სასწორებმა კი, შესაძლოა, გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთან ურთიერთობაც მგზნებარე რომანში გადაიზრდება.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 10 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 სექტემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

გაგიჩნდებათ წარსულში შექმნილი პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები და ისინი აუცილებლად უნდა გამოიყენოთ. ინტუიცია გიკარნახებთ, გადაწყვეტილების მიღებისას რომელი ახლობელი ადამიანის რჩევას უნდა ენდოთ. თავი აარიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან, რადგან ამან, შესაძლოა, თქვენს კარიერაზე უარყოფითად იმოქმედოს.

ოჯახში ჰარმონიული ატმოსფერო შეიქმნება, თუ მოვალეობებს თანაბრად გაინაწილებთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 15 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 13 სექტემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ახლა არ ღირს ემოციების გამოვლენა, რადგან შეიძლება ისეთი რამ ჩაიდინოთ, რომლის გამოსწორებაც ადვილი არ იქნება. გაითვალისწინეთ, რომ მოშურნეებმა, შესაძლოა, ისეთი რამ შეთხზან თქვენზე, რაც რეპუტაციას შეგილახავთ. ამიტომ ბევრს ნუ ილაპარაკებთ, მოთოკეთ ემოციები და მხოლოდ თქვენი პრობლემების მოგვარებაზე იფიქრეთ.

მარტოხელა მშვილდოსნებს მიეცემათ ცხოვრების მეგზურის პოვნის შანსი და ეს შეიძლება მოხდეს მოგზაურობისას.

ახლა თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება, მაგრამ ფიზიკური დატვირთვა ან სპორტის რომელიმე სახეობით დაკავება არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 9 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 11 სექტემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

თუ თქვენი პრინციპია „არ ავნო!“, მაშინ შორს დაიჭირეთ თავი ადამიანებისგან, განსაკუთრებით — კოლეგებისგან, რადგან შესაძლოა, ცუდი რამ ჩაიდინოთ, რაც გარშემო მყოფებს ძალიან გაალიზიანებთ.

ყურადღებით გააანალიზეთ ყველა დეტალი ხელშეკრულებისა, რომელსაც ხელს მოაწერთ.

მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანებთან — წადით სამოგზაუროდ ან მოაწყვეთ წვეულება.

ამ პერიოდში მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 10 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 სექტემბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

გაგიჩნდებათ ბევრი იდეა და დიდ ძალისხმევას მოახმართ მათ განხორციელებას, მაგრამ, თუ რამდენიმე საქმეს ერთდროულად შეეჭიდებით, ბევრს ვერაფერს მიაღწევთ.

ეკონომიურად ხარჯეთ ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვალის აღება მოგიწევთ.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად. შეეცადეთ, მოაწყოთ წვეულება, რომელზეც ძალიან ახლობელ ადამიანებს მიიპატიჟებთ.

ამ პერიოდში მაღალია ენდოკრინული სისტემის ორგანოების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 12 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 10 სექტემბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

თქვენი მუხლჩაუხრელი მუშაობა სათანადო ნაყოფს გამოიღებს და შემოსავლებზეც აისახება. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება კი გუნება-განწყობას გამოგიკეთებთ.

შესაძლოა, მოგიწიოთ უცხოეთში გამგზავრება ბიზნესპარტნიორებთან შესახვედრად.

თევზების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან დიდწილად იქნება დამოკიდებული მათ ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაზე — გუნება-განწყობის ხშირი ცვლა უთანხმოებას გამოიწვევს.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს. შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ (გამოიძინოთ) და მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 14 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 სექტემბერი.**

# ახტალა — უნიკალური კურორტი საქართველოში

**საქართველო განთქმულია ზღვისა და მთის კურორტებით, მათ შორის არის ახტალა, რომელიც გამორჩეულია უნიკალური სამკურნალო თვისებებით.**

ახტალა — ტალახით სამკურნალო კურორტი ქალაქ გურჯაანში, თბილისიდან 122 კმ-ის დაშორებით, ცივ გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთის ძირში, ახტალის ქვაბულში მდებარეობს. ტალახი 250 მეტრი სიღრმიდან ამოდის. აქ ჰავა ზომიერია, კონტინენტური: ზაფხული — ცხელი, ზამთარი — თბილი. სამკურნალოდ იყენებენ ფსევდოვულკანურ ტალახს. ახტალა მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილისა (XVIII ს) და ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ნაშრომებში.

ახტალაში არის მოზრდილთა და ბავშვთა სანატორიუმი, პოლიკლინიკა, სააბაზანო (ტალახით სამკურნალო).

ახტალის ფსევდოვულკანურ ტალახს წარმატებით იყენებენ შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:

*** ძვალ-სახსართა სისტემის დაავადებები: ართრიტები და პოლიართრიტები: რევმატიული, სპეციფიკური და არასპეციფიკური ხასიათის მარილოვანი წანაზარდები სასახსრე ზედაპირზე, ხერხემლის სვეტის დაავადებები — სპონდილოზი, ამოვარდნილობების და მოტეხილობების შემდგომ პერიოდში.**

***** პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები:

რადიკულიტი, ფლექსიტი, საჯდომი ნერვის ანთება — იშიაზი. პოლიომიელიტის ნარჩენი მოვლენები, ცერებრული დამბლით გამოწვეული პარეზები — ბ.ც.დ.

*** მუცლის ღრუს შეხორცებითი დაავადებები.**

***** ქალის სასქესო ორგანოთა დაავადებები, რომლებიც ხშირად უშვილობის მიზეზია. დანამატების და საშვილოსნოს ქრონიკული ანთებები, განუვითარებლობა, ფუნქციის დაქვეითება, შეხორცებები მცირე მენჯის ღრუში. ფალოპის მილების გაუვალობა ან დაქვეითება.

*** მამაკაცის წინამდებარე ჯირკვლის ქრონიკული ანთება, ფუნქციის დაქვეითება.**

***** კანის დაავადებები: ფსორიაზი, ეგზემა და სხვ.

ტალახის პროცედურებთან ერთად გამოიყენება სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი, ფიზიოთერაპიული მკურნალობა თანამედროვე აპარატურით.

„ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვები, რომლებსაც სხვადასხვა ადგილზე ჩატარებული აქვთ მკურნალობა, სწორედ ჩვენთან მკურნალობის შემდეგ იწყებენ პირველი ნაბიჯების გადადგმას. ხშირია შემთხვევა, როდესაც გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობის სრული კურსის გავლის შემდეგ პაციენტებს უბრუნდებათ შვილოსნობის უნარი“, — აღნიშნავს „სანატორიუმ ახტალის“ დირექტორი **გიორგი უტიაშვილი.**

სანატორიუმის დირექტორი, გამოცდილი ექიმები — **თინა ლაღიძე** და **ანა ქადაგიშვილი,** მთავარი ექთანი **სესილი გორგაშვილი,** აგრეთვე, პროფესიონალი თანამშრომლები — **ნორა ყალაბეგაშვილი, ნინო მინაშვილი, ციცო უტიაშვილი, ნინო ბადურაშვილი, მზია ათაბეგაშვილი, ნინო ხაჩიშვილი, თამარ კობახიძე, ლალი მეტრეველი, მარიკა ახალბედაშვილი** და **აიკუშა ვართანიანი** დამსვენებლებს საუკეთესო მომსახურებასა და მაღალხარისხიან, ეფექტიან მკურნალობას ჰპირდებიან.



გიორგი უტიაშვილი



# რატომ ძირავს აშშ ევროპას ახლო აღმოსავლელი ლტოლვილებით?

## იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ევროპას ჯიუტად ეტენება, სულაც არ არის გამორიცხული, ეს მომაკვდინებელი ნაკადი ჩვენც მოგვაწყდეს



## რატომ ჭარბობენ ლტოლვილთა რიგებში ჯან-ღონით სავსე მამაკაცები?

**ე.წ. ნიუსებს, ფოტო და ვიდეომასალებს იმ ტალღაზე, უფრო ზუსტად, ცუნამიზე, რომელიც ახლო აღმოსავლელ ლტოლვილთა სახით ევროპას თავს დაატყდა, პოლიტიკური „ტექნოლოგიის“, დადგმული წარმოდგენის, დიდი ფულისა და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების საკმაოდ მყრალი სუნი ასდის. არაფერი ახალი, ორიგინალური!**

ერთი შეხედვით, ლტოლვილები თითქოს ახალი თემაა, ახალი სცენარი, მაგრამ პრინციპები იგივეა.

როგორც ყოველთვის, ლამაზად შეფუთულ, ნიანგის ცრემლით დანამულ კატაკლიზმს მღვიძარე გონებისთვის მოაქვს უმარტივესი კითხვები: **ლტოლვილების ამ უზარმაზარ რაოდენობას საიდან აქვს ათიათასობით დოლარი ევროპაში გადასაბარგებლად?!** ასეთი მოგზაურობა ხომ ათიდან თხუთმეტ ათას დოლარამდე უჯდება თითოეულს! გეთანხმებით, ომამდე და გაჩანაგებამდე ლიბიაში, სირიაში, ერაყსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებში ეკონომიკის მხრივ ნორმალური ვითარება იყო, ხალხი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა, თუმცა ასეთი ფულზე იმ პერიოდშიც არ მიუწვდებოდა ხელი უმრავლესობას. აქ კი ასიათასობით ადამიანს — ათიათასობით დოლარი?! არადა, ეს ლტოლვილები გამოქცეულნი არიან გავერანებული ქვეყნებიდან.

კიდევ ერთი კითხვა — **რატომ აქვთ ამ გაუბედურებულ ადამიანებს ასეთი აგრესიულ-მომხმარებლური განწყობა? ვინ შთააგონა მათ, რომ ევროპა ლანგრით მიართმევთ უვიზო რეჟიმს, ხელფასსა და პენსიას ოთხიხუთი ათასი ევროს ოდენობით, ანუ მისცემთ დახმარების სრულ სოციალურ პაკეტს?**

იკვეთება სურათი, რომელშიც იდუმალმა ძალამ ჩადო უზარმაზარი სახსრები, ასიათასობით ადამიანს მისცა დიდძალი ფული, შემდეგ კი უბრძანა, ერთდროულად დაძრულიყო ევროპისკენ; და მთავარი — **რატომ ჭარბობენ ლტოლვილთა რიგებში ჯან-ღონით სავსე მამაკაცები?** და კიდევ ერთი ნიუანსი — დოლარებზე გაუყიდველი ევროპელი პოლიტიკოსების შეშფოთება და რიგითი ევროპელების უკმაყოფილება გადაფარა დამხრჩვალი სირიელი ბავშვის გულშემზარავმა სურათმა... გვამებიც დაგეგმილია. ჩანს, ისევე სურთ გვამები, როგორც ვანუა მერაბიშვილს.

ყველაფერი მალე გაირკვევა და არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ ამ აურზაურის უკან ჩვენი „დიდი მეგობარი“ — აშშ იდგება. ამ ხელოვნურად შეკოწიწებულმა სახელმწიფომ ევროპას ჩაუდო სწრაფმოქმედი ნაღმი, რომელიც უახლოეს მომავალში აფეთქდება. აშშ-ს ევროპა ძალიან სჭირდება, როგორც ყმადნაფიცი და „მეწველი ძროხა“. ევროპის მასშტაბური დესტაბილიზაცია ხელს შეუწყობს ამ მიზანს.

ხოლო **იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ევროპას ჯიუტად ეტენება, სულაც არ არის გამორიცხული, ეს მომაკვდინებელი ნაკადი ჩვენც მოგვაწყდეს.**

**გიორგი კორძაძე**

# ქართველი «კა-ვე-ენ-შიკების» წარმატება

**ამ დღეებში ქართველ ტელემაყურებელს საშუალება ჰქონდა, კიდევ ერთხელ ეხილა წარმატებული ქართული „კა-ვე-ენ“-ის გუნდის გამოსვლა. რუსეთის პირველმა არხმა ფართოდ გააშუქა 19 ივლისს ქალაქ სვეტლოგორსკში ჩატარებული „კა-ვე-ენ“-ის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი. ქართველების გარდა, ფესტივალზე აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ბელორუსისა და რუსეთის გუნდები გამოვიდნენ.**

როგორც ყოველთვის, ჩვენს გუნდს საუკეთესო გამოსვლა ჰქონდა და ჟიურისა და მაყურებლის ოვაციები დაიმსახურა, რაც გუნდის სამომავლო წარმატებების იმედს კიდევ უფრო განამტკიცებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს „კა-ვე-ენ“-ის ნაკრები, პირველად „კა-ვე-ენ“-ის ისტორიაში, 2014 წლის პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. შარშან კი ქართველები უმაღლეს ლიგაშიც წარმატებით გამოვიდნენ და მხოლოდ მეოთხედფინალში გამოეთიშნენ თამაშებს, რაც დებიუტანტი გუნდისთვის მართლაც ძალიან კარგი შედეგია.

გუნდი მადლობას უხდის ქართველთა კავშირის პრეზიდენტს რუსეთში, ბატონ მიხეილ ხუბუტიას, ავიაკომპანია Georgian Airways-ს, რომელიც საქართველოს „კა-ვე-ენ“-ის ნაკრების ოფიციალური გადამყვანია.

**წარმატებები — ჩვენს ნაკრებს.**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოღუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894